გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 15 დეკემბერი, 2005 წელი.
№290 (5323)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბრძოლაა სიცოცხლისა, ცეცხლითა და მახვილით ბრძოლა ყველა ქართველის ვალია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.



## შევაჩეროთ მეცნიერების ნგრევა!

იხ. მე-3 გვ.



## ჯორჯ სოროსი სანაგვეზე გადააგდეს

**ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ვერის პარკის წინ კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის ინიციატივით გუშინ თეატრალიზებული აქცია გაიმართა ჯორჯ სოროსის წინააღმდეგ.** აქციის მონაწილეებმა სასახლეში ჩასვენებული სოროსის ფიტული გადმოასვენეს. სატანის ფორმაში გამოწყობილი მოძრაობის წევრები თბილისის მერს გიგი უგულავას, „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ხელმძღვანელს დავით დარჩიაშვილს, პარლამენტარებს — გიგა ბოკერიასა და გივი თარგამაძეს, განათლების მინისტრს კახა ლომაიას და სახალხო დამცველს სოზარ სუბარს განასახიერებდნენ.

თეატრალიზებული წარმოდგენა სამგლოვიარო მუსიკის ფონზე მიმდინარეობდა. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, სოროსის დამპყრობელი იდეოლოგია ანადგურებს საქართველოს მომავალს და ამიტომ აუცილებელია მისი იდეოლოგიის გამტარებლების დაგმობა. აქციაზე „კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის“ ლიდერი თემურ ჟორჟოლიანი, ირაკლი წერეთელი, მოძრაობის „ენა, მამული, სარწმუნოება“ ლიდერი გურამ შარაძე და პარტიის სხვა წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

სოროსის ფიტული აქციის მონაწილეებმა სოროსის ფონდთან გადაასვენეს და იქ ნაგვის ურნაში ჩააგდეს.



### ⊙ ინფორმაცია

## მიხეილ სააკაშვილი სერგეი ბაღაფშს შეხვედრას სთავაზობს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიესალმება ქართულ-აფხაზური დიალოგის გაგრძელებას და კვლავ ადასტურებს მზადყოფნას, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე შეხვდეს აფხაზეთის მხარის ლიდერს სერგეი ბაღაფშს.

ამის შესახებ გუშინ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესში ირაკლი ალასანიამ განაცხადა.

ბაღაფშისა და სააკაშვილის შეხვედრის დროს მიზანშეწონილად მივიჩნევთ ეკონომიკური, ჰუმანიტარული, ნდობის აღდგენის და უსაფრთხოების საკითხების განხილვას, — აღნიშნა ალასანიამ.

ალასანიას განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშს შეხვედრას უკვე მეორედ სთავაზობს. ახლა დაველოდებით აფხაზური მხარის რეაქციას და იმედი გვაქვს, რომ პრეზიდენტების შეხვედრა და მოლაპარაკებების გამართვა შესაძლებელი გახდება, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

## ვიზიტი გადაიდო

„გაზპრომის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ალექსეი რიაზანოვის საქართველოში ვიზიტი გადაიდო. ამის შესახებ ჟურნალისტებს სახელმწიფო კანცელარიაში სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ აცნობა. მისი თქმით, რიაზანოვის საქართველოში ვიზიტის გადადების მიზეზი „გაზპრომსა“ და უკრაინას შორის გამართული მოლაპარაკებებია.

„გაზპრომმა“ თვითონ თქვა ამ ეტაპზე საქართველოში ჩამოსვლაზე უარი, ვინაიდან ისინი მოლაპარაკებებს უკრაინასთან მართავენ. რიაზანოვი საქართველოს მომავალ ორშაბათს ეწვევა“, — განაცხადა ბენდუქიძემ.

## საქართველო ულოცავს ყაზახეთს!

საქართველოს პარლამენტმა ყაზახ ხალხს წარმატებული საპრეზიდენტო არჩევნები მიულოცა. როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ პლენარულ სხდომაზე აღნიშნა, ყაზახეთი საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანა და პარტნიორია, ამიტომ იქ ჩატარებული წარმატებული საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოსთვის მისასალმებელია.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საპარლამენტო დელეგაცია ყაზახეთის საპრეზიდენტო არჩევნებს აკვირდებოდა, ამიტომ საქართველოს პარლამენტს შეუძლია მილოცვა და მისასალმებელი სიტყვა გადასცეს ყაზახ ხალხს.

ინტერპრესნიუსი

## საფუძვლიანი იყო თუ კარანტინი

იხ. მე-2 გვ.

### რატომ დაითანხმდა კოკოითი სამშვიდობო ინიციატივას

## თექვსმეტი ნაბიჯი დიქტატურისკენ

იხ. მე-3 გვ.



## სამართალდამცველებმა წელს 15 კრიმინალი მოკლეს, ხვიჩა სიჭინავამ 16 ელვა სირჩინავამ სამი - მიხელ ბაკურაძე ხსნის

## სამართალდამცველებმა წლეულს 15 კრიმინალი მოკლეს, ხვიჩა სიჭინავაძე მეთექვსმეტეა!

იხ. მე-2 გვ.

### ⊙ პანორამა



**ამერიკის** შეერთებულ შტატებში გადაწყვიტეს პირველი კომერციული კოსმოპორტის აგება. კოსმოსში გასაფრენი ბილეთი 200 ათასი დოლარი ეღირება. კოსმოპორტის პროექტის განხორციელება 225 მილიონი დოლარი დაჯდება. ფრანგი დიზაინერის ფილიპ სტარკის პროექტით, კოსმოპორტის 90 პროცენტი მიწისქვეშ განთავსდება. ზემოთ მხოლოდ ასაფრენ-დასაფრენი ბილიკები და რამდენიმე მცირე ნაგებობა განლაგდება.

* * *



**ნიგერიის** სასამართლომ თორმეტივე რუსი მეზღვაური დარბაზიდან გაათავისუფლა, რომლებიც ექვსი თვის განმავლობაში უსაფუძვლოდ ისხდნენ ამ ქვეყნის ციხეში.

* * *

**კორეის** სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას კრიმინალურ ქვეყანას უწოდებს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კორეაში ალექსანდრ ვერშბოუ. სამაგიეროდ, ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება მას ყველაზე „ცუდ“, „ცინიკოს“ ელჩს უწოდებს და ქვეყნიდან გაძევებით ემუქრება.

## მოსკოვი და თბილისი განაიარაღებენ სამხრეთ ოსეთს

იხ. მე-4 გვ.



## ქუთაისს თავისი სულიერი სახე უნდა დავუბრუნოთ

იხ. მე-4 გვ.



**აი, რა განუცხადა „არგუმენტი ი ფაქტის“ აჭარის ყოფილი მეთაურის ერთ-ერთმა მრჩეველმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა მოისურვა: „2004 წლის მაისში, როცა ასლან აბაშიძემ ნებაყოფლობით დატოვა პოსტი, რათა თავიდან აეცილებინა სისხლისღვრა, საქართველოს ხელისუფლებამ მას მისცა ხელშეუხებლობის გარანტია. შემოდგომაზე კი მოხდა მისი ოჯახის 55 მილიონ დოლარად შეფასებული ქონების „ნაციონალიზაცია“.**

## რისთვის სდევნიან ასლან ბაბუს?



მიხეილ სააკაშვილი ცდილობს საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშოროს ღრმა ეკონომიკურ სირთულეებს. მაგრამ აბაშიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცესის ინიციირებით, მძლავრ დარტყმას მიაყენებენ ოპოზიციასაც. უფრო მეტიც, ქვეყანაში სულ უფრო იზრდება სააკაშვილის მიერ განხორციელებული პოლიტიკით უკმაყოფილო ადამიანების რიცხვი. ახლა საზღვარგარეთ გააქტიურდა საქართველოს ყოფილი სახელმწიფო უშიშროების მეთაური იგორ გიორგაძე, რომელმაც შექმნა თავისი პარტია. იმის მიუხედავად, რომ „აჭარის ლომი“ მთლიანად ჩამოშორდა პოლიტიკას, მაინც გავრცელდა ხმები, რომ გიორგაძე და აბაშიძე აპირებენ კოალიციის შექმნას. ჰოდა, საქართველოს ხელისუფლებამაც გადაწყვიტა დაიზღვიოს თავი და საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა აბაშიძეზე. მათი აზრით, ეს აბაშიძეს გაურთულებს ბრძოლას მოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ“.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## გარსშემომვლელი მორბენალი



◎ აზრი

# საფუძვლიანი ეჭვი თუ პარანოია

## რატომ დათანხმდა კოკოითი სამშვიდობო ინიციატივას

**საქართველოს ხელისუფლებამ შარშან ზაფხულში ცხინვალში დიდი შეცდომა კი დაუშვა, მაგრამ სამაგიეროდ მწარე გამოცდილებამ დააფიქრა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოწესრიგების გეგმა შეიმუშავა. ეს გეგმა ლუბლიანაში შეხვედრის დროს განიხილეს, თუმცა, მაშინ ე. წ. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებს აღტაცება არ გამოუხატავთ. ორი დღის წინათ, ყველასთვის მოულოდნელად, ედუარდ კოკოითიმ სამშვიდობო ინიციატივას მხარი დაუჭირა.**

საქართველოში ცოტას თუ აქვს ილუზია, რომ მან ეს გადაწყვეტილება რუსეთისგან დამოუკიდებლად მიიღო. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მთავარი მაინც ის არის, რომ კოკოითი მოლაპარაკებისთვის მზადყოფნას გამოთქვამს. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე მიესალმება ე. წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, თუმცა, ამავე დროს ეჭვსაც გამოთქვამს:

— შეიძლება, ეს დროის გასაყვანი მანევრი იყოს, — ეჭვობს კოტე გაბაშვილი.

კოკოითის გადაწყვეტილების მოტივებს ზუსტად ვერც თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ხსნის. ნიკა რურუა ფიქრობს, რომ ედუარდ კოკოითს, შეიძლება, უბრალოდ არ სურდა, სამშვიდობო ინიციატივა ჩვენთვის დაეთმო.

სხვა ფაქტორებთან ერთად, რურუას აზრით, კოკოითის გადაწყვეტილება საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული სწორი ნაბიჯითაც, ანუ სამშვიდობო გეგმის წარდგენით იყოს განპირობებული. თუ სიტყვას საქმეც მოჰყვება, კონფლიქტის მოგვარების პროცესი დაჩქარდება, — ამბობს ნიკა რურუა. ეჭვმა, რომ კოკოითის წინადადება, შეიძლება, უბრალო ფანდი იყოს, მასაც გაჰკრა, თუმცა, ფიქრობს, რომ ხელისუფლებამ ამაზე ხმამაღლა არ უნდა ილაპარაკოს.

— პარანოიით დაავადებულს არ უნდა დავემსგავსოთ. ხელს გვიწვდიან და უნდა ჩამოვართვათ.

მაშინ, როცა სამშვიდობო პროცესების დაძვრის იმედი ჩნდება, რუსული მედია ჯერ კიდევ გაუნელებელი ცეცხლის უფრო მეტად გაღვივებას ცდილობს. ტელეარხმა „НТВ“-მ გადასცა სიუჟეტი, რომელიც ცხადყოფს, როგორი იდეოლოგიით მუხტავენ რუს ცისფერჩაფხუტიანებს. — მე შევისწავლე საქართველოსა და აფხაზეთის ისტორია და ვიცი, რომ აფხაზეთი ყოველთვის იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, — თქვა ერთ-ერთმა მშვიდობისმყოფელმა. „ნეზავისიმაია გაზეტაში“ კი დაიბეჭდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრის ინტერვიუ, რომელშიც იგი აცხადებს, საქართველოსთან საომრად მზად ვართო.

— არსებობს ასეთი დაავადება — შეუკავებლობა. მათ სწორედ აზრის შეუკავებლობა სჭირთ, — ამბობს კოტე გაბაშვილი. რუსული მედიის საქმიანობით აღშფოთებულმა, ერთი პირობა, საქართველოში ამ ტელეარხების მაუწყებლობის შეჩერებაც კი მოითხოვა. მისი აზრით, რუსული მედიის მიერ გავრცელებულ მასალებში ხშირად მჟღავნდება ანექსიის შეკვეთა.

ქართული მხარის შეურაცხმყოფელი ინფორმაციის გავრცელების გამო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კატეგორიულ განცხადებას ამზადებს. არც სტრასბურგში სარჩელის შეტანა გამოირიცხება.

**რუსუდან გახარია**

# მწვანე შუქი მიზნისკენ მიმავალ გზაზე

**კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ მთავრობის გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ, უარყოფითად შეაფასა „НТВ“-ს არხით გადაცემული სიუჟეტი და დასძინა, რომ შეტევითი დანიშნულების ნაწილების სამშვიდობო მისიის შესასრულებლად გამოგზავნისას, აბსოლუტური ობიექტურობისა და ნეიტრალობის დაცვაა აუცილებელი, მაგრამ, პირიქით ხდება — მათ ინსტრუქციას აძლევენ, რომ აფხაზეთი ყოველთვის დამოუკიდებელი ქვეყანა იყო და იქ ქართველებმა ორმოცი წლის განმავლობაში რაღაც დამპყრობლური ღონისძიებები ჩაატარესო.**

„НТВ“-მ მკითხა, ამის საპასუხოდ რა შეგიძლიათ იღონოთო, ვუთხარი, რომ შევაფერხებთ ასეთი ტიპის შენაერთების ჩამოსვლას საქართველოში, რადგან ამ განწყობით სამშვიდობო ოპერაციების ჩატარება შეუძლებელია-მეთქი.

ასეთი განწყობით ჩამოსული ადამიანები ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ ძალზე მნიშვნელოვან ფუნქციებს, — თქვა გოგა ხაინდრავამ.



სახელმწიფო მინისტრის აზრით, მათი უწყების მიერ მომზადებულ მასალებში სამშვიდობო ოპერაციები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ფაქტობრივად, ჩაშლილია. ჩვენი სიმართლის დამადასტურებელი საბუთი იყო სწორედ რუსეთის ტელევიზიით გადაცემული სიუჟეტი, სადაც პირდაპირ, ჩვენი მონაწილეობის გარეშე გაცხადდა, ჩამოსვლამდე რა სახის მომზადებას გადიან ის ადამიანები.

გოგა ხაინდრავა ჟურნალისტებისთვის გამართულ ბრიფინგზე მიესალმა კოკოითის სამშვიდობო ინიციატივას: ეს არის გზა თანამშრომლობისკენ, ეს არის მწვანე შუქი იმ მიზნისკენ, რომელსაც დიდი ხანია ვესწრაფვით რეგიონში. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამ გეგმის განხორციელებაში არსებობს სრული თანხვედრა და ჰარმონია, როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე ჩვენ ორ მხარეს შორის.

მინდა შევუქო ეს ძალზე წინ გადადგმული ნაბიჯი ბატონ კოკოითს. პოლიტიკური და ადამიანური თვალსაზრისით, ძალიან ვაჟკაცური ნაბიჯია, — თქვა სახელმწიფო მინისტრმა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ სპეცოპერაცია

# სამართალდამცველებმა წლეულს 15 კრიმინალი მოკლეს, რევაზ სარჯველაძე მეთექვსმეტეა!

**ვარკეთილის დასახლებაში თბილისის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ლიკვიდრებულია წარსულში ნასამართლევი, ძებნილი რევაზ სარჯველაძე.**



რევაზ სარჯველაძემ ვარკეთილის დასახლებაში ნაქირავებ ბინაში მის ასაყვანად მისულ სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწია, რის შემდეგაც მისი ლიკვიდაცია მოხდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, რევაზ სარჯველაძე გეგუთის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნისას თავს დაესხა დაწესებულების თანამშრომელს, 2003 წელს კი სხვა პატიმრებთან ერთად გეგუთის კოლონიიდან გაიქცა.

რევაზ სარჯველაძე 2002 წელს უზენაესმა სასამართლომ გაასამართლა ადამიანის გატაცების, მკვლელობის მცდელობის, ჯგუფური ყაჩაღობის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებისთვის და 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

*   *   *

**ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ შეშფოთება გამოხატა.**

**სამწუხაროდ, 2005 წლის განმავლობაში 15 მოკლულ ე. წ. „კრიმინალს“ დღეს მეთექვსმეტე შეემატა. ადამიანის „ლიკვიდაცია“ დამნაშავეობასთან ბრძოლის უკიდურესი ზომაა. მისი გახშირებული შემთხვევები კი, მხოლოდ სამართალდამცველთა არაკომპეტენტურობაზე მიუთითებს.**

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიესალმება დამნაშავეებთან ბრძოლას, მაგრამ მიუღებლად მიიჩნევს პოლიციის მიერ ადამიანთა ლიკვიდაციას და მოუწოდებს გენერალურ პროკურატურას, მოახდინოს რეაგირება აღნიშნულ ფაქტზე და ობიექტურად გამოიძიოს ადამიანთა მოკვდინების გახშირებული ფაქტები.**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ევროკავშირი სამხრეთ კავკასიაში „მეზობლობის პროგრამას“ გვთავაზობს

**13 დეკემბერს ბრიუსელში დასრულდა „ევროკავშირ-სამხრეთ კავკასიის შეხვედრა. ევროპელმა ექსპერტებმა მონიშნეს ის ძირითადი სირთულეები, რომლებსაც აწყდება ევროკავშირის ძალისხმევა რეგიონში ვითარების მოწესრიგების საქმეში.**

ბრიუსელში გამართული შეხვედრის მთავარი მიზანი იყო იმ რამდენიმე ტერიტორიული კონფლიქტის მოწესრიგებისთვის მეტი ძალისხმევის გაღება, რომელთა გამოც 1980-იანი წლების დამლევიდან შენარჩუნებულია დაძაბულობა მთელს კავკასიის რეგიონში.

ევროკავშირისთვის სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენები კარგა ხანს მეორე პლანზე იყო გადატანილი ყოფილ იუგოსლავიის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების გამო. მაგრამ ამ ბოლო ხანებში გაიზარდა სამხრეთ კავკასიის რეგიონის პოლიტიკური მნიშვნელობა. იქ გადის აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ალტერნატიული მარშრუტი, რომელიც შეიძლება გახდეს როგორც კონფრონტაციის

რადიო „დოიჩე ველე“ (გერმანია).
DW-WORLD.DE
DEUTSCHE WELLE

წყარო, ისე მაგალითი თანამშრომლობისთვის. მეორე მხრივ, რეგიონი ესაზღვრება არასტაბილურობის ორ სხვა კერას — ჩრდილოეთ კავკასიას და ეგრეთ წოდებულ დიდ ახლო აღმოსავლეთს, ირანის, ერაყისა და თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონების ჩათვლით.

„ევროკავშირ-სამხრეთ კავკასიის“ თათბირი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ევროკავშირს მტკიცედ აქვს განზრახული მოიკიდოს ფეხი მისთვის ამ მნიშვნელოვან რეგიონში. ეს პოლიტიკა ცნობილია, როგორც იმ სახელმწიფოებთან მეზობლობის პროგრამა, რომლებსაც გაუჩნდათ საზღვრები ევროკავშირთან მისი გაფართოების შემდეგ, და ითვალისწინებს უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარებას, ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების პერსპექტივით.



ბრიუსელში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ლუქსემბურგის, დიდი ბრიტანეთის და ავსტრიის — ევროკავშირის წინა, ამჟამინდელი და მომავალი თავმჯდომარე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები, აგრეთვე, ევროკომისარი საგარეო პოლიტიკის საკითხებში ხავიერ სოლანა, რომლებიც შეხვდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ უწყებათა ხელმძღვანელებს. ყურადღების ცენტრში იყო ორი კონფლიქტის — ქართულ-ოსური და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტების მოწესრიგების საკითხები. სოლანამ გამოთქვა იმედი, რომ „2006 წელი გახდება ამ კონფლიქტების მოგვარების წელი“ და აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონში ეუთოს დელეგაციის ვიზიტს, რომელიც 14 დეკემბერს ეწვია ბაქოსა და ერევანს.

◎ პარლამენტი

# „ყვითელი ბარათი“ მთავრობას

**მთავრობამ გუშინ პარლამენტის თავმჯდომარის შენიშვნა დაიმსახურა.**

როგორც პლენარულ სხდომაზე გაირკვა, მთავრობამ საკანონმდებლო ორგანოში შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის ორი ურთიერთგამომრიცხავი ვარიანტი შეიტანა.

გიგი წერეთელმა განცხადება გააკეთა, მაღალმთიან რეგიონებში დასაქმებულებს 50-პროცენტიანი სახელფასო დანამატი შეუნარჩუნდებათ. „ამის შესახებ კანონპროექტი მთავრობამ გუშინ ჯანდაცვის კომიტეტზე წარუდგინა“, — განაცხადა წერეთელმა.

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი გოდაბრელიძემ კი განმარტა, რომ პარლამენტში შემოტანილია პროექტი, რომელიც სახელფასო დანამატების გაუქმებას ითვალისწინებს.

— მე არ მინდა შენიშვნა მოგცეთ, რადგან ამას შეიძლება მედიაში ქარიშხალი მოჰყვეს. თუმცა, უცნაურია, როდესაც პარლამენტში მთავრობისგან ორი ურთიერთგამომრიცხავი პროექტი შემოდის, — განაცხადა ბურჯანაძემ.

იმის გამო, რომ პარლამენტში ორი ურთიერთგამომრიცხავი კანონპროექტია შესული, უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონპროექტზე კენჭისყრა გადადო.

**ინტერპრესნიუსი**



◎ მთავრობა

# მომავალი წლის ბიუჯეტი 3 მილიარდი ლარი იქნება!

**მთავრობის გუშინდელმა სხდომამ 2006 წლის ბიუჯეტის პროექტზე იმსჯელა. პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის თქმით, ამ საკითხზე მთავრობამ მუშაობა დაამთავრა და ახლა პარლამენტი იმსჯელებს მასზე. სავარაუდოდ, მომავალი წლის ბიუჯეტი 3 მილიარდი ლარი იქნება.**




— იუსტიციის სამინისტროსთვის თბილისში ციხის ასაშენებლად გამოიყოფა დამატებით 9 მილიონი ლარი. ეს იქნება 3 ათას პატიმარზე გათვალისწინებული ციხე. ვფიქრობთ, მშენებლობა მომავალი წლის ბოლომდე დასრულდება. ჩვენ სერიოზულად შევძლებთ პენიტენციურ სისტემაში არსებული პრობლემების მოგვარებას, — თქვა პრემიერ-მინისტრმა.

ბიუჯეტის მიხედვით, სასამართლოებს მიეცემათ დამატებითი ასიგნება 5 მილიონ-ნახევარი ლარი;

სასამართლო რეფორმა ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმაა და დარწმუნებული ვართ, შევძლებთ სასამართლოების რეალურ დამოუკიდებლობას, — დასძინა ზურაბ ნოღაიდელმა. მისივე თქმით, მომავალი წლიდან პირველად გამოიყოფა თანხები სტიქიის პროფილაქტიკისთვის, რომელიც საქართველოში ბოლო ოცი წლის განმავლობაში არ განხორციელებულა. ასევე, დამატებითი ასიგნებები მიმართული იქნება თბილისი-გორის ავტოსტრადისთვის. აშენდება 18-კილომეტრიანი ახალი მაგისტრალი.

პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე დადებითად შეაფასა კოკოითის საპასუხო ინიციატივა: იგი თითქმის იდენტურია ჩვენი სამშვიდობო ინიციატივისა. ამ საქმეში საგულისხმოა რუსეთის დიპლომატიური როლი. ეს მოგვცემს საშუალებას პოზიტივი შევიდეს ქართულ-ოსურ ურთიერთობაში, — თქვა ზურაბ ნოღაიდელმა. მან დადებითად შეაფასა ცხინვალი-ჯავის საავტომობილო გზის გახსნა, რომელიც მნიშვნელოვანია, როგორც დიდი და პატარა ლიახვის სოფლებისთვის, ასევე ჩვენთვისაც... გზის გახსნა საშუალებას მოგვცემს რუსეთში გავიტანოთ ციტრუსები.

პრემიერ-მინისტრმა სოფლის მეურნეობის მინისტრს დავალება მისცა ჩავიდეს დასავლეთ საქართველოში და კიდევ ერთი ინსპექცია ჩაატაროს. გავარკვიოთ, ამ გზის გარდა, სხვა პრობლემები არსებობს თუ არა ციტრუსების ექსპორტთან დაკავშირებით, — დასძინა ნოღაიდელმა.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესში ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიესალმება ქართულ-აფხაზური დიალოგის გაგრძელებას და კვლავ ადასტურებს მზადყოფნას, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე შეხვდეს აფხაზეთის მხარის ლიდერს სერგეი ბაღაფშს.

მისივე განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტი მხარს უჭერს აფხაზეთში კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების მშვიდობიან გზას და შესაძლებლად თვლის ორმხრივ დოკუმენტზე ხელმოწერას, რომელშიც აფხაზურ და ქართულ მხარეთა სამართლიანი ინტერესები აისახება.

**შამშე თამარაშვილი**

# „სამხრეთ ოსეთი მზად არის საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად“

**„სამხრეთ ოსეთი მხარს უჭერს იმ გზას, რომელიც დაიწყო აფხაზეთსა და საქართველოს შორის საომარი მოქმედების განუახლებლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერით და მზად არის გადადგას ანალოგიური ნაბიჯი“. ასეთი განცხადება გააკეთა თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ.**

„ჩვენი ხალხებისთვის ყველაზე მთავარია მშვიდობის შენარჩუნება, სადღე-



„რეგნუმ“ საინფორმაციო სააგენტო.
REGNUM

ისო რეალიებიდან გამომდინარე, მოვამზადეთ მთელი რიგი წინადადებები და იმედი გვაქვს, რომ გაგრძელდება სამშვიდობო დიალოგი“, — თქვა ედუარდ კოკოითმა. როგორც მან აღნიშნა, ყველაზე მთავარია კონფლიქტის სამეტაპიანი მოწესრიგების სქემის შესრულება. „ჩვენთვის უმთავრესია კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია, ნდობის აღდგენა და უშიშროების გარანტიები, სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია და მხოლოდ ამის შემდეგ — პოლიტიკური მოწესრიგება“, — მიაჩნია ედუარდ კოკოითს. ამასთან, სამხრეთ ოსეთის ლიდერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქმე არ ეხება სამხრეთ ოსეთის სტატუსს. „სამხრეთ ოსეთის სტატუსი განსაზღვრა მისმა ხალხმა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმზე და ეს განხილვას არ ექვემდებარება“, — თქვა ედუარდ კოკოითმა.

◎ ინფორმაცია

## მინისტრები პარლამენტარების შეკითხვებს უპასუხებენ

**ფინანსთა** მინისტრი ალექსი ალექსიშვილი და ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი დღეს საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ მოთხოვნით, ფრაქციის სხდომაზე გამოცხადდებიან.

როგორც ცნობილი გახდა, ფინანსთა და ჯანდაცვის მინისტრების ფრაქციის სხდომაზე მისვლას „დემოკრატიული ფრონტის“ წარმომადგენლები ერთი კვირაა მოითხოვენ. „დემოკრატიული ფრონტის“ წარმომადგენლებს მინისტრებისგან პენსიებთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა სურთ.

„დემოკრატიული ფრონტის“ პრესსამსახურში განაცხადეს, რომ ალექსი ალექსიშვილის ფრაქციის სხდომაზე მისვლასთან დაკავშირებით მათ დასტური უკვე მიღებული აქვთ. ლადო ჭიპაშვილს მხოლოდ ოფიციალური მოთხოვნა გაუგზავნეს და ფრაქციის სხდომაზე მის მისვლას დაელოდებიან.

## პროკურატურა სტაჟიორებს შეარჩევს

**საქართველოს** გენერალურმა პროკურატურამ სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება დაასრულა. კონკურსში მონაწილეობის სურვილი სულ 807-მა იურისტმა გამოთქვა, მათგან მხოლოდ 200 შეირჩევა.

გენერალურ პროკურატურაში განაცხადეს, რომ სამეტაპიანი კონკურსი 18 დეკემბერს დაიწყება. გამოცდები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-6 კორპუსში ჩატარდება.

## გენშტაბის უფროსი ბრიუსელში გაემგზავრა

**საქართველოს** თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია, რომელსაც შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი ხელმძღვანელობს, გუშინ ოფიციალური ვიზიტით ბრიუსელში გაემგზავრა.

როგორც „ინტერპრესსნიუსს“ თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, ნატოს შტაბბინაში ქართული მხარე ნატოს გენერალური მდივნის მოადგილეს ჯონ კოლსტონს, ნატოს წევრი ქვეყნების ელჩებს და სამხედრო წარმომადგენლობების ხელმძღვანელებს შეხვდება.

ოფიციალური ვიზიტისას განიხილება ნატოსთან საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. მხარეები ასევე იმსჯელებენ საქართველოს ნატოში ინტეგრაციისთვის აუცილებელ სამომავალო ღონისძიებებზე.

## ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია აჭარაში

**აჭარაში** ახალი ორგანიზაცია „სახალხო მოძრაობა მომავლისთვის“ დაფუძნდა. ორგანიზაციას ჟურნალისტი ნინო კვირიკაძე უხელმძღვანელებს. როგორც ნინო კვირიკაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ორგანიზაცია აპოლიტიკურია, თუმცა ორგანიზაციის უპირველესი მოთხოვნებია გადადგეს უკანონოდ არჩეული უმაღლესი საბჭო და აჭარაში პრეზიდენტის მიერ დანიშნული მთავრობა.

კვირიკაძე უარყოფს რაიმე პოლიტიკურ კავშირს ასლან აბაშიძესთან და ჯემალ გოგიტიძესთან, თუმცა აცხადებს, რომ მისი ორგანიზაცია ითანამშრომლებს აბსოლუტურად ყველა ძალასთან, გარდა „რესპუბლიკელებისა“.

## მაინც ფრთხილად იყავით!

**უსაფრთხოების** მიზნით ქალაქის გაზგამანაწილებელ ქსელში ბუნებრივი აირის ოდორიზაცია განხორციელდა.

როგორც კომპანია „თბილგაზში“ განაცხადეს, გუშინ ქალაქის გაზგამანაწილებელმა კომპანიამ გაზის საერთაშორისო კორპორაციიდან ოდორიზებული ბუნებრივი გაზი მიიღო.

„თბილგაზში“ განმარტავენ, რომ დედაქალაქში ბუნებრივ გაზს თავიდან შეიძლება სუნი ჰქონდეს, თუმცა ეს ბუნებრივი პროცესია და ამის გამო პანიკის საფუძველი არ არსებობს. „თუ გაზის სუნი განსაკუთრებულად მძაფრი იქნება, ამ შემთხვევაში შესაძლოა მომხმარებელმა „თბილგაზს“ მიმართოს“, - აცხადებენ „თბილგაზში“.

## გაქურდეს სარემონტო ბაზა

**საქართველოს** თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტმა სარემონტო ბაზის გაქურდვის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

როგორც „ინტერპრესსნიუსს“ თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, დეპარტამენტში შესული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო წინასწარი ძიება და მე-13 სარემონტო ბაზის სამხედრო მოსამსახურის ვალერი გამბაროვის ბინაში ჩხრეკა ჩატარდა.

სამხედრო პოლიციამ თბილისში, მელითონეთა ქუჩაზე სამი ცალი სახარატო ჩარხი აღმოაჩინა. დანადგარები ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების მე-13 სარემონტო ბაზას ეკუთვნოდა და უახლოეს მომავალში ქართულ მხარეს უნდა გადმოსცემოდა.

## უბაჟო ვაჭრობის მაღაზია „წითელ ხიდთან“

**„წითელი ხიდის“** საბაჟო-გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე უბაჟო ვაჭრობის მაღაზია აშენდება.

როგორც გუშინ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ ნათია თურნავამ განაცხადა, სამინისტრო უახლოეს დღეებში „წითელი ხიდის“ საბაჟო-გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე არსებული 40 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის სასყიდლიანი აღნაგობის ფორმით გაცემის შესახებ კონკურსს გამოაცხადებს.

კონკურსში გამარჯვებული სავარაუდოდ ერთ თვეში გამოვლინდება, რომელიც დაჩქარებული ტემპით ააშენებს მაღაზიას, სადაც ქართული პროდუქცია განბაჟების გარეშე გაიყიდება.

თურნავას განმარტებით, გამარჯვებულს მიწა სასყიდლიანი აღნაგობის ფორმით გადაეცემა და მფლობელი სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად 4 800 დოლარს გადაიხდის.

**ინტერპრესნიუსი**

როცა უთქმელობა დანაშაულია

# თექვსმეტი ნაბიჯი დიქტატურისკენ

### ორი თავი ერთ ჩალმაში

თუ არ ვცდები, 1965 წელს მსოფლიო პროლეტარიატის უკანასკნელმა დიდმა ბელადმა ლეონიდ ბრეჟნევმა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრად თავისი მოლდაველი მეგობარი, გენერალი შჩოლოკოვი დანიშნა. ნიჭიერმა, ენერგიულმა და გამჭრიახმა შჩოლოკოვმა სახელგატეხილ საბჭოთა მილიციას საკმაოდ სწრაფად შესძინა ავტორიტეტი და იგი მნიშვნელობით მრისხანე და ძლევამოსილ КГБ-ს გაუთანაბრა. იმ КГБ-ს, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში არანაკლებ ნიჭიერი, გამჭრიახი და დაუნდობელი იური ანდროპოვი ხელმძღვანელობდა.

ლეონიდ ბრეჟნევი ახლანდელი თაობისთვის, ძირითადად, ქილიკის ობიექტია, მაგრამ იგი საკმაოდ ჭკვიანი კაცი გახლდათ. ბრეჟნევი ძალიან სწრაფად მიხვდა, რომ საბჭოთა კავშირში ტრადიციულად განებივრებული უშიშროების კომიტეტის [illegible]



ნებისმიერ „კარგ" ქვეყანაში რომელიმე ძალოვანი სტრუქტურის (არმია, პოლიცია, უშიშროების სამსახური, შინაგანი ჯარი) უზომო გაძლიერება მთელ ხელისუფლებაზე (საკანონმდებლო, სასამართლო, აღმასრულებელი) ამ ძლიერის კონტროლის დამყარებას ნიშნავს. საქმის ასე შემოტრიალებას თვით ისეთი ტირანებიც კი უფრთხოდნენ, როგორებიც ნაპოლეონი, სტალინი და ჰიტლერი იყვნენ.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა მისი ხელისუფლების დასაყრდენად პოლიცია, მაპატიეთ, ვანო მერაბიშვილი აირჩია. მას დაუქვემდებარა წესრიგის დამცველი, დაზვერვის, კონტრდაზვერვის, სახელმწიფო უშიშროების და მაკონტროლებელი ორგანოები თავისი ოპერატიული სამსახურებით. ფაქტობრივად, ბატონი მერაბიშვილის კონტროლს დაექვემდებარა, აგრეთვე, პროკურატურა, სასამართლო და სპეციალური დანიშნულების რაზმები. ზემოთ რომ პარლამენტში გამართული ოვაციები ვახსენე, ეს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მერაბიშვილის ძალაუფლების ოფიციალური აღიარებაც იყო.

**შს და უშიშროების სამსახურების გაერთიანებით, ვანო მერაბიშვილის განუსაზღვრელი ძალაუფლებით აღჭურვით, პრეზიდენტს მოუვიდა ისეთი გრანდიოზული შეცდომა, რომლის გამოსწორება ძნელზე ძნელი საქმე იქნება. უფრო ძნელი და მტკივნეული, ვიდრე სიამის ტყუპების ქირურგიული ოპერაციით განცალკევებაა.**

ქირურგიული ჩარევის დრო კი ძალიან მალე, სააკაშვილის პრეზიდენტობის პირველი ვადის დამთავრებამდე დადგება.

საქმე ის არის, რომ სამართალდაცვის და უშიშროების სამსახურები ერთმანეთისგან თვისობრივად განსხვავდება და ნებისმიერი მოტივაციით მათი ერთ სტრუქტურაში მოქცევა შეუძლებელია (მუშაობის ეფექტიანობას ვგულისხმობ). ასე იქნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვაღიარებთ, რომ ვანო მერაბიშვილი გენიოსია.

პრეზიდენტის ამ, მეტი რომ არა ვთქვათ, უცნაური გადაწყვეტილების გამო, უკვე დაკარგა ფუნქცია პროკურატურამ და სასამართლომ. ამას ბატონი მერაბიშვილი შესანიშნავად გრძნობს და საკუთარ მოქალაქეებსაც არაორაზ- [illegible] „ჯიბეში უდევს".

ბოლო დროს, მერაბიშვილის უწყების მიერ [illegible] იუსტიციის სამინისტროს „გადაყლაპვის" ჯერიც დადგა.

თუმცა, ეს მაინც არ არის ყველაზე დიდი უბედურება, რაც შეიძლება მეტისმეტად მიმნდობი სააკაშვილის მართლაც მეფურ გულუხვობას მოჰყვეს.

ფაქტობრივად განუსაზღვრელი ძალაუფლებით აღჭურვილ მერაბიშვილსა და იერარქიულად მასზე მაღლა მდგომ პრეზიდენტს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება გარდაუვალია — უბრალოდ, ერთ ჩალმაში ორი თავი რომ მოთავსებულიყოს, ასეთი ამბავი „ათას ერთი ღამის ზღაპრებიდანაც" არ მაგონდება.

ეს გარდაუვალი დაპირისპირება მხოლოდ იმიტომ კი არ არის საშიში, რომ მას, შესაძლოა, ერთ-ერთის კარიერა (ან, იქნებ, სიცოცხლეც) შეეწიროს — **ასეთი დონის დაპირისპირებები, როგორც წესი, დიდი სისხლის ღვრით და, ხშირად, სამოქალაქო ომებითაც მთავრდება.**

თუ უკიდურესად დაძაბულ კრიმინოგენულ ვითარებას და აღრენილ საზოგადოებას არ გავითვალისწინებთ, ჯერჯერობით, ქვეყანაში სიმშვიდეა. პრეზიდენტი სააკაშვილი ძალიან, ძალიან კმაყოფილია მერაბიშვილის საქმიანობით. სააკაშვილი ჯერჯერობით ღრმად დარწმუნებულია, რომ მონსტრი-მინისტრი მერაბიშვილი მის წინააღმდეგ „ცელქობას" ვერც ახლა და ვერც მომავალში ვერ გაბედავს.

**უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროების გაერთიანებით, დიქტატურისკენ კიდევ ერთი ნაბიჯიც გადაიდგა და ქვეყანაში გარდაუვალი სამოქალაქო დაპირისპირების კერაც შეიქმნა. არც იმის დავიწყება ღირს, რომ ეს გაერთიანება რეფორმად შეფასდა და მას პარლამენტის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა. ასე რომ, მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობა ოდესმე მასაც დაეკისრება.**

### დამზღვევები და დამშინებლები

ხანგრძლივი ძიებისა და ექსპერიმენტების შემდეგ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა საქართველოს თავდაცვის მინისტრად ახალი ოსური ავანტიურის ერთ-ერთი ავანჩავანი და ერგნეთის გმირი ირაკლი ოქრუაშვილი დანიშნა. მართალია, ბატონ პრეზიდენტს ამ პოსტზე მის მიერვე დანიშნული სხვა მინისტრების მიმართ რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამს, მაგრამ ჩათვალა, რომ სიტყვაძუნწი და მრისხანესახიანი ოქრუაშვილი ამ პოსტზე ყველაზე შესაფერისი კანდიდატურა იქნებოდა.

ალბათ, ასეცაა. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი ქართული არმია თუ ცხინვალს და სოხუმს ვერ დაიბრუნებს, ამერიკელ ჯარისკაცებს ერაყში ადგილობრივი ტერორისტებისაგან მაინც დაიცავს.

2005 წლის ბოლოსთვის ქართული არმია არ არის ის, რაც გუშინ, მით უფრო, რაც გუშინწინ იყო. იგი მართლაც ძლიერი და მრავალრიცხოვანია (ახლახან ქართული სამხედრო დოქტრინა გამოქვეყნდა და საყოველთაო მოწონებაც დაიმსახურა). თუმცა, მიახლოებითი ცნობები მისი შეიარაღებისა და რიცხოვნობის შესახებ არ ვიცით. წარმოიდგინეთ, არც ის ვიცით, საიდან და რის ხარჯზე ფინანსდება ჩვენი შეიარაღებული ძალები. ყველა თხოვნა არმიის შესახებ ღია ინფორმაციის გამოქვეყნებაზე, თვით დეპუტატებისთვისაც კი უპასუხოდ რჩება. ვიცით მხოლოდ, რომ არმია შეუდარებლად გაძლიერდა.

ამას რა სჯობს, მაგრამ, მოდი, ესეც ვიკითხოთ, რისთვის გვჭირდება ძალიან ძლიერი და მრავალრიცხოვანი არმია?

ეს არ გახლავთ რიტორიკა. ეს კითხვა აუცილებლად მოითხოვს პასუხს. ლოგიკურ და დასაბუთებულ პასუხს ვგულისხმობ, თორემ ოფიციალური წრეების პასუხი ყველას ბევრჯერ მოგვისმენია: „ძლიერი არმია ქვეყნის წარმატების საწინდარია; ქვეყანას სჭირდება ძლიერი არმია; თქვენ რა, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა არაფრად მიგაჩნიათ? ვისაც რა უნდა, ის იყიყინოს, ჩვენ კი არმიას გავაძლიერებთ..." და სხვა მრავალი.

ამავე დროს, ხელისუფლება მტკიცედ ადგას ქვეყნის ტერიტორიული პრობლემების (სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის) მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მოგვარების გზას. არც ერთი პოლიტიკოსისგან თუ სამხედრო პირისგან, თვით უმამაცესი სტრატეგოსის, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძისგანაც კი, განსხვავებული რამ არ თქმულა. რამდენადაც ვიცი, ჩვენი ხელისუფლება კატეგორიულად არ ეთანხმება გივი თარგამაძეზე არანაკლებ სახელგანთქმული სტრატეგოსის, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის ნოდარ ნათაძის მოსაზრებას, რუსეთთან ომის დაფიქსირების თაობაზე. რუსეთთან კი არა, საქართველო თვით თურქეთთან, ირანთან და იაპონიასთან ომსაც კი არ აპირებს. მით უფრო, არც აქ ჩამოთვლილი და არც რომელიმე სხვა ქვეყანა არ აპირებს საქართველოზე თავდასხმას.

ჩვენ კი, ამომრჩევლებს, ყოველდღე მაინც არმიის გაძლიერებაზე გველაპარაკებიან. ჩვენ, ამომრჩევლებმა შესანიშნავად ვიცით, რატომ ზრუნავს არმიის გაძლიერებაზე აშშ (პენტაგონის ბიუჯეტიც კი ვიცით!), რუსეთი, ირანი, ჩინეთი და პაკისტანი, მაგრამ არ ვიცით, რატომ ვზრუნავთ ჩვენ, საქართველოს ხელისუფლება.

მოკლედ, ვარაუდების გარდა აღარაფერი დაგვრჩენია. ვარაუდი კი ასეთი შეიძლება იყოს: საქართველოს ხელისუფლება საქართველოს არმიას აძლიერებს საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ მისი გამოყენების მიზნით; საუკეთესო შემთხვევაში, საქართველოს მოსახლეობის დასაშინებლად!

ამ ვარაუდს ისიც უმაგრებს ზურგს, რომ შინაგანი ჯარი, დაპირებისამებრ კი არ გაუქმდა, თავდაცვის სისტემაში გადავიდა და ადგილობრივი მნიშვნელობის ამბოხებათა ჩასახშობად თუ მოსაშთობად შექმნილ, შესანიშნავად გაწვრთნილ-დაგეშილ კიდევ ერთ „სპეციალური დანიშნულების" რაზმად ჩამოყალიბდა.

დეპუტატ ხათუნა გოგორიშვილის იმედი არა მაქვს, მაგრამ, ვფიქრობ, ევერესტის დამლაშქვრელი დეპუტატი გია თორთლაძე დამეთანხმება, რომ კლდეზე ასვლისას, მთამსვლელი აუცილებლად სამ საყრდენს უნდა ეყრდნობოდეს. ორი ან ერთი ძალიან სახიფათოა — დიდია მოწყვეტის და უფსკრულში გადაჩეხვის ალბათობა. ბატონი პრეზიდენტის მთამსვლელობაზე არ მსმენია, მაგრამ მან უამისოდაც შესანიშნავად იცის, რომ აბსოლუტური ძალაუფლების მწვერვალისკენ მიმავალ ციცაბოზე ერთი ან ორი საყრდენის იმედად ვერ აივლი. მერაბიშვილი თავისი სპეცებით, ნაზებით, პატრულით, ადეიშვილით და კუბლაშვილით დიდი ძალაა, მაგრამ დაზღვევა ყოვლად აუცილებელია. მით უფრო, უზომოდ ძლიერებს ხშირად განდგომისკენ მიდრეკილება უჩნდებათ ხოლმე და პრეზიდენტი გულში შეიძლება ამაზეც ფიქრობდეს. პრეზიდენტმა შეიძლება ძალიან პოპულარული ამერიკული გამოთქმაც იცოდეს — პოლიცია კაცობრიობის ყველაზე გარყვნილი ნაწილიაო და ბოლომდე ვერ ენდობოდეს ურთგულეს თანამებრძოლს. გააჩნია მარშრუტის სირთულესაც: იქნებ ბატონმა მერაბიშვილმა ოდესმე არც იცელქოს, მაგრამ მარშრუტის დასაძლევად (ძლიერი ოპოზიციის ან ძლიერი ავტორიტეტის გამოჩენის შემთხვევაში), მისი ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდეს. ამიტომ არმია მზად უნდა იყოს ოპერაცია „ედელვაისის" უზრუნველსაყოფად.

საფინანსო და კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის პოლიციებიც გავიხსენოთ. უფრო სწორად, გავიხსენოთ მათი მოქმედების ტაქტიკა — დაწესებულებებში, ფირმებში, სახლებში ნიღბიანების შევარდნა, სროლა, დაშინება, შანტაჟი... რაც მთავარია, ყველა მათი მოქმედება (თუნდაც ადამიანებს გულები დაუსკდეთ), თურმე, ყოველთვის მართებულია...

**არმიის, შინაგანი ჯარის, კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის და საფინანსო პოლიციებისთვის დამსჯელი და დასაშინებელი ფუნქციების მინიჭება, დიქტატურისკენ გადადგმული ნაბიჯებია.**

**თეიმურაზ ქორიძე**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 288, 289.

დღის თემა

# მისვალეზ უღს არავინ ამადლის — გამგაპატიოსნეო...

**რამდენიმე დღის წინათ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კახა ლომაია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში მისულა და... ისეთი „ტკბილი" სიტყვა უთქვამს, ქიმიკოსი მეცნიერები ლამის გაუგიჟებია: რეფორმას თქვენი შენიშვნების მიხედვით განვაგრძობთ და ყველაფერს გავითვალისწინებთო. ბოლოს, დასკვნის სახით, ცივად დაუმატებია: დიდ პატივს გცემთ, მაგრამ აკადემიის სისტემიდან თქვენი (და სხვა სამეცნიერო ინსტიტუტებისაც!) გასვლა საბოლოოდ გადაწყვეტილიაო.**

არადა, მეცნიერებათა აკადემია, აკადემიის ინსტიტუტების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები



სწორედ იმისთვის იბრძვიან, რომ ათეულ წლობით შედუღაბებული სისტემა არ დაიშალოს და ქართული მეცნიერება არ დაინგრეს.

ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერებმა ყოველმხრივ გააანალიზეს საქართველოს ახალი კანონპროექტის — **„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ"** ცალკეული მუხლები და ერთმნიშვნელოვნად დაასკვნეს: კანონპროექტი ნაჩქარევი და აბსოლუტურად მიუღებელია!

მეცნიერები ვერაფრით მიმხვდარან, თუ ახალი კანონი კვლევითი დაწესებულებების საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დაბრუნების უფლებას იძლევა, მაშინ რა აუცილებლობითაა განპირობებული მათი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნება და აკადემიის სისტემიდან გამოყვანა?

გუშინ პარლამენტის შენობის წინ მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ათასამდე წარმომადგენელი შეიკრიბა და ერთსაათიანი მდუმარე აქცია მოაწყო. ერთი საათის შემდეგ შეკრებილთ მიმართა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, მოძრაობა „განათლებისა და მეცნიერების გადარჩენისთვის" თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა თეიმურაზ ნანეიშვილმა.

— მეცნიერებათა აკადემიის დაშლის, ნგრევის პროცესი გრძელდება, — განაცხადა მან, — ჩვენ კი თვალებში ნაცარს გვაყრიან, — უნიკალურ კანონპროექტს გთავაზობთო. ეს იმას ჰგავს, ჯერ მოგკლან და მერე დაგამადლონ, უნაკლოდ გაგაპატიოსნეთო. განა შეიძლება წარმატებული რეფორმა უწოდო იმას, რაც ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, გამორჩეულად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხდება?.. ან, სად გაგონილა, სამეცნიერო პერსონალის ხელფასების გაზრდა ინსტიტუტების თანამშრომელთა რიცხოვნობის შემცირების ხარჯზე ხდებოდეს. მეცნიერ თანამშრომელთა ასაკობრივი ზღვარის დაწესება გსმენიათ სადმე? მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში ეს არ ხდება...

* * *

**პარლამენტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, გუშინდელი აქციის მონაწილეთა თხუთმეტკაციანი ჯგუფი პარლამენტის განათლების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარესთან ნოდარ გრიგალაშვილთან იხმეს.**

შეხვედრა ჟურნალისტებისთვის დახურული იყო...

ოთხსაათიანი კამათის შემდეგ, დაღლილ-დაქანცულმა მეცნიერებმა უკმაყოფილოდ დატოვეს ნოდარ გრიგალაშვილის კაბინეტი.

— ძირითად პუნქტში ვერ შევთანხმდით. საპარლამენტო კომიტეტი უკან არ იხევს და ცალკეული სამეცნიერო ინსტიტუტების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბებას ებღაუჭება, — განაცხადა აკადემიკოსმა ჯუმბერ ლომინაძემ.

— კანონპროექტში რამდენიმე საინტერესო, მისაღები პუნქტია, მაგრამ... მთავარ პუნქტში შეთანხმებას, როგორც ჩანს, „ზემოდან" სჭირდება ნებართვა, — გულწრფელად აღიარა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გუჩა კვარაცხელიამ.

— ჩვენი პოზიცია სრულიად სამართლიანია და ამიტომაც არ ვთმობთ მას, — ამბობს კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი...

მეცნიერები უკან დახევას არ აპირებენ. აქციები და პროტესტის ტალღა გაგრძელდება. მანამდე კი, გთავაზობთ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების კოლექტივების წარმომადგენელთა შეკრების მიმართვას საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარისადმი.

**სპარტაკ ქოზულია**

# შევაჩეროთ მეცნიერების ნგრევა!

## საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების კოლექტივების წარმომადგენელთა შეკრების

# მიმართვა

## საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს

**საქართველოს** კანონის პროექტი „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", რაც პირველი მოსმენით უკვე მიიღო საქართველოს პარლამენტმა, ფაქტობრივად, მიზნად ისახავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გარდაქმნას პირთა წევრობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციად და მისგან ყველა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გაყვანას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი კანონი არათუ მოაწესრიგებს საქართველოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა სისტემას, არამედ ამ სისტემაში შეიტანს ქაოსს და დააჩქარებს ხსენებულ დაწესებულებათა დეგრადაციის პროცესს — დაანგრევს საქართველოს მეცნიერებას.

ახალი კანონის ზოგიერთი მუხლი წინააღმდეგობაში მოდის არსებულ კანონმდებლობასთან. ამის მაგალითია კანონში აღწერილი პროცედურა ინსტიტუტების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ. მოჯადოებულ წრეს ქმნის კანონში აღწერილი პროცედურა — მეცნიერთა კორპუსი ირჩევს სამეცნიერო საბჭოს, სამეცნიერო საბჭო ირჩევს დირექტორს, დირექტორი აყალიბებს მეცნიერთა კორპუსს.

თუ ახალი კანონის ავტორები უშვებენ კვლევითი დაწესებულებების საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წიაღში დაბრუნებას, მაშინ აბსოლუტურად გაუგებარია, რა აუცილებლობითაა განპირობებული ჯერ მათი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნება და შემდეგ ამ საფუძველზე აკადემიის სისტემიდან გამოყვანა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების კოლექტივების წარმომადგენელთა შეკრებას მიაჩნია, რომ საქართველოს კანონის პროექტი „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" შედგენილია ნაჩქარევად და იგი უციულობლად გამოიწვევს მეცნიერების ნგრევას ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს პარლამენტის მეცნიერების, განათლებისა და სპორტის კომიტეტის ა.წ. 2 ნოემბრის სხდომაზე გადაწყდა, რომ კომიტეტთან შექმნილიყო სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომელსაც უნდა განეხილა აკადემიისა და, საერთოდ, მეცნიერების რეფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები. სამწუხაროა, რომ ასეთი საბჭო დღემდე არ შექმნილა და კანონის პროექტი პლენარულ სხდომაზე გამოვიდა სამეცნიერო საზოგადოებასთან კონსულტაციის გარეშე.

გთხოვთ დროებით შეჩერდეს აღნიშნული კანონის პროექტის განხილვა და განახლდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომპეტენტურ სპეციალისტთა და ხსენებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მონაწილეობით შემუშავებული იქნება საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ; მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ორივე კანონპროექტი განხილულ იქნეს ერთდროულად.

საკანონმდებლო წინადადებების მომზადებისას, პირველყოვლისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი:

**1. ინსტიტუტებმა მათთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შემდეგ თავად გადაწყვიტონ, დარჩნენ აკადემიის შემადგენლობაში თუ გავიდნენ აკადემიის სისტემიდან, და არა პირიქით, როგორც წარმოდგენილი კანონის პროექტშია გათვალისწინებული — ჯერ გასვლა და შემდეგ დაბრუნება.**

**2. სამეცნიერო პერსონალის ხელფასების გაზრდა მოხდეს არა ინსტიტუტების თანამშრომელთა რიცხოვნობის შემცირებით, არამედ ბიუჯეტის გაზრდის ხარჯზე.**

**3. 2006 წლის ბიუჯეტის პროექტში საბაზო დაფინანსებასთან ერთად გათვალისწინებულ იქნეს აკადემიის გრანტული და პროგრამული დაფინანსებაც.**

ტრანსპორტი

# მოგზაურობა ზესტაფონიდან თბილისს...

## ანუ როგორ გადაგვირჩნენ ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა დედაქალაქები

**წლევანდელი** უთოვლო და თბილი ზამთარი დიდი შეღავათია მათთვის, ვისაც ზესტაფონი-ხაშური-თბილისის საგარეუბნო მატარებლით („ელექტრიჩკით") უწევს მგზავრობა. სხვა შემთხვევაში, ფანჯრებამოღებულ ან მინებჩამტვრეულ ვაგონებში ყოფნა, უბრალოდ, შეუძლებელი იქნებოდა. რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ყველა ვაგონში როდია ფანჯარა ამოღებული. ზოგი შემინულიც კია. მეტიც. ღრიჭოები ბამბით, ქაღალდით ან „სკოტჩითაა" ამოგმანული. ეს — მგზავრების თვითშემოქმედებაა. თან საქმიანობენ, თან — სითბოს ინახავენ, თანაც ერთობიან. მგზავრებისგან განსხვავებით საქართველოს რკინიგზამ, პოსტსაბჭოთა სივრცეში საუკეთესომ, როგორც ამის თაობაზე მისი ხელმძღვანელები მომეტებული თავმდაბლობით აცხადებენ ხოლმე, თბილისში სამგზავრო ვაგონებით ავეჯის, ტონობით ხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასაზიდად მათ პატრონებს კომფორტული პირობები შეუქმნა.

ზესტაფონიდან გამოვა თუ არა, მარელისის დგამ-ავეჯით გამოტენილ ვაგონებს ხაშურში ახლა სხვა სახეობის ტვირთს — კუსტარული წესით ჩამოსხმულ „ბორჯომის" ყუთებს ახვედრებენ.

მატარებელი მიაკივლებს გორის სადგურს და აქ იწყება დიდი ბასტიბუბუ. ვაშლი, კომში, მსხალი, სხვადასხვა სახეობის ბოსტნეულ-ბაღჩეული — ყუთები, ტომრები, ბადურები, ჩანთები, ხელის ურიკები — ყველაფერი ეს ვაგონებშია ასაზიდი.

გორში სამგზავრო ვაგონები, ფაქტობრივად, სატვირთო ხდება. ტამბურები, გასასვლელები, ვაგონის კედლების გაყოლებით ტვირთის შემოსადები თაროები, ყოველი გოჯი თავისუფალი ადგილი ტვირთების მეპატრონეებს მაქსიმალურად აუთვისებიათ. ახლა, როცა ყუთები და ფუთები ვაგონებში აიტანეს, როცა რევიზორებმაც ჩამოიარეს და ლალაც აკრიფეს, — ნუ დავუკარგავთ სიკეთეს მათ, — ბაქანზე შექუჩებულ ხალხს ნებას აძლევენ, ამოვიდნენ და, თუ სადმე თავისუფალ ადგილს ნახავენ, დაიკავონ. გახარებული მგზავრებიც ქურციკებივით მოხტუნაობენ ყუთებზე და ჩანთებზე, ვინ დაჯდომას მოასწრებს, ვინ ფეხზე დგომითაც კმაყოფილია, — ბოლოსდაბოლოს, ვაგონშია და თბილისისკენ მიიჩქარის.

მატარებელი წავიდა და ბაქანიც ერთბაშად დაცარიელდა. რა დროა ახლა? ამად გაირჯება, ვინც ქვეყნის ამ ერთ-ერთ უმსხვილეს სარკინიგზო კვანძზე — გორის რკინიგზის სადგურში საათს დაუწყებს ძებნას. ადრე აქ, წინა საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, შენობაზე უზარმაზარი საათი ეკიდა. როცა დიდი გორელი კრემლში იჯდა და ქვეყანაც საათივით მუშაობდა, გორის სადგურში მოსული ადამიანები დროს ამ საათზე ასწორებდნენ.

დრო მიდის, ადამიანებიც მიდიან, ცისქვეშეთში მუდმივი რა არის, რომ ეს საათი ყოფილიყო! დაბერდა, გაცვდა და რომ აღარავინ მიხედა, გაჩერდა. ათი-თხუთმეტი წელი ასე იყო. ერთხელაც „საქართველოს რესპუბლიკა" „პენსიაზე გასულ" (ანუ უყურადღებოდ და უპატრონოდ მიგდებულ) საათს თავის ფურცლებზე გამოესარჩლა. საქართველოს რკინიგზის თავკაცებმა რომ წაიკითხეს, გორელ კოლეგებს ურჩიეს — ადექით და ჩამოხსენით, ემანდ კიდევ რაიმე ხათაბალას არ გადაეყაროთო...

ახლა რკინიგზის გორის სადგური, შესაძლოა, უსაათოდ დარჩენილი ერთადერთი სარკინიგზო კვანძია საქართველოში და თუ ვაგზლის მორიგემ ნამძინარევი ხმით არ აუწყა მგზავრებს, რომელი მატარებელი საიდან გამოვიდა, როდის მოვა და სად მიდის, ბაქანზე უთავბოლო სირბილი ატყდება.

რევიზორს ისე არავინ სძულს, როგორც ბილეთიანი მგზავრი, რადგან ის იმ ადგილს იკავებს, სადაც ერთი ტომარა კომბოსტო კიდევ დაეტეოდა. მგზავრმაც კარგად იცის ეს და ამიტომაც დამნაშავის თვალით შესცქერის საქართველოს რკინიგზის წარმომადგენელს (პოსტსაბჭოთა სივრცეში რომ... თუმცა, ამის თაობაზე ხომ დასაწყისში ვისაუბრეთ), ისიც გამოართმევს ბილეთს, ხელში გადაატრიალ-გადმოატრიალებს, შუქზე გახედავს (რევოლუციური სიფხიზლეა საჭირო!), უკმაყოფილოდ გადააქნევს თავს და ახლა იჭვნეულ მზერას სხვა მგზავრზე გადაიტანს.

ვაგონში ერთობიან — კარტს თამაშობენ, კროსვორდს ჩაჰკირკიტებენ, ამთქნარებენ, წარბებს იქნიან, საუბრობენ. კარგ ხასიათზე არიან რევიზორებიც — დღეს ტონაზე მეტი ტვირთი ამოიტანეს ვაგონებში.

ამასობაში მატარებელი ჯერ გრაკალთან გადავიდა მტკვარზე გადებულ ხიდზე, მერე ძეგვთან უკან გადმოვიდა, მერე ზაჰესთან ისევ მტკვრის მარცხენა ნაპირზე აღმოჩნდა და აჰა, თბილისის რკინიგზის ბორჯომის ბაქანიც! აქ ყველა ტვირთს თავისი გადამყიდველ-სპეკულანტი ჰყავს. თუმცა ეს ტერმინები დღევანდელი სასაუბრო ლექსიკონიდან უნდა განვდევნოთ. საბაზრო ეკონომიკის ენაზე მათ რეალიზატორები ჰქვია. მატარებელი ჯერაც არ გაჩერებულა, ისინი კი ღია ფანჯრებიდან ვაგონებში ხტებიან — კლიენტებს იქვე ურიგდებიან. ბაქანზე კი ჭუჭყი, ნაგავი, გნიასი და ზედახორაა. მთელი ეს ნაცნობი პეიზაჟი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მშობლიურ დედაქალაქში ჩამოვედით.

**გურამ პავლიაშვილი**

**P. S. საბჭოეთიდან ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ერთი ფეხით გაგვასწრეს, თორემ სანიმუშო წესრიგის და მაღალი კულტურის ქალაქის წოდებისთვის ბრძოლაში სამივე დედაქალაქს — რიგასაც, ვილნიუსსაც და ტალინსაც სასტიკად დავამარცხებდით.**

**გ. პ.**

იმერეთის მხარე

# ქუთაისს თავისი სულიერი სახე უნდა დავუბრუნოთ

## გვესაუბრება ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიგა ჩოგოვაძე



სულ ცოტა ხნის წინათ ქუთაისის სახელისუფლო კრიზისზე რესპუბლიკის თითქმის ყველა გაზეთი წერდა. არჩეული მერის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტა, შამიაშვილის შემდეგ მოსული რწმუნებულის ნებას დაუკავშირდება. ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლად მან თავისი მეგობარი, — წარმოშობით ქუთაისელი, მოჭადრაკე გია გიორგაძე დანიშნინა საკრებულოს, თუმცა რწმუნებულის წინააღმდეგ აგრესიულ ტალღას, გიორგაძეც ვერ გადაურჩა. ახალი რწმუნებულმა - გია გეგეჭკორმა, თავისი რამდენიმეთვიანი კარიერა გამბარებული „ბოთლების სკანდალით" დაასრულა და როგორც ქუთაისში ამბობდნენ, იმით გადაუხადა ქალაქს სამაგიერო, რომ „მთელი ქუთაისი რამდენიმე თვით დასვა ბოთლებზე" თავისი არჩევნით — მერის მოვალეობის შემსრულებელ გაზეთ „ალიას" 30 წლის კორესპონდენტი ბესო გულორდავა დატოვა. ამ უკანასკნელმა, იმის ნაცვლად, რომ საკუთარი თავისთვის ეკითხა, როგორ მოხვდა ამ „გაუგებრობაში", იგივე საკრებულოს, ვინც რამდენიმე თვის წინათ ხმა მისცა მის დანიშვნას, აშკარა ომი გამოუცხადა თანამდებობიდან მისი გადაყენების შემდეგ.

დღეს ქუთაისის მერის მოვალეობის ახალი შემსრულებელი ჰყავს, ტრადიციული ქუთაისური ოჯახის წარმომადგენელი, ქალაქს სისხლხორცეულად დაკავშირებული 38 წლის გიგა ჩოგოვაძე, რომელსაც არც ცოდნა და მიზანსწრაფულობა, არც ფიზიკური აღნაგობა დააკლდება, რომ საკუთარი ხელი დაატყოს ქალაქს. მასთან საუბარი ამ ნიშნით წარვმართეთ:

**— პირველ რიგში, ცოტა რამ თქვენს შესახებ.**

— დავიბადე ქუთაისში 1967 წელს. დავამთავრე მეორე საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. ცოტა ხნით ტექნიკურ უნივერსიტეტში ვიმუშავე, საკანდიდატო ხარისხი იქ დავიცავი.

**— თემა?**

— თემის სახელწოდება ასეთი გახლდათ — „ავტომატიზირებული მართვის სისტემა ვირუსული B ჰეპატიტის მკურნალობისას."

**— სამედიცინო თემას უფრო ჰგავს.**

— კვლევით ნაწილზეა ჩვენს თემაში აქცენტი გაკეთებული. ინფექციურ საავადმყოფოსთან ვთანამშრომლობდით, ქალბატონი მ. ბოცვაძე გვაწვდიდა მასალებს. მთავარი აქ რისკ-ფაქტორის ძიება იყო და ეს სუფთა მათემატიკური ამოცანა გახლდათ.

ამის შემდეგ მუშაობა დავიწყე კანცელარიაში სახელმწიფო მრჩევლად, მრეწველობისა და ენერგეტიკის განყოფილების გამგის მოადგილედ, 2000 წელს სახელმწიფო კანცელარიაში გადავედი ელექტრორეგენერაციის (სსიპ) თავმჯდომარის მოადგილედ, 2003 წლიდან თავმჯდომარედ, შემდეგ ქუთაისში გადმოვედი მერის მოადგილედ და ამჟამად მერის მოვალეობას ვასრულებ.

**— ოჯახურ მდგომარეობაზე რას იტყვით?**

— მყავს მეუღლე და სამი შვილი. ვაჟი 13 წლისაა, გოგონები - 10 და 3 წლის.

**— რა არის თქვენთვის ქუთაისი?**

— ქუთაისი ჩემი ბავშვობაა, ჩემი ოჯახი და მთელი ჩემი ცხოვრების საუკეთესო ნაწილი. ეს ის ქალაქია, სადაც ყოველ ახალ წელს და აღდგომას ვხვდები. 20 წელიწადი თბილისში ვიცხოვრე, მაგრამ არასდროს ქუთაისის გარეშე არ ვყოფილვარ.

**— არ ფიქრობთ, რომ ქუთაისის მერობა მეტისმეტად მძიმე ტვირთია?**

— არა მარტო ახლა, მერის მოადგილედ რომ მოვდიოდი, მაშინაც ვფიქრობდი ამ ტვირთზე, მაგრამ მშობლიურ ქალაქში, ვფიქრობ, ბევრი კარგი რამ შემიძლია გავუკეთო ქალაქს. ვიცი, რომ ყოველთვის მართალი ვიქნები მის წინაშე. თავს არ დავზოგავ. როცა ამ თანამდებობიდან წავალ, მინდა კაცურად ვიამაყო, რომ ესა თუ ის საქმე მე დავიწყე და შეიძლება ბოლომდე ვერ მივიყვანე, მაგრამ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ცხადია, გადაწყვეტილება ვერ იქნება ყველას მოსაწონი, მაგრამ მირჩევნია, რისკზე წავიდე და ის გადაწყვეტილება მივიღო, რაც ქალაქისთვის ყველაზე ოპტიმალურია.

დიდი სურვილი მაქვს მოსახლეობამ ოდნავი შვება მაინც იგრძნოს, რაღაც სასიკეთოს ჩაეყაროს საფუძველი. იმის ილუზია არა მაქვს, რომ ახალ ქუთაისს ავაშენებ,. აქ საუბარია იმაზე, რომ ვიდრე აქ ვიქნები, ისეთ დადებით პროცესებს დავუდო სათავე, ჩემი მცირედი წვლილი 10 წლის შემდეგაც გამოჩნდეს...

**— გამორჩეულ ოჯახის შვილობას ერთი სუსტი ადგილი მაინც აქვს.**

— რას გულისხმობთ?

**— პირველ რიგში იმას, რომ არ გიტოვებს უფლებას წინაპარზე უკეთესად არ გაისარჯო. სულ გესმის — ეს მისი შვილია, ეს მისი ძმისშვილია, ეს მისი შვილიშვილია და ა.შ. სულ მათ ჩრდილში ყოფნას კი თქვენი ნატურის ადამიანი, არა მგონია, დიდხანს შეეგუოს.**

— რა თქმა უნდა, გეთანხმებით. ჯერ ერთი, ნამდვილად ტვირთია, როცა წამდაუწუმ გახსენებენ „ის ვის გორისა ხარ", სასიამოვნოა, თუმცა ზოგჯერ უხერხულობაშიც ვარდები. ბაბუაჩემი რომ გარდაიცვალა, ყოველი წლის მეგობრები მის საფლავზე იკრიბებოდნენ — სათაური რიტუალი იყო. თითქმის ყოველ წელიწადს აკლდებოდნენ თითო-ოროლა მეგობრები, ბოლოს ბატონი კოლია არაბული დარჩა და მაინც აგრძელებდა ტრადიციას. დღესაც ბევრი მისი ნამოწაფარი იხსენებს ბაბუაჩემს. ასევე, ბევრს ახსოვს მამაჩემიც და, ყველაფერი ეს, მართლა არ მიტოვებს უფლებას, თავდაუზოგავად არ ვიმოქმედო.

**— დედა როგორ შეხვდა თქვენს მერობას?**

— დედა ვიცე-მერობასაც განცდით შეხვდა და დღესაც უფრო იმის განცდა აქვს, ვაითუ, ისე ვერ გამომივიდეს საქმე, როგორც მას უნდა და საქმეს სჭირდება. თუ ყველაფერი კარგად გამოვა, რა თქმა უნდა, ამაყი და ბედნიერი იქნება.

**— თქვენი აზრით, რა არის პირველ რიგში გასაკეთებელი ქუთაისში?**

— არ ვიცი როგორ გითხრათ, ცუდმა დიასახლისმა იცის, ჯერ ერთ საქმეს გააკეთებს, მერე მეორეს და ა.შ. ჩვენ გვინდა, რამდენიმე მიმართულებით ვიმუშაოთ ერთდროულად. ყოველ შემთხვევაში, სასიკეთო პროცესები უნდა დავიწყოთ. ძალიან მინდა, ახალმა სიომ დაბეროს ქუთაისში და გამოაცოცხლოს ქალაქი. ქუთაისი ყოველთვის იყო ნათელი, მხიარული სახეების ქალაქი. დღეს განსაკუთრებით თვალში საცემია არა მარტო ეკონომიკური, არამედ სულიერი გაჭირვება და ეს ყველაფერი ფეხით მოსიარულე ადამიანებს თვალებში და სახეზე კი არა, ზურგზეთაც ეტყობათ, ისე არიან დროის უღელმობითი მოხრილნი და დაბინავებულნი.

ქალაქის განვითარების ყველაა მიმართულება ზუსტად უნდა იყოს გათვლილი. თანხები მოიძებნება, ცენტრალური ხელისუფლება მხარს გვიჭერს. პირველ რიგში, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საკითხებს, ბოლოს და ბოლოს, გადავწყვეტთ. არანაკლებ პრინციპული და მნიშვნელოვანია ქუთაისის კულტურული ცხოვრების გააქტიურება.

**— თუ არ ჩავთვლით „ვარდების რევოლუციის" 2 წლისთავისადმი მიძღვნილ ფეიერვერკს, რაც, თურმე რამდენიმე ათეული ათასი ლარი დაჯდა, ქალაქი მკვდარია, გიორგობის ღამესაც, ნახევარი ქუთაისი ბნელში შეხვდა.**

— ის თანხა, მილიონიც რომ ყოფილიყო, მიზნობრივი გახლდათ და ერთ თეთრსაც ვერ გამოვიყენებდით სხვაგან. ისე კი, გეტყვით, რომ ძალიან ბევრი რამ გვაკლია, რომ ქუთაისმა კვლავ დაიბრუნოს საქართველოს ტრადიციული სულიერი მისია. ათეული წლების მანძილზე მისგან ისე გაედინებოდა სულიერი ენერგია და ინტელექტი, რომ სადღეისოდ მეტისმეტად მწირად გამოვიყურებით.

**— რაც არის, არც ისაა განებივრებული ხელისუფლების ყურადღებით.**

— არ უარვყოფ, აღიარება კი, ხომ იცით, რასაც ნიშნავს.

**— დღევანდელი ხელისუფლების უპირველეს ნაკლად ის მიმაჩნია, რომ ხალხი მაყურებლის როლშია, თვითონ დგას განათებულ ავანსცენაზე და ჰგონია, მთელი ქვეყანა ასეთივე ნათელშია. თან უკვირს კიდეც, ამდენს ვაკეთებთ და ტაშის დაკვრაც ეზარებათო...**

— ის, რაც ორი წლის შინათ მოხდა, უნდა მომხდარიყო.

— ეს აუცილებელიც იყო.

— ცვლილებების გარეშე უკვე სუნთქვაც ჭირდა. ისიც ჭეშმარიტებაა, რომ დასავლეთის პრობლემა მთელი ქვეყნისათვის ძირეულადაა. უნდა მოიძებნოს ისეთი რამ, რაც ათეულ წლებს გაუძლებს, ანუ ისეთ სამრეწველო დარგს უნდა მივაგნოთ, რაც ბუნებრივი იქნება ქუთაისისთვის. საქართველო, გვინდა თუ არა, თავისი ისტორიულობით და ტრადიციით, აგრარული ქვეყანაა.

**— და ეკოლოგიური ოაზისივითაა შემორჩენილი მთელი მსოფლიოს მასშტაბით.**

— დიახ, ასეა! საკუთრებით რომ ქართველს თავის დროზე ხელიც ნაწილად ჰქონდა მიწა, ყველა გაბატონებული, დოვლათი მოსავალით და ქალაქის გადაცემა ჩვენ დაგვეხმარებოდა, მაგრამ ერთი რამ მიკვირს, ამ დარგში სპეციალისტების შესახებ არაფერი ისმის. ჩვენ უფრო გადაგვაქვს, სავაჭრო ბიზნესის განვითარებაზე ვფიქრობთ. არადა, ის ქვეყნები, რომლებიც ბიზნესის მისამართით ღრმა რაიონებში დაბანაკდნენ, რაიონულ ცენტრებში ... ქალაქ ზამბიაში გოლიათურ ბიზნესებში მსხვილ შესახებ წარმოებას დგამს.

ქართველი მიხეილ აკობოლიძე ისეთ ვარაუდს გამოთქვამს, რომ ვიმედოვნებ, ახლაც ცენტრალური ხელისუფლება ჩვენი ქალაქის განვითარებაზე ერთად ფიქრის მიზნით ... ჩამოყალიბდება საერთო ინტერესი ...

**— კარგია ეგ ყველაფერი, თუმცა, ხშირად მეპარება ხოლმე ეჭვი ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაში. სამშვილდე წარმოშობის ადამიანისთვის მშობლიური ალორძინება სულით და გულით სჭირს ქართველ გლეხს იმის გამო, რომ თურქული და ირანული ტომატი, ხახვი, ნიორი და კარტოფილი არ შეიძინოს? ქართულ მიწას ისე ეპატრონება გადამთიელი, თითქოს არ ვიცოდეთ მისი ფასი.**

— არა მგონია, რომ ცენტრალური ხელისუფლებიდან ვინმე შემიშლიდეს ხელს ამ საკითხის გადაწყვეტაში. სამხარეო ადმინისტრაციისა და ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატის იმედი გვაქვს. ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ჩვენთან ერთად ეცდება ქუთაისის მოსახლეობას გარკვეული დახმარება აღმოუჩინოს.

**— ბევრ ქუთაისელს დაავიწყდა ქალაქური ცხოვრების წესი.**

— ისეთ ხალხს მე „მისამართით ქუთაისელებს" ვეძახი... სისხლითა და ხორცით უნდა იყო ქუთაისელი, სულით უნდა გრძნობდე ამ ქალაქს. ზაფხულში ჩემი ამხანაგები რომ ჩამოდიოდნენ, გვიან ღამემდე უწყდებოდა საცხოვრებლად აქ გადმოსვლა, — ისეთი თბილი, ყურადღებიანი და არისტოკრატული იყო ყველაფერი ირგვლივ, ნამდვილად შეუძლია ქალაქს საკუთარი. ვინც არ იცის ეს ქალაქი, მათთან გასაგებად ვთქვა: ქუთაისი ქართული ტრადიციების არსებობის კოცონია. შეიძლება ქუჩები არ კაცდებოდეს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ დამშვიდებული საქართველო ამ ქალაქიდან გადაიქცევა. დღეს ქვეყნის მესვეურები ცდილობენ, საქმე მოაწესრიგონ. ჩვენ სერიოზულად ვფიქრობთ ზრუნვა ამ საკითხზე და არც შევეცდებით იმას, რომ ქუთაისი ხელახლა კულტურული და ცივილიზებული ქალაქი გახდეს. რამდენიმე ჯგუფი და სტუმარი ქუთაისის სოციალური ფონი.

**— იმერეთს ბედი არ სწყალობს რწმუნებულებში. იმედია, თქვენს სახელისუფლო კარიერას უარყოფითად არ შეუხება აკაკი ბობოხიძის წასვლა.**

— რა თქმა უნდა, არა! ისე კი, გულით მაინც მწყდება — ბატონ აკაკის ძალიან ბევრი სასარგებლო პროექტი ჰქონდა იმერეთისა და, კერძოდ, ქუთაისის შემდგომი განვითარებისთვის.

**— რადგან ის მაინც ქუთაისში რჩება, თანაც, მმართველი პარტიის საშუალო წევრია, ალბათ, ეცდება საშუალება დაეხმაროს პროექტების განხორციელებას.**

— დავეყრდნობით იმედს მოვლენების განვითარებას.

ესაუბრა
ცირა შალაშვილი
ქუთაისი-თბილისი.



ინფორმაცია

### ვინც დაზარალებულთა ცოდვა დაიდო...

ჯიქიას ქუჩა №5-ში მდებარე სს „ელვას" ადმინისტრაციული შენობა თბილისში, 2002 წლის 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულებმა დაიკავეს.



„საქართველოს მოსახლეობის ერთიანობისა და სოლიდარობის კავშირში" განაცხადეს, რომ აღნიშნული შენობა ქონების მართვის სააგენტომ ჯერ კიდევ 2002 წელს მიწისძვრით დაზარალებულთა დროებითი თავშესაფრის სახით გამოყო, თუმცა ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობა ამ ფაქტს აქამდე მალავდა.

### კრედიტი, რომელიც წყალს მოიტანს

2006 წლის მეორე კვარტლიდან რუსთავის წყალმომარაგების სისტემის სრული რეაბილიტაცია დაიწყება.

როგორც რუსთავის მერის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ნადაშვილმა „ინტერპრესნიუსთან" საუბარში განაცხადა, რამდენიმე დღის წინათ პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, მუნიციპალური განვითარების ფონდის „იბიარდის", მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ რუსთავის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის 13-მილიონიან კრედიტს გამოყოფენ.

ინტერპრესნიუსი

### მომავალ კონკურსანტთა სერტიფიცირება

სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" გუშინ განახლდა საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის მსურველთა სერტიფიცირება. იგი ტესტური გამოცდის სახით ტარდება. ეს პროცესი თბილისში 17 დეკემბერს დასრულდება, ხოლო პირველადი მონაცემები 18 დეკემბერს გახდება ცნობილი. ამის შემდეგ საპრეტენზიო კომისია ტესტირებით უკმაყოფილო კონკურსანტების საჩივრებს განიხილავს. ამ პროცესის დასრულებისთანავე 21 დეკემბერს სერტიფიცირების საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება. სერტიფიცირებაში 740-მდე კონკურსანტი მიიღებს მონაწილეობას.

სერტიფიცირების პროცესის წარმატებით დასრულებისა და სერტიფიკატის მოპოვების შემდეგ მოქალაქეს უფლება ეძლევა, საარჩევნო ადმინისტრაციის ვაკანსიებზე გამოცხადებულ კონკურსში მიიღოს მონაწილეობა.

### „განთიადი" 30 წლისაა

14 დეკემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის შენობაში ჟურნალ „განთიადის" იუბილე აღინიშნა.

„30 წლის იუბილეს ვმართავთ იმიტომ, რომ ხელისუფლებას შევახსენოთ საქართველოში კიდევ არსებობს ლიტერატურული ჟურნალი „განთიადი", რომელიც, სამწუხაროდ, არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ" — განაცხადა მწერალთა კავშირის წევრმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა რევაზ მიშველძემ.

### ახლა სიტყვა პროკურატურაზეა

თბილისის მერი გიგი უგულავა თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩაზე მდებარე გ. ეგნატიშვილის სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური მზადების სპორტულ სკოლას ეწვია.



მერმა სკოლის ხელმძღვანელობას ის გადაწყვეტილება გააცნო, რომლის თანახმადაც, სკოლის ეზოში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი მოეწყობა. ასეთი მოედანი სკოლის მოსწავლეებს აქამდე არ ჰქონიათ.

სპორტსკოლაში განაცხადეს, რომ ტერიტორია 1997 წელს, ქალაქის მაშინდელი ხელისუფლების მიერ შპს „უტაზე" უკანონოდ გასხვისდა. დღეს სკოლის ხელმძღვანელობას უგულავამ აუწყა, რომ სკოლის ტერიტორიის გასხვისების საქმე მოკვლევის მიზნით გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა.

მერის ინიციატივით, ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი დაახლოებით ერთ თვეში მოეწყობა.

მედიანიუსი

### უფასო სადილი ქარელელ ღარიბებს

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ორგანიზებით გუშინ ქარელის რაიონში უფასო სასადილო გაიხსნა, რომელიც ყოველდღიურად სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ 50 ადამიანს უფასოდ მოემსახურება. „ნაცმოძრაობის" წარმომადგენელმა თემურ გრიგალაშვილმა განაცხადა, რომ სასადილო პროექტის — „100 უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის" ფარგლებში იხსნება და ის რიგით მეთოთხმეტეა, რომელიც ამ პროექტის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით უკვე ამოქმედდა.

ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის წევრები ბესო ჯუღელი და რატი სამყურაშვილი დაესწრნენ. მათ უკიდურესად გაჭირვებულთათვის განკუთვნილი ულუფა თავადაც დააგემოვნეს.

„ნაციონალების" ორგანიზებით უფასო სასადილოები დღეს ქედასა და ხულოში, ასევე ხაშურის რაიონში გაიხსნება.

ინტერპრესნიუსი

ინფორმაცია

### ხალხმა თავად იცის ყველაფერი...



ზუგდიდის მაჟორიტარ დეპუტატ გოჩა ფიფიას განცხადებით, 19 ნოემბერს ზუგდიდში ქალბატონების გატაცებასთან დაკავშირებული დამნაშავე თითქმის დადგენილია. დამნაშავე თვითონ ხალხმა დაადგინა. ზუგდიდის მოსახლეობამ აღმოაჩინა, რომ საკრებულოში ზვიად ძიძიგურზე თავდამსხმელი იყო ერთ-ერთი მონაწილე 19 ნოემბერს ზუგდიდში მანდილოსნების გატაცებისა, — განაცხადა ფიფიამ.

მისივე თქმით, პროკურატურა არანაირ დაკითხვას არ აწარმოებს 19 ნოემბრის ფაქტის გამოსავლენად და საქმე, ფაქტობრივად, შეჩერებულია.

### სასწავლო მოდულების პრეზენტაცია

საქართველოს შსს აკადემიისა და ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" ორგანიზებით, 16 დეკემბერს პოლიციელთა პროფესიული მომზადების ინტერაქტიული სასწავლო მოდულების პრეზენტაცია გაიმართება. მოდულები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მსხვერპლთან ურთიერთობა და სხვა.

მოდულების პრეზენტაცია სასტუმრო „თბილისი-მარიოტში" გაიმართება. ღონისძიებაზე მოწვეულები არიან საქართველოს შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი, შსს მაღალჩინოსნები, შს აკადემიის რექტორი ლევან იზორია, ექსპერტები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

### „აფხაზეთი ახალი საქართველოს რეალობაში"

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო აცხადებენ კონკურსს თემაზე — „აფხაზეთი ახალი საქართველოს რეალობაში" შექმნილი საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოების გამოსავლენად.

როგორც კულტურის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა სალომე კაპანაძემ განაცხადა, კონკურსის მიზანია შეირჩეს მცირე ფორმის საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოები — სიმღერა, რომანსი ან საფორტეპიანო პიესა.

ინტერპრესნიუსი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## სამხრეთ ოსეთი დათანხმდა კომპრომისს საქართველოსთან მოლაპარაკებაში

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ
ირინე ბარამიძე,
„ნოვიე იზვესტია", 14 დეკემბერი.

**თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელმა გაუგზავნა წერილი რუსეთის, საქართველოს პრეზიდენტებს და ეუთოს სახელმწიფოთა მეთაურებს, რომელშიც ჩამოაყალიბა, თუ როგორ ესახება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების გზები. 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარე დაპირისპირების დროს, პირველად მოხდა, რომ ცხინვალის ინიციატივებს თბილისში გაღიზიანებით არ შეხვედრიან. პირიქით, ეს წინადადებები იქ გარკვეული იმედითაც კი აღიქვეს და ამის გამო რუსეთს მადლობაც გადაუხადეს.**

სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტმა საქართველოს ხელმძღვანელობას შესთავაზა ერთობლივი მუშაობის დაწყება კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების კონკრეტულ პროგრამაზე. ინიციატივამ, რომელიც გამოთქვა კოკოითიმ, გააკვირვა და გაახარა თბილისი. „ეს წინადადებები ჩემთვის მოულოდნელი იყო. მოხარული ვარ, რომ ისინი ემთხვევა კონფლიქტის მოწესრიგების ჩვენს გეგმას", — ასეთი რეაგირება მოახდინა კოკოითის ინიციატივაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა თბილისში გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე. საქართველოს მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა რუსეთს სამხრეთ ოსეთის რეგიონთან ურთიერთობის ნორმალიზაციაში ხელის შეწყობის გამო.

სამხრეთ ოსეთის ლიდერმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩის, შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარის ვალერი კენიაკინის ცხინვალში ვიზიტის შემდეგ. არ არის ცნობილი, თუ რაზე ილაპარაკეს კენიაკინმა და ცხინვალის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: ისინი უფრო ხალისით დათანხმდნენ საქართველოსთან დიალოგს. როგორც თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე განმარტა მოსკოვის სპეციალურმა წარგზავნილმა, კოკოითის წინადადებებში ახალია ის, რომ იგი თბილისს სთავაზობს ცალმხრივი ინიციატივებიდან ქართულ-ოსური კოორდინირებული პროგრამის ერთობლივ შემუშავებაზე გადასვლას. დიპლომატის აზრით, ასეთი მიდგომა ეფუძნება ორმხრივი თანამშრომლობის ინტერესებს და დადებით შედეგებს მოიტანს.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ, კოკოითის მიერ გადადგმულ ასეთ ნაბიჯს ბრძნული უწოდა. მან აღნიშნა: ბოლოს და ბოლოს გაჩნდა იმის იმედი, რომ მხარეები სიტყვიდან საქმეზე გადავლენ. „უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციას", — თქვა ხაინდრავამ. მან ასევე განაცხადა, რომ კავკასიაში კონფლიქტების მოწესრიგება შეუძლებელი იქნება რუსეთის უშუალო მონაწილეობის გარეშე, რომელსაც, ამ თვალსაზრისით, დიდი პოტენციალი აქვს. ამ ეტაპზე ერთადერთი უთანხმოება გამოიწვია იმან, რომ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა მუშაობის დაწყების ვადების დადგენა.

## მოსკოვი და თბილისი განაიარაღებენ სამხრეთ ოსეთს

НЕЗАВИСИМАЯ
ვიქტორ იადუხა,
„ნეზავისიმაია გაზეტა", 14 დეკემბერი.

ის, რომ რუსეთმა მოიწონა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგებისთვის გამიზნული საქართველოს გეგმა, კარდინალურად ცვლის სიტუაციას კავკასიაში. ლუბლიანაში ეუთოს სამიტის შემდეგ, ცხინვალის აღშფოთებული წარმომადგენლები მოსკოვისგან ახსნა-განმარტებებს მოითხოვდნენ და კომენტარების დროს აღნიშნავდნენ, რომ არ სურთ ცნონ ლავროვის მიერ გაკეთებული განცხადების ლეგიტიმურობა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ არასწორად გაიგეს მათი მეთაურის გამონათქვამი და საქმე სულაც არ ეხება სამხრეთ ოსეთის „ჩაბარებას". სწორედ მაშინ თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მურატ ჯიოევმა განაცხადა, რომ გეგმა, რომელსაც მხარი დაუჭირა რუსეთმა, სინამდვილეში ოსების მიერ არის შეთავაზებული და ქართველები მას თავისად ასაღებდნენ. მაგრამ საჯარო გამოსვლების დროს კოკოითის მიერ გაკეთებული მრავალმნიშვნელოვანი პაუზა და ის ზეიმი, რომლითაც თბილისში შეხვდნენ ლუბლიანიდან მიღებულ ინფორმაციას, სულ სხვა რამეს მოწმობდა. და, აი, 13 დეკემბერს ყველაფერს მოეფინა ნათელი.

თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ოფიციალური წერილი გაუგზავნა ვლადიმერ პუტინს და მიხეილ სააკაშვილს, აგრეთვე, ეუთოს წევრი ქვეყნების ლიდერებს, რომელშიც საქართველოს ხელმძღვანელობას შესთავაზა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ერთობლივი გეგმის შემუშავება.

თბილისში ამ გეგმას მიესალმნენ და მაშინვე განაცხადეს, რომ იგი მთლიანად აკმაყოფილებს საქართველოს მოთხოვნებს.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა ვალერი კენიაკინმა თბილისში ყოფნის დროს განაცხადა, რომ კოკოითის ინიციატივები „შეიცავენ იმ იდეებს, რომლებიც გამოაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაეროს 59-ე სესიაზე". კენიაკინის თქმით, კოკოითის გეგმაში ასევე ხაზგასმულია, რომ საჭიროა კანონის მიღება რესტიტუციის შესახებ და 1989-1992 წლების მოვლენებისთვის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასების მიცემა. „ეს ინიციატივები ასევე გამოთქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მოსკოვში ვიზიტის დროს", — თქვა კენიაკინმა. ელჩს მიაჩნია, რომ „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ინიციატივებში ასახულია ასევე ისიც, რომ იგი ეთანხმება სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების 50-პროცენტიანი შემცირების სქემას".

მაინც საკითხავია, თუ ვისი გეგმა მოიწონა რუსეთმა? როცა ჩვენმა კორესპონდენტმა საქართველოს სახელმწიფო მინისტრს კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავას გადასცა სამხრეთ ოსეთის მხარის პრეტენზიები დოკუმენტის ავტორობაზე, ხაინდრავამ მხოლოდ გაიცინა და თქვა: „უკომენტაროდ!".



◎ გენერალისიმუსის გზა

კოჩკენ საქტანოვი

# უცნობი სტალინი

მესამე ნაწილი



**მთელი** ქვეყნიდან და მთელი სამყაროდან მოდიოდა დეპეშები, რომლებშიც გამოჯანმრთელების სურვილი იყო გამოთქმული. ერთი დეპეშა მოვიდა ოცი წლის ჭაბუკისგან, სრული სახელითა და მისამართით: „თუ სტალინს სჭირდება ჩემი ახალგაზრდული გული, მზად ვარ დაუყოვნებლივ მივცე დიდ ბელადს!" ასეთი დეპეშები მრავლად იყო.

სტალინს სუსტი გული რომ ჰქონოდა, ასე დიდხანს ვერ იცოცხლებდა ამ მძიმე ინსულტის შემდეგ, მაგრამ ინსულტი ინსულტია. თუმცა მას საუკეთესო, მთელ მსოფლიოში ცნობილი ექიმები ჯარასავით თავს დასტრიალებდნენ, განსაკურნებლად, მაგრამ ხუთ მარტს სტალინის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. თითქოს ვილაც ნამდვილად ახრჩობსო მას, სულს უხუთავსო, ამასობაში ავადმყოფმა თვალი გაახილა, გვერდით მყოფი ვოროშილოვი მისკენ დაიხარა:

— ამხანაგო სტალინ... შენი მეგობრები და მოწაფეები, ყველანი შენ გვერდით ვართ. ძვირფასო, თავს როგორ გრძნობ?

სტალინის არც სახეზე, არც გამოხედვაში პასუხი არ ჩანდა. მალე სისხლიანი პირღებინება დაეწყო. ვოროშილოვს რატომღაც აღმოსავლური ანდაზა გაახსენდა: „სისხლის მწოველნი სისხლის ღებინებით იღუპებიანო". ანდაზის თავიდან მოშორებას ცდილობდა, მაგრამ გონებიდან ვერ ამოიგდო და ტვინს უბურღავდა, ამიტომაც, ალბათ, ნაღვლიანად გაიფიქრა, რომ მასაც გასდის ყავლი, როდის და როგორი იქნება ის ყავლი, ის ჟამი?

პირღებინების შემდეგ სტალინს წნევა დაუვარდა, ტუჩები გაულურჯდა. ბულგანინმა, რომელიც განუწყვეტლივ სტალინის ახლოს იდგა, ექიმს მიმართა:

— პროფესორო მიასნიკოვ, რატომ სდის სისხლი?

— ჰიპერტონიისა და ინსულტის შედეგად შესაძლებელია კუჭში წვრილი სისხლძარღვების დაზიანებები მოხდეს...

— შესაძლებელია, შესაძლებელია, — თქვა ბერიამ. — ამხანაგ სტალინს კუჭის კიბო ხომ არა აქვს?

ასე ლაპარაკი მას არ ეკადრებოდა. ეს სიტყვები არათუ ექიმებს, არამედ სტალინის შვილებსაც არ მოეწონათ.

საღამოსათვის სტალინი კიდევ უფრო ცუდად გახდა. ყველამ იგრძნო, რომ აღსასრული დადგა, მომაკვდავის ირგვლივ ჩამწკრივებულიყვნენ, რათა ბოლო პატივი მიეგოთ ბელადისათვის. სტალინი მძიმედ სუნთქავდა, ჰაერი არ ყოფნიდა, მაგრამ მოულოდნელად თვალები ფართოდ გაახილა, ცოტა ხანს გაირინდა, ირგვლივ მზერა მოავლო, დამბლადაუცემელი ხელი ჭერისკენ აღმართა, ამ ნათელი სამყაროსა თუ ირგვლივ შეკრებილი ადამიანებისადმი სიძულვილით აღსავსე თვალები ნელა დახუჭა, ცქაფად სახეზე მკვდრის ფერი დაედო, და სამუდამოდ მიიძინა. და მხოლოდ მაშინ, როდესაც სული სხეულს ტოვებდა, მიცვალებულის ბაგეები ოდნავ გაიხსნა, ნიკაპი ძლიერად შეირხა და ტანიც შეკრთა, გაიჭიმა, თითქოს იმქვეყნიური იერი უნდა მიიღოსო...

მამის მკერდზე დამხობილი სვეტლანა მწარედ ქვითინებდა, თითქოს მხოლოდ მამა კი არ მოკვდა, არამედ თვითონ, ირგვლივ სიბნელე ჩამოწვა და მამის გულის შეჩერებასთან ერთად მთელი ცხოვრება სამარადისოდ შეწყდა.

მთელი ქვეყანა გლოვობდა სტალინის გარდაცვალებას. მაგრამ გულით ტიროდნენ, დასტურ გოდებდნენ მხოლოდ სვეტლანა და მოლოტოვი.

* * *

**ახლა მტვრად ვიქეც, როცა ერთ დროს ბუქს ვაყენებდი!**

... როგორც კი სტალინის ნეშტმა სიმშვიდე პოვა ლენინის გვერდით, ხალხი მოუსვენარმა ფიქრებმა შეიპყრო: „ვინ შეცვლის მას? ვინ გახდება ესოდენ დიდი სახელმწიფოს მმართველი?" და ასეთი იყო ბედის ირონია, ზუსტად რომ ვთქვათ, ისტორიის უზარმაზარი შეცდომა, რომ ერთ მშვენიერ დღეს დიდი იმპერიის ოლიმპზე გამეფდება ის, ვინც ადრე კარის ჯამბაზად მიაჩნდათ, და მასხარას ეძახდნენ.

არავის თავში ფიქრად არ მოუვიდოდა, რომ სსრ კავშირში ხელისუფლების სათავეში მოხვედრილიყო ხრუშჩოვის მსგავსი ადამიანი. იმას, რომ იგი ლოგიკის საწინააღმდეგოდ ესოდენ მოულოდნელად აღმოჩნდა ხელისუფლების სათავეში, ხელი შეუწყო კარტების წარმატებულმა გაშლამ, როდესაც მას მხოლოდ ტუზები შეხვდა. თავისი როლი იმანაც ითამაშა, რომ სტალინის ნებიერი ბერია აღმოჩნდა ასეთი გაიძვერა, ასეთი სულმდაბალი ადამიანი, ყველაზე მთავარი ის არის, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ ეს ადამიანი აშკარად იერიშზე გადავიდა ძალაუფლებისათვის ბრძოლაში, ამასთან კრემლის ზედა ფენებში წარმოშვა ფარული სიძულვილი, რომ ერთი ქართველის ნაცვლად ხელისუფლების სათავეში მოსულიყო მეორე ქართველი, თანაც ისეთი, როგორც ბერიაა. და წარმატების მთავარი მიზეზი ხრუშჩოვისა, რომელიც სახელისუფლო იერარქიის ბოლო რიგებში ირიცხებოდა და თავი მოსულელოდ მოჰქონდა, იყო მისი მოულოდნელი და წარმატებული შეთქმულება ბერიას წინააღმდეგ, და ბერიას დაჭერა მრისხანე მარშლის — ჟუკოვის ხელით. მეორე მიზეზი იყო ის, რომ უმაღლესი ხელისუფლების ყველაზე ღირსეული ადამიანი — მალენკოვი აღმოჩნდა ბერიასთან დამეგობრებული, რამაც მას ჩირქი მოსცხო, ამიტომაც ხელისუფლების სადავეები ხელიდან გამოეცალა.

თუ რუსეთის შოვინისტური ინტელიგენცია დაკმაყოფილდა იმით, რომ ხელისუფლების სათავეში მოვიდა თუნდაც ცუდი, მცირემცოდნე, მაგრამ რუსი ადამიანი, სამხედრო ზედა ფენას, ასევე განსაკუთრებით ინტელიგენციის მოაზროვნე ნაწილს, ხელისუფლების სათავეში ასეთი „ფანტაზიორისა" და მოლაყბის მოსვლა, რასაკვირველია, ხელს არ აძლევდა. ხალხს არ შეეძლო აღექვა, ვერ შერიგებოდა აზრს, რომ ასეთი უტეხი ადამიანის — სტალინის შემდეგ გამოჩნდა ფუქსავატი და დაუდევარი მასხარა.

* * *

**ადრე თუ გვიან იმ ქვეყნის ბინადარნი გავხდებით, მაგრამ არავის ძალუძს წინდაწინ გამოიცნოს, როდის გვეწვევა, როგორც ხალხში ამბობენ ხოლმე, მიქაელ გაბრიელი. ვერც ბერიამ გამოიცნო, ან როგორ შეიძლებოდა ეფიქრა, რომ სტალინის სიკვდილისთანავე დაიღუპებოდა საკუთარი ამხანაგების ხელით, იმათი ხელით, რომლებთანაც ჯერ კიდევ გუშინ მეგობრობდა, მუშაობდა და ცხოვრობდა.**

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბერია უკიდურესად სულმდაბალი ადამიანი იყო, მაგრამ ღვთის, ისტორიის წინაშე ცოდვილი ვიქნებით, თუ მის ნამდვილად ცუდ მხარეებთან ერთად არ აღვნიშნავთ საკმაოდ ბევრ კარგ ნიშან-თვისებას. იგი ბუნებით ჩინებული არქიტექტორი გახლდათ. მოსკოვში, გაგარინის მოედანზე, არის ორი შესანიშნავი შენობა, რომლებიც აგებულია ბერიას პროექტით. იგი მშვენივრად ერკვეოდა კლასიკურ მუსიკაში და ჰქონდა ყველაზე თანამედროვე მოწყობილობა მის მოსასმენად, აგრეთვე ფლობდა რუსეთში ფირფიტების ერთ-ერთ საუკეთესო კოლექციას. თვითონ ჩინებულად მღეროდა. უყვარდა კარგი, ლამაზი ავტომობილები და ჩქაროსნული კატარღები, ჰქონდა დიდი გარდერობი, მისთვის ყველა კოსტიუმს ლონდონსა და რომში კერავდნენ. არ ეწეოდა, მაგრამ თითქმის ალკოჰოლიკი იყო: დიდ პატივს მიაგებდა არაყს, ფრანგულ კონიაკს, ქართულ ღვინოებს. ჯეროვნად აფასებდა გემრიელ კერძებს, განსაკუთრებით ეტანებოდა ხილს. კითხულობდა წიგნებს ისტორიის დარგში, აგრეთვე მეცხრამეტე საუკუნის რომანტიკოს პოეტებს...

ხშირად სტალინს ქართულად ელაპარაკებოდა, რის გამო ძალზე ბრაზობდნენ დანარჩენი პოლიტბიუროს წევრები.

შინსახკომის ყველა ხელმძღვანელთაგან ბერია იყო ყველაზე ჭკვიანი, ეშმაკი, და უდავოდ დიდი გავლენა ჰქონდა სტალინზე, რომელსაც თავისი ცხოვრების ბოლო წლებში მისდამი შიში გაუჩნდა. იგი სძულდათ მიხეილ სუსლოვსა და ალექსანდრე შელეპინს — ორივენი დიდი ასკეტები იყვნენ და გმობდნენ ბერიას უზნეო საქციელს.

როგორი იყო ბერია მოსკოვში გამოჩენამდე? მისი ადრინდელი მეგობრები, კერძოდ, სოხუმის მახლობლად მდებარე პატარა სოფელ მერხეულის, ბერიას სამშობლოს, მკვიდრნი, ოთხმოცდაათ წელს მიღწეული ორი მოხუცი, გვიამბობენ, თუ როგორ სწავლობდნენ ისინი ერთ სკოლაში, როგორ მეგობრობდნენ, რომ იმ ხანებში ბერია ყოფილა მეტად დისციპლინიანი, კარგი და ნიჭიერი მოსწავლე. მაგრამ ძალაუფლება ბევრ კარგ ადამიანს აფუჭებს.

ბედმა ისე განაგო, რომ ბერია ერთხელ მოსკოვში აღმოჩნდა, თანამოაზრეთა წრეში სტალინის მეთაურობით. მჩქეფარე ქართული სისხლი, ძლიერი ნებისყოფა, ორგანიზატორული უნარი და სიმტკიცე მისი მოსწონდათ მოლოტოვსა და მიქოიანს, მაგრამ სრულებით საპირისპიროს განიცდიდნენ წერა-კითხვის უცოდინარი ხრუშჩოვი და მშიშარა ვოროშილოვი. მისი ეს თვისებანი, შერწყმული სტალინისადმი ერთგულებაში, ბელადის აზრების აზიურად გამოცნობისა და შემდეგ მათი საქმიანად გარდაქმნის უნარი დაეხმარა ბერიას თანდათანობით სტალინის საყვარელ ადამიანად ქცეულიყო. რომ არა მისი თავხედობა, გაბრაზებისას გამოელანძღა არა მხოლოდ მინისტრები, არამედ ისეთი მაღალ თანამდებობათა პირნი, როგორიც იყო, ვთქვათ, ვოროშილოვი, მათი მაღალი ჩინებისა და წოდებების მიუხედავად; თუ არა გადაწყვეტილება, ჩაედინა სიბილწე, ისე რომ სტალინს მცირეოდენი ეჭვიც არ გასჩენოდა; თუ არა მისი წრეგადასული ავხორცობა, როდესაც გონებას კარგავდა ქალის კაბის დანახვაზე. რაც შეეხება მუშაობას, იგი საქმის დიდი მცოდნე გახლდათ. მისი პირდაპირი ხელმძღვანელობით უმოკლეს ვადაში დამზადდა ატომური იარაღი, და ომის წლებში სწრაფად და მოთხოვნათა შესაბამისად აშენდა თავდაცვითი ობიექტები. ომის წლებში მიენიჭა სწორედ სოციალისტური შრომის გმირისა და საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდებანი. მთელი ხალხისათვის ცნობილია, რომ ასეთ მაღალ წოდებებს სტალინი მეგობრებს მუქთად არ ურიგებდა, როგორც ბრეჟნევი. მაშასადამე, ხელისუფლების მაღალ ეშელონში ბერიამ, თუმცა კი მეტად ბილწი ადამიანი იყო, თავი გამოიჩინა მეტისმეტად საქმიან მუშაკად.

ალბათ, შენიშნეთ, რომ ორმოცდაათიანი წლების ბერია და ოთხმოციანი წლების აშკარად ცოცხალი გორბაჩოვი ერთობ ჰგვანან ერთმანეთს გარეგნულად, ჩვეულებით და სათვალითაც კი. საოცარია ისიც, რომ გარდაქმნითი რეფორმის დაწყებას, ოთხმოციანი წლების ბოლოს გორბაჩოვმა რომ წამოიწყო და თავი ვერ მოაბა, ბერია აპირებდა ორმოცდაათიან წლებში. ბერიას სიკვდილის შემდეგ მისი დღიური, ბედის განგებით, მიუნხენში მცხოვრები ვინმე ავტორხანოვის ხელში მოხვდა. როგორც ავტორხანოვი წერს:

„... ბერიას დღიურში მოცემულია საბჭოთა საზოგადოების ლიბერალიზაციის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ჩამოცილების, ფაბრიკა-ქარხნებისა და მიწის პრივატიზაციის პროგრამის გეგმა".

აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის შეერთებას, რომელიც გორბაჩოვმა ოთხმოციანი წლების მიწურულს განახორციელა, ბერია ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში აპირებდა. ბერიას საქმის სტენოგრაფიულ ანგარიშებში გრიფით „სრულიად საიდუმლო" ჩაწერილია შემდეგი:

„პრეზიდიუმის სხდომაზე გერმანიის საკითხის განხილვისას ბერიამ თავი წარმოაჩინა კომუნისტური პარტიის პოზიციის მოწინააღმდეგედ. მაშინ მან განაცხადა, რომ საჭირო არ არის სოციალიზმის მშენებლობა აღმოსავლეთ გერმანიაში, რომ, პირიქით, საჭიროა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის გაერთიანება და მშვიდობისმოყვარე ბურჟუაზიული გერმანიის შექმნა".

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 257-262, 265-268, 274-279, 282-284, 288-289.**

# ირანის პრეზიდენტს ჰოლოკოსტი „მითად" მიაჩნია

**„მათ შექმნეს მითი იმის შესახებ, თითქოს ებრაელებს ხოცავდნენ, და ეს მითი დააყენეს ღმერთზე, რელიგიასა და მოციქულებზე მაღლა", — განაცხადა ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა ტელევიზიით გამოსვლისას.**



აჰმადინეჯადმა მოუწოდა ევროპას, შეერთებულ შტატებს ან კანადას, შექმნან თავიანთ ტერიტორიებზე ებრაული სახელმწიფო და გადაიტანონ იგი ახლო აღმოსავლეთიდან. რამდენიმე დღის წინაც ირანის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ ისრაელი უნდა გადაიტანონ ერთ-ერთი ევროპული სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

თელ-ავივმა დაუყოვნებლივ დაგმო ირანის პრეზიდენტის ასეთი გამონათქვამი.

„იმედი გვაქვს, რომ ირანის პრეზიდენტის ასეთი ექსტრემისტული გამონათქვამი თვალს აუხელს საერთაშორისო გაერთიანებას და გაფანტავს ყველა ილუზიას ამ რეჟიმის შესახებ", — განაცხადა ფრანს პრესის სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა მარკ რეგევმა.

აჰმადინეჯადს წინათაც არაერთგზის გაუკეთებია მწვავე ანტიებრაული განცხადებები, რამაც მკაცრი კრიტიკა გამოიწვია საერთაშორისო გაერთიანებების მხრიდან. კერძოდ, ოქტომბერში ირანის პრეზიდენტმა თქვა, რომ ისრაელი უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა.

# კოლუმბია მზად არის ამბოხებულებთან დიალოგისთვის

**კოლუმბიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ მზად არის გამოიყვანოს ჯარები ქვეყნის პატარა მაღალმთიანი რაიონიდან და დაიწყოს მოლაპარაკება დაკავებულ მოთარეშეებზე მძევლების გაცვლის შესახებ.**



პრეზიდენტ ალვარო ურიბეს თქმით, მან მიიღო საერთაშორისო შუამავალთა წინადადება, რომლებიც მოითხოვენ კოლუმბიის შეიარაღებული რევოლუციური ძალების მემარცხენე ყაიდის დაჯგუფებასთან მრავალწლიანი კონფლიქტის მოგვარებას.

ამჟამად ამბოხებულებს მძევლად ჰყავთ აყვანილი სამოცამდე ადამიანი, რომელთა შორის უცხოეთის მოქალაქეებიც არიან. მრავალმა მძევალმა ტყვეობაში უკვე რამდენიმე წელი გაატარა.

კოლუმბიის შეიარაღებული რევოლუციური ძალების ლიდერებს ჯერჯერობით არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ პრეზიდენტ ურიბეს მიერ გაკეთებულ განცხადებაზე.

როგორც ჟურნალისტებს მიაჩნიათ, არც ის არის ცნობილი, საერთოდ დაიწყება თუ არა მოლაპარაკება, რადგან მოთარეშეები, ჯარების გაყვანისა და დატყვევებული მეამბოხეების გაცვლის გარდა, სხვა მოთხოვნებსაც გამოთქვამენ.

ალვარო ურიბემ აღნიშნა, რომ წინადადება კოლუმბიის სამხრეთ-დასავლეთი პროვინციიდან ჯარების გამოყვანის შესახებ ერთვოდა დოკუმენტს, რომელიც საფრანგეთის, ესპანეთის და შვეიცარიის წარმომადგენლებმა გაუგზავნეს კოლუმბიის ხელმძღვანელობას და მეამბოხეთა მეთაურებს.

კოლუმბიის შეიარაღებული რევოლუციური ძალები ქვეყნის მთავრობის წინააღმდეგ უკვე 40 წელია აწარმოებენ შეიარაღებულ ბრძოლას.

# ვლადიმერ პუტინი ასეანს თანასწორუფლებიან თანამშრომლობას სთავაზობს




**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი კუალა-ლუმპურში გამოვიდა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების ასოციაციის (ასეან) სამიტის მონაწილეთა წინაშე. პუტინმა აზიის რეგიონის ქვეყნებს შესთავაზა თანასწორუფლებიანი პარტნიორობა და დახმარება ენერგორესურსებით უზრუნველყოფის საქმეში.**

რეგიონის მიმართ რუსეთის განსაკუთრებული დამოკიდებულების განმარტებისას, პუტინმა აღნიშნა, რომ ამ ურთიერთობას საფუძვლად უდევს „გრძელვადიანი პოლიტიკური, ეკონომიკური და ფართო გაგებით ცივილიზებული ინტერესები".

გარდა ამისა, პუტინმა ილაპარაკა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე, სტიქიური უბედურებების ლიკვიდაციის საქმეში თანამშრომლობის შესაძლებლობებზე.

თანამშრომლობისთვის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ სფეროდ რუსეთის პრეზიდენტმა დაასახელა ენერგეტიკა. საქმე, უწინარეს ყოვლისა, ეხება აზიაში ენერგორესურსების მიწოდებასა და ახალი გაზისა და ნავთობსადენების გაყვანას.

როგორც ცნობილია, ამ კვირას დაიწყო გაზსადენის მშენებლობა, რომელიც ბალტიის ზღვის ფსკერზე გავა და რუსეთს დაუკავშირებს ევროპას. შავი ზღვის ფსკერზე გადებული გაზსადენით კი რუსეთის გაზი მიეწოდება თურქეთს.

ასეანის ქვეყნების შეხვედრაზე, რომელიც აერთიანებს 16 მონაწილეს, მათ შორის, ჩინეთს, სამხრეთ კორეას, იაპონიას, ინდოეთს, ავსტრალიას და ახალ ზელანდიას, რუსეთს სტუმრის სტატუსი აქვს. თუმცა, მოსკოვს არაერთგზის განუცხადებია, რომ სურს გახდეს ამ რეგიონული ორგანიზაციის წევრი. 2004 წელს რუსეთმა შეიტანა განაცხადი ასეანის სრულუფლებიან წევრობაზე.

ასეანის ლიდერები აღნიშნავენ, რომ რუსეთის განაცხადი შეიძლება განიხილონ უკვე მომავალი წლის აპრილში. მიმომხილველთა აზრით, რუსეთს აქვს კარგი შანსები იმისთვის, რომ უკვე მომავალი წლიდან გახდეს ამ ორგანიზაციის მე-17 წევრი. ფილიპინები და მალაიზია აქტიურად უჭერენ მხარს რუსეთის გაწევრიანებას ასეანში.

ასეანის მომდევნო ფორუმი 2006 წელს გაიმართება ფილიპინებში. არ არის გამორიცხული, რომ რუსეთმა ამ შეხვედრაშიც მიიღოს მონაწილეობა.

# მოკლედ



**ისრაელის** პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა უარყო „ნიუსუიკის" ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს მან მიიღო გადაწყვეტილება იერუსალიმის ორად გაყოფისა და პალესტინელთა მიმართ გარკვეული ტერიტორიული დათმობების შესახებ. ასეთი რამ არც კი მიფიქრია, განაცხადა აღშფოთებულმა შარონმა.

* * *

**იაპონიაში** სიყვარულის წელიწადი დაასრულებს მწუხარების ათწლეულს. იაპონელთა გუნებაგანწყობილების შესწავლის მიზნით განხორციელებული გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ სიტყვა „სიყვარულმა" შარშანდელი მე-12 ადგილიდან პირველზე გადაინაცვლა და უკან ჩამოიტოვა სიტყვა „რეფორმა". გამოკითხულთა აზრით „სიყვარული" ყველაზე უკეთ განმარტავს მიმდინარე წელიწადის არსს. 2004 წელს განხორციელებულ ანალოგიურ გამოკითხვაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა სიტყვა „კატასტროფამ".

* * *

**შეერთებულ** შტატებში საცხოვრებელ სახლში მომხდარი აფეთქების შედეგად დაშავდა 5 კაცი. აფეთქებას მოჰყვა ხანძარი, ნაწილობრივ ჩამოინგრა სამსართულიანი შენობის კონსტრუქციები. რამდენიმე მახლობლად მდებარე სახლიდან გახიზნეს მცხოვრებლები.

* * *

**კონდოლიზა რაისმა** მსოფლიო საზოგადოება დაადანაშაულა სადამ ჰუსეინის სასამართლოსთვის „ფაქტობრივი ბოიკოტის" გამოცხადებაში. „საერთაშორისო გაერთიანების მხრიდან ასეთი ბოიკოტი მხოლოდ ზიანს თუ მოუტანს ერაყელ ხალხს, რომელსაც მხოლოდ ახლა ჩაესახა ქვეყანაში სამართლიანობის დამყარების იმედი. სადამ ჰუსეინის ხანგრძლივი მმართველობის დროს ქვეყანაში სამართლიანობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო", — აღნიშნა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა.



* * *

**ისრაელის** არმიაში ფემინიზმი ვრცელდება: გენერალურმა შტაბმა გადაწყვიტა ზუსტად განსაზღვროს სამხედრო მდივანი ქალების მოვალეობები. ამიერიდან ოფიცრები, რომლებიც სამსახურის დროს მოინდომებენ ფინჯანი ყავის დალევას, იძულებული იქნებიან თვითონ მოემსახურონ თავიანთ თავს.

* * *

**ევროპის** ქვეყნების ბოშათა თემების წარმომადგენლები შეიკრიბნენ სტრასბურგში შეხვედრაზე, რომლის მიზანია თანასწორი უფლებებისა და დისკრიმინაციის შეწყვეტისთვის ბრძოლაში ერთიანი ხელმძღვანელობის შექმნა.

ევროპის საბჭოს შტაბ-ბინაში მიმდინარე შეხვედრაში მონაწილეობენ ევროპის 42 ქვეყნის ბოშების წარმომადგენლები.

ევროპის ბოშათა კავშირის პრეზიდენტმა რუდკო კალჩინსკიმ განაცხადა, რომ ბოშებს სურთ, ისინი აღიარონ სრულუფლებიან მოქალაქეებად და არ იგრძნონ თავი უცხო ადამიანებად თავიანთ ქვეყანაში.

ევროპაში დაახლოებით 12 მილიონი ბოშაა, რომელთა უმეტესობა რუმინეთსა და ბულგარეთში ცხოვრობს.



◎ გვწერენ

# სევდიანი სიხარული

**ამ ცოტა ხნის წინათ, 1955 წლის კურსდამთავრებულები დიდი მონატრებითა და სიყვარულით შევიკრიბეთ მშობლიური უნივერსიტეტის ეზოში.**

მოულოდნელად მელოდიურმა სატელეფონო ზარმა დაარღვია ჩვენი მყუდროება. შეკრებილთ ისრაელში მცხოვრები თანაკურსელი სოფიო ტულკესი-მედვედევა დაგვიკავშირდა. მან იუბილე გულწრფელად მოგვილოცა, ჯანმრთელობა, ბედნიერება, სულიერი სიმხნევე, ცხოვრებისეული სითბო და სიკეთე გვისურვა...

სასიამოვნო შეხვედრისა და ნანატრი მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ ამქვეყნიდან წასულ ღვაწლმოსილ პროფესორ-მასწავლებელთა და უდროოდ გარდაცვლილ თანაკურსელთა მოსახსენიებლად სანთლები ავანთეთ უნივერსიტეტის ეზოში მდებარე ეკლესიაში, შემდეგ კი, ერთმანეთის სადღეგრძელო შევსვით რესტორან „ოლიმპოში".

შეხვედრა მაინც ნაღვლიანი გამოდგა, რადგან მრავალრიცხოვან თანაკურსელთა ნახევარზე მეტი ვერ მოესწრო ღირსშესანიშნავ თარიღს — უნივერსიტეტის დამთავრების 50 წლისთავს.

ვერ მოესწრო ბატონი გივი ინწკირველიც — ჩვენი ძვირფასი მასწავლებელი. ქართული იურისპრუდენციის პატრიარქი, თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი...

შეხვედრაზე გადავწყვიტეთ, რომ მოვინახულოთ ხოლმე ბატონი გივის განსასვენებელი ვერის სასაფლაოზე, ვეწვიოთ ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასულ თანაკურსელთა: სახელობითი სტიპენდიატის, შემდგომში კი გამოჩენილი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, სტუდენტთა და ასპირანტთა პირუთვნელი აღმზრდელის, პროფესორ ლეონიდე ადეიშვილის, მოწინავე სტუდენტის, უნივერსიტეტის პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელის, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკის ოთარ თენეიშვილის საფლავებს საბურთალოს პანთეონში და წარჩინებული სტუდენტის, ფაკულტეტის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის, თბილისის საბჭოს აღმასკომის ერთ-ერთი თანამდებობის პირის და სხვა უწყების იურიდიული სამსახურის მოწინავე მუშაკის — გივი მორჩილაძის საფლავს საბურთალოს სასაფლაოზე.

ფარავდეთ მათ ღვთის მადლი. ნათელში ამყოფოს ღმერთმა მათი სულები!..

ჩვენ კი ხვალინდელი დღის იმედით დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

**ლუბა ბრელიძე,**
**ომისა და შრომის ვეტერანი.**

◎ ხელოვნება

# ანდრეი სახაროვის უკანასკნელი ინტერვიუ

## იგი 1989 წლის 14 დეკემბერს გარდაიცვალა, მისი დაკრძალვა გრანდიოზულ მანიფესტაციად გადაიქცა

**თავისი უკანასკნელი ინტერვიუ ანდრეი სახაროვმა ასე დაასრულა: „ვფიქრობ, XX საუკუნე — ჭეშმარიტად მეცნიერების საუკუნეა. ყველა სფეროში კოლოსალური გარღვევები მოხდა, რომლებსაც უდიდესი შედეგები ჰქონდა მთელი კაცობრიობისთვის. თუმცა, იმის გამო, რომ ეს მოხდა კაცობრიობის ისტორიის უაღრესად კრიტიკულ პერიოდში, ყოველივე ამის შედეგი არაცალსახაა.**

ორი მთავარი საფრთხე, რომელიც დედამიწაზე სიცოცხლეს ემუქრება — საყოველთაო განადგურება ბირთვულ ომში და განადგურება ეკოლოგიური შედეგების გამო — მჭიდროდაა დაკავშირებული მეცნიერებასა და ტექნიკასთან. მაგრამ მიმაჩნია, რომ თავად პროგრესი — ესაა კაცობრიობის არსებობისთვის აუცილებელი მოძრაობა... პროგრესის გარეშე კაცობრიობას არსებობა არ შეუძლია. ეს მისი არსებობის ფორმაა. ვიმედოვნებ, რომ კაცობრიობა დაძლევს თავისი არსებობის ამ კრიტიკულ პერიოდს. ესაა, ერთგვარად, გადარჩენის გამოცდა, რომელსაც კაცობრიობა აბარებს".



◉ რეზონანსი

# კიდევ კარგი, ხმა ამოიღეთ!

გამოხმაურება მასალაზე — „...ან ჭკვიანი მტერია, ან უგნური მოყვარე“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 2005, №278, 1 დეკემბერი)

**ვინმე რომ ჭკუას მეკითხებოდეს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მეთაურის, ყოველთა ქართველთა კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის მიერ შექმნილ „ქართული ენისა და კულტურის სამეცნიერო საბჭოს“ „საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და კულტურის სამეცნიერო საბჭოს“ დავარქმევდი. ღრმად ვიყავი დარწმუნებული, ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას რუსული საბჭოთა იმპერიის წნეხის რომ მოეხსნებოდა, დამოუკიდებელი საქართველოს საისტორიო მეცნიერება, ხელისუფლება და საზოგადოებრიობა ერთ საქართველოს ისტორიის პრობლემებს გადასინჯავდა და ფართო საზოგადოებას, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის მართალ ისტორიას გააცნობდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, თხუთმეტი წლის დამოუკიდებლობის მიუხედავად, საქართველოს ისტორია კვლავ გაყალბებული დარჩა. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ორიოდე „თავზეხელაღებული ისტორიკოსი“ წერდა, კამათობდა და ჩხუბობდა, რომ აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის გარდაცვალების შემდეგ ქართული ისტორიის აზრი უკუღმართად, ქართველი ერის საწინააღმდეგოდ წარიმართა, მაგრამ ამაოდ...**




შედეგები შეზარავია: შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილი და აფხაზეთი ჩამოკვეთილია და ღია ჭრილობად სისხლს გვდის. საკუთარი სახლ-კარიდან აყრილი ძირძველი ქართველობა, რომელთა რაოდენობა ჯერჯერობით განუსაზღვრელია, ზოგადად 300 ათასს ამბობენ, შიდა საქართველოშია გადმონაცვლებული და უსახლკაროდ, ულუკმაპუროდ დატოვებული შიმშილობს, ჭლექით და სხვა ათასი სნებით იხოცება. აღარას ვამბობ რუსეთსა და უცხოეთში გადახვეწილებზე, ღალატიანი ომის ჟამს დახოცილები კი ნეტარ არიან...

ეს ბარბაროსობა ე. წ. „ეთნოკონფლიქტების“ მავნე თეორიითაა გამართლებული. ამ ვაითეორიას ზოგიერთი სულგაყიდული, მოსყიდული ვაიმეცნიერი უკმევს გუნდრუკს, ტელევიზიისა და პრესის დეზინფორმაციებს თავი რომ დავანებოთ, სქელტანიან წიგნებსაც ბეჭდავენ, ხმაურიან პრეზენტაციებსაც აწყობენ და საოცნებო დოლარებსაც იჯიბავენ. ჩვენს გაუბედურებულ ქვეყანაში კი ცოდვის კითხვა ტრიალებს. დევნილთაგან შიმშილს და ეპიდემიებს ვინც გაექცა, მშობლიურ გალის რაიონში თუ სხვა ოკუპირებულ ადგილებში მამაპაპურ მიწას დაუბრუნდა, მტრის მუხანათობას სამსხვერპლო ცხვარივით ეწირება. ცოცხლებს მშობლიურ ენაზე სწავლის საშუალებას არ აძლევენ, დევნიან, აწამებენ, აყაჩაღებენ, ძარცვავენ... ოფიციალური მსოფლიო სეირს უყურებს და ე. წ. გაუთავებელ „მოლაპარაკებებს“ ბოლო არ უჩანს.

ამჟამად ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის სადაგი დღეები დგას და თვით „დაუპყრობელ“ საქართველოშიც ტელევიზია პანდორას ყუთად გვექცა. ქართული ტრადიციული ცხოვრების წესის, ეროვნული წესჩვეულებების წინააღმდეგ თითქოს ჯვაროსნული ლაშქრობაა გაჩაღებული. უცნაური დემოკრატია სუფევს საქართველოში, თითქოს ყველას ყველაფრის უფლება აქვს. პრესაში წერე რაც გინდა, ყურადღებას არავინ მოგაქცევს, ოღონდ სატელევიზიო ეთერს არავინ დაგითმობს, იციან, საიდან შეიძლება მოსახლეობის „ტვინების გამორეცხვა“.

ქართული ენის დამუნათება არახალია, ძველია. მადლობა ღმერთს, თუ უფრო ადრე არა, ბრინჯაოს ხანიდან ერთიან და მთლიან ქართულ ეთნოსს ეთნიკური თვითშემეცნება (სულმნათი ივანე ჯავახიშვილის ტერმინია) ისე მტკიცედ აქვს ჩამოყალიბებული, მტერი ვერაფერს დაგვაკლებს, ოღონდ თუ ამას გავაცნობიერებთ და ქართველი ერის ისტორიას, ყოფას და კულტურას დიდი ივანე ჯავახიშვილის, წმინდანების — ღვთის კაცის ექვთიმე თაყაიშვილის და ილია მართლის გზას დავუბრუნებთ. სატანიზმი, რომელიც დღეს საქართველოში მძვინვარებს, ჩვენმა ჭეშმარიტმა რწმენამ, მართლმადიდებლობამ უნდა წარხოცოს. ყოველთა ქართველთა კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე და წმინდა სინოდია ის ბურჯები, რომელთა ფერხთით ცოდვილნი მოინანიებენ: ქრისტიანულმა მოძღვრებამ, კაცთმოყვარეობამ და მიმტევებლობამ გადაგვარჩინა, დღემდე პირნათლად მოგვიყვანა და ამჟამადაც ის გადაგვარჩენს.

ქრისტიანობის უდიდესი მონაპოვარია, რომ ყველა ქრისტიანი ხალხი მამალმერთს ძელმერთს და სულიწმინდას, წმინდა სამებას საკუთარ ენაზე ადიდებს. ქართველი ერის ქრისტიანობა ქართული ენით მიიღო, რადგანაც მას სხვა სამწერლობო ენა არ გააჩნდა. ქართული ენა, ქართული ეთნოსის დედაენა, დასაბამიდან დღემდე, ისტორიის სისხლიან ათასწლეულებში, მძლავრს, წმინდა, სპეტაკ მდინარედ მიედინება, მისი სიძლიერე და დაუშრეტელობა, ქართული ცივილიზაციის გარკვეულ საფეხურზე, ენებად ამაღლებულ სვანურ-მეგრულ შენაკადებსა და იმ დიალექტებშია, რომელიც ქართულს დღესაც კვებავს და მსოფლიოში ყველაზე უპირატეს, თვითმყოფად, შეუდარებლად სრულყოფილ ენად აქცევს.

თუ მტერი ქართულ ენას ამ შენაკადებს წაართმევს, ქართული ენა დაიშრიტება. და რომ ეს არ მოხდეს, თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ სვანურ და მეგრულ ენებს, ხალხის წიაღიდან მომდინარე თითოეულ დიალექტს და კილოკავს. საქართველოს ყოველი მხარე ჩვენს ქვეყანას ხომ ცისარტყელას ფერთა შეხამების, ხალიჩის, თუ გნებავთ, მოზაიკის მშვენიერების ერთიანობას ანიჭებს. დუშმანი თუ ჩვენს სამშობლოს რომელიმე კუთხეს ფერს დააკლებს, ამით ღვთაებრივ ერთიანობას დაარღვევს, მივიღებთ თანამედროვე საქართველოს — უაფხაზეთოდ და „სამხრეთ ოსეთად“ ჩამოკბეჩილი შიდა ქართლით, ზემო რაჭით და ზემო იმერეთით. ცოდვაა ასეთნაირად დაჩეხილი საქართველო. მესამე ათასწლეულის ჰუმანიზმს, კაცთმოყვარეობას არ შეეფერება ეს უსამართლობა.

წმინდა მამებო, წაგვიძეხით ხუთჯვრიანი დროშით, რათა სატანიზმს ვძლიოთ. ღვთისმშობლის კუთვნილ ჩვენს ქვეყანას დავუბრუნოთ სიმშვიდე და ერთიანობა. ქართულ ენას მივცეთ ის ასპარეზი, რაც გრიგოლ ხანძთელმა და გიორგი მერჩულემ გვიანდერძეს.

**ლევან ფრუიძე**

◉ მეცნიერება

# ვენური „სამკუთხედი“

**მსოფლიო სახელის ენათმეცნიერი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე საზღვარგარეთაც სასურველი სტუმარია, სამეცნიერო ფორუმებზე და საერთაშორისო საინტელექტო გზებსა თუ გზაჯვარედინებზე მწვანე შუქი უნთია. ახლახან იგი ვენაში შემდგარი ერთობ პრესტიჟული სიმპოზიუმიდან დაბრუნდა, რომელიც ძველი კავკასიის კულტურათა და დამწერლობათა (ქართული, სომხური, ალბანური) პრობლემებს მიეძღვნა.**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე ბატონმა თამაზმა დამსწრეთ უამბო, თუ როგორ შეხვდა ქართული აკადემიის პრეზიდენტისა და ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრის რანგში ავსტრიული აკადემიის პრეზიდენტს ჰერბერტ მანგს. გულთბილ საუბარში მასპინძელს, სხვათა შორის, აღუნიშნავს, რომ როგორც მკვლევარი მათემატიკოსი, თავს ნიკო მუსხელიშვილის მიმდევრად მიიჩნევს და სადოქტორო ნაშრომში არსებითად იყენებდა დიდი ქართველი მათემატიკოსისა და მექანიკოსის პირველხარისხოვან შედეგებს.

პრეზიდენტის მონათხრობმა ასეთი ფიქრი გამიჩინა: ახლა, როცა რეფორმების გზაზე შემდგარი ჩვენი ეროვნული მეცნიერებათა აკადემია ელტვის ევროპული, კერძოდ, ავსტრიული აკადემიის (აქვე სათქმელად, ქვეყნის პრეზიდენტის პატრონაჟის ქვეშ მყოფის) მსგავსად „გადაწყობას“, ირკვევა, რომ იმისი მეთაური, „პირიქით“, ჩინებულად იცნობს ქართული აკადემიის პირველი პრეზიდენტის სახელსა და მდიდრულ მეცნიერულ მემკვიდრეობას.

მე მომეცა ბატონ თამაზთან შეხვედრის შესაძლებლობა და ვთხოვე, ავსტრიის დედაქალაქში სამეცნიერო მივლინების შესახებ ცოტა დაწვრილებით ეამბნა — ეს მონათხრობია გადმოცემული მომდევნო აბზაცში.

სიმპოზიუმის საზეიმო გახსნისას, პირველ პლენარულ სხდომაზე, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე გამოვიდა მოხსენებით „ერის ტიპოლოგია და ძველი ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემა“. ფორუმზე მიწვეული გახლდათ და ჩავიდა კიდეც სომეხთა კათოლიკოს-პატრიარქი გარეგინ II. მონაწილეთა შორის გამართულ მწვავე დისკუსიებში ქართველ ენათმეცნიერს მოუხდა შესაბამისი პრინციპული პოზიციების გადმოცემა და დაცვა ქართული დამწერლობის წარმოშობის თაობაზე.

**აკადემიკოს თამაზ გამყრელიძესთან ერთად ვენურ სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ ხელნაწერთა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი ელენე მაჭავარიანი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორი ვახტანგ იმნაიშვილი (რომელიც ამჟამად უცხოეთში იმყოფება სამეცნიერო მივლინებით).**

**გვესაუბრება ქალბატონი ელენე:**

— ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა, რომელმაც ნუსხურსა და შემდგომ თანამედროვე მხედრულს მისცა დასაბამი, დაკავშირებულია მისი შექმნის დროის განსაზღვრასა და, ასევე, გრაფიკული სტრუქტურის კვლევასთან.

ქართული დამწერლობის შექმნა კი მიეწერება ფარნავაზ მეფეს ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში, რაც თავის მხრივ ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებამ განაპირობა.

ჩემი მოხსენება ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლების კვლევას მიეძღვნა. ქართული ასომთავრულის გრაფიკულ ანალიზზე დაყრდნობით ვასკვნით, რომ სტილისტურად ერთიანი გრაფიკული სისტემა დამოუკიდებლად შეიქმნა და არც ერთი ასო არ არის სხვა ანბანთაგან გადმოტანილი ან გარდაქმნილი.

მოხსენება ვიზუალურად მასალის ჩვენებით წავიკითხე — ჩემივე შესრულებული გრაფიკული ჩანახატებითა და ფერადი ასლებით. ასევე დემონსტრირებული იყო რეჟისორ გია იასაშვილის მიერ ჩემგან მიწოდებული მასალის მიხედვით გადაღებული ხუთწუთიანი ფილმი „ანბანთქება“, ერთი ასო-ნიშნის, „ანის“ მაგალითზე. სხვათა შორის, ეს სურათი ტელეარხმა „იმედმა“ ამას წინათ დიდი წარმატებით უჩვენა დედაენისადმი მიძღვნილ გადაცემაში, რომელსაც მსახიობი გივი ბერიკაშვილი უძღვებოდა.

ვახტანგ იმნაიშვილის გამოსვლა ეხებოდა საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ არსებულ ადრეული ხანის ქართულ წარწერებს. მომხსენებელმა მიმოიხილა ბოლნისის, მცხეთის ჯვრის, პალესტინის, ნეკრესისა და სხვა ქართული წარწერები, აგრეთვე გრაცის უნივერსიტეტში დაცული ძველი ხელნაწერები. იგი ახლა ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ კითხულობს ლექციებს ვენის ნეოგრეცისტიკისა და ბიზანტინისტიკის უნივერსიტეტში. ვახტანგმა შეისწავლა ავსტრიაში დაცული ქართული ხელნაწერები და გამოაქვეყნა შესანიშნავი მონოგრაფია „სინას მთიდან გრაცამდე“. თამაზ გამყრელიძემ პლენარულ სხდომაზე გააკეთა მოხსენება, მე და ვახტანგი „ქართულ“ სექციაზე გამოვედით, რომელსაც ცალკე დღე დაეთმო, — დასძინა ქალბატონმა ელენემ.

...ბატონმა თამაზმა თბილისში ჩამოიტანა 1969 წლის ოქტომბერში, ვენაში, ჰერბერტ მანგის მიერ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაცული დისერტაციის თავფურცელი. ნაშრომის სათაურია **„მართკუთხა ტრაპეციული ფირფიტების გაანგარიშება მუსხელიშვილის მეთოდით“.**

გარსთა თეორიის ცნობილ სპეციალისტს, პროფესორ გია ჯაიანს ტელეფონით გადავეცი ჩვენი აკადემიის პრეზიდენტისგან მოსმენილი ამბავი. საგულისყურო დეტალი „ამოტივტივდა“: 2007-ში დაბადების 100 წელი უსრულდება მეორე დიდ ქართველ მათემატიკოსსა და მექანიკოსს ილია ვეკუას. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით, თბილისში განზრახულია მასშტაბური საერთაშორისო სიმპოზიუმის მოწვევა. საორგანიზაციო კომიტეტში (რომლის თავმჯდომარე ბატონი გია გახლავთ) შედის ავსტრიელი პროფესორი ჰერბერტ მანგიც.

ასეთი აღმოჩენა ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის „თანაშეხება“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამ სხვადასხვა დროის პრეზიდენტთან. ასე ხელდამშვენებული დაბრუნდა, როგორც ყოველთვის, თამაზ გამყრელიძე უცხოეთიდან და ნიკო მუსხელიშვილის ფენომენს ახალი შტრიხი შემატა...

**თამაზ ებანოიძე**

◉ გვირეკავენ, გვეკითხებიან

**— ვარ დიდი სამამულო ომის მონაწილე. ომის დაწყების დღიდან ვმსახურობდი ჰოსპიტალში მედდად, სადაც მეტად რთულ პირობებში მიხდებოდა მუშაობა.**

**დაბადებული ვარ 1927 წელს. პენსიას ვიღებ თვეში 45 ლარის ოდენობით.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა პენსიის გაზრდა?**

**ზაირა უნგიაძე.**

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მეორე მსოფლიო ომის ინვალიდებსა და მონაწილეებს, რომლებიც მიეკუთვნებიან რიგითთა შემადგენლობას, პენსია ეკუთვნით თვეში 45 ლარის ოდენობით.

აღნიშნული კატეგორიისათვის პენსიის გაზრდა, სამწუხაროდ, დღემდე არ არის გათვალისწინებული.

როგორც კი რამ სიახლე იქნება კანონში თქვენი კატეგორიის ღვაწლმოსილ პენსიონერთა სასარგებლოდ, დამატებით ინფორმაციას დაუყოვნებლივ მოგაწვდით პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით.

**ირინე ღლონტი.**

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

**ხუთშაბათი, 15 დეკემბერი.**

**07.55** "ადრე" **10.00** სერიალი "**ანასტასია**" **11.00** დოკ. ფ. "დიდი კანიონი" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფ. "მხიარული ქალაქის პატარა კლოუნები" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "**ძალიან მდიდარი დორის დიუკის ცხოვრება**" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.30** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.45** მულტსერიალი "კიბერსამურაების რაზმი" **16.15** სერიალი "**ნიურნბერგი**" **17.00** სერ. "**დაცვის უფლება**" **18.00** "მთავარი" **18.30** დოკ. ფილმი "ექსცენტრიული ადამიანები" **19.00** დოკ. ფ. "შედევრის ბედი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "**ანასტასია**" **22.00** სერ. "**დაცვის უფლება**" **23.00** მხ. ფილმი "**შესანიშნავი წყვილი**" (12) **00.30** საინფ. გამოშვება

**19.00** "ბაბილინა" **19.15** მულტსერიალი **19.40** მრწამსი **20.05** კინოსეანსი "**თუში მეცხვარე**" **1**-ლი ს.

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "ადამიანი ობობა" **10.00** სერიალი "**მოპარული გულები**" **11.00** ცოცხალი შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.50** კურიერი **12.20** სერიალი "**გრძნობათა ტყვეობაში**" **13.30** "ჯეობარი" **15.25** მულტფილმი "ადამიანი ობობა" **16.00** სერ."**მოპარული გულები**" **16.40** სერ. "**მეამბოხე სული**" **18.30** პატრული **19.30** სერიალი "**გრძნობათა ტყვეობაში**" **22.00** "თავისუფალი თემა" **23.00** "ჯეობარი" **00.00** სერ."**ქარვის ამულეტი**" **01.00** მხ. ფ."**წარღვნის მოლოდინში**" (U) (პ.რიშარი) **03.10** პატრული

**07.00** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **10.00** სერიალი "**ჩემი შეყვარებული**" **11.15** სერ. "**საბრალო ნასტია**" **12.25, 13.15, 16.15, 17.10, 03.00** იმედის მელოდიები **12.40, 16.25 ტვ**-მარკეტი **13.40** "გვაროვნული წყობილება" **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 02.50** ქრონიკა **15.20** სერიალი "**მოჯადოება**" **16.40** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები" **17.25** "ანტი" გადაცემა მე-**2** **18.05** სერიალი "**ჩემი შეყვარებული**" **19.05** სერიალი "**მოჯადოება**" **20.55** სერ. "**საბრალო ნასტია**" **21.55** სერიალი "**27 დრაკონი**" **23.45** მხ. ფილმი "**ტკბილი და უხეში**" (U) (შონ პენი) **02.00** სერიალი "**კამენსკაია**"

**08.30** მუსიკა **09.00** ანიმაც. ფილმი "აბა დამაცადე" **09.30** სერიალი "**ასა**" **10.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.50** სერიალი "**ასა**" **10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55** მზერა **11.05** საფეხბურთო მიმოხილვა - ესპანეთი **12.05** მხ. ფილმი "**ლულუ სამუდამოდ**" **13.50** სერიალი "**ასა**" **14.05** მხ. ფილმი "**მშობლიურო ჩემო მიწავ**" **16.30** შემ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.50** სერიალი "**ასა**" **16.55** მზერა **17.05** სერ. "**გვერდიგვერდ**" **17.35** ანიმ. ფ. "აბა დამაცადე" **17.55** მზერა რეგიონებიდან **18.05** სერიალი "**ქვიშის თოკი**" **18.55** სერიალი "**ასა**" **19.00, 19.30** "მზერა-ჰედლაინი" **19.05** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **20.00** "მზერა", ბაბაჯანა **20.50** რუს. ფ. "**ბრილიანტები პროლეტარიატის დიქტატურისთვის**" მე-2ს. **22.30** სერიალი "ასა" **23.00** მხ. ფილმი "**ერთი მუჭა დოლარი**" (კ. ისტვუდი)

**10.00** "ტვ-შოპი" **11.00, 13.00, 17.20** Style-TV **12.45** მხ. ფილმი "**საჰაერო დარტყმა**" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.00** მხ. ფ. "**მამიკოს პატარა ანგელოზი**" (გერი იმოფი) **00.30** "ტვ-შოპი"

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** კომედია "**ზაზუნას დღესასწაული**" **10.30** დოკუმენტური ფილმი **11.30** ბოევიკი "**ჰოლივუდელი კოპები**" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** თრილერი "**შიში** X" **16.20** მულტფილმი **18.30** "ნოვოსტი" **19.00** "ჭიტა-ჭიტა" **19.30** "შესანიშნავი შვიდეული" **21.00** მხ. ფილმი "**ღირსეული ადამიანები**" **23.00** "ექსკლუზივი" **00.15** დრამა "**სხვანაირი ლოიალობა**"

◉ პრემიერის შემდეგ

# ვალიკო, გინდა ანეკდოტი მოგიყვე? — ცოტა უზრდელურია...

**რუსთაველის თეატრი...**
**„ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი... და პრეზიდენტი“.**
**რეჟისორი რობერტ სტურუა, დრამატურგი ლაშა ბუღაძე, წარმოდგენა იწყება...**

ნახევრად განათებული სცენა... სცენის ორმოდან მთხრობელი ძვრება, თითს მკაცრად დაგვიქნევს და გვეუბნება: — ამბავი პირველი „ვალიკო და...“

ხანგრძლივი პაუზა... მერე, სცენაზე გაწოლილ ხეიბარ ვალიკოს ვხედავთ, რომელიც სანგრებს თხრის და საქართველოს ჰიმნს თავისთვის მღერის: **„ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა...“**

— ვალიკო, ვალიკო, ვალიკოოო! — ანგელოზი ეძახის. ვალიკო გაკვირებულია, არ იცის, მისცეს თუ არა „ჩესტი“ ანგელოზს.

— ვალიკო, ანეკდოტი... ვალიკო, გინდა ანეკდოტი მოგიყვე? — ცოტა უზრდელურია...

ვალიკო იცინის — კი... არა, ესე სიზმრის მოყოლას იწყებენ...

ისევ პაუზა... მერე ისევ ანგელოზი:

— მაშ ასე, პატარა ანეკდოტი, მონადირე და დათვი. ერთხელ მონადირეს დათვი თავზე წამოადგა... — ანგელოზმა თხრობა შეწყვიტა, რადგანაც სცენაზე ბავშვით ხელში შემოვარდა ვალიკოს ცოლი ციცინო.

— ვალიკო, ვის ელაპარაკებოდი?

— ანგელოზს... ანგელოზი ანეკდოტს მიყვებოდა.... ომის თემა იყო მგონი, გამახსენდა ის ანეკდოტი...

ციცინო ბრაზობს: — დებილი ხარ... ანგელოზი ვნახო და რაზე მელაპარაკებოდა, ის ვერ დავიმახსოვრო?

ეს ვალიკოს ილუზიაა... მას ქათამი ანგელოზად ეჩვენება და კიდეც ესაუბრება.

და მაინც, ვინ არის ვალიკო? რატომ ესაუბრება მას ანგელოზი? რას ნიშნავს ანგელოზის უზრდელური ანეკდოტი? და საერთოდ, ხუმრობენ თუ არა ანგელოზები?

„ჯარისკაცი და სიყვარული“ უფრო პლასტიკური კომედიაა, რომელიც რეალიზმშეპარული აბსურდული ტექსტისგან გვხდება გაძარცვული... დრამატურგის ეს მცირე პიესა ისეთსავე სისადავეს, სიმარტივეს და ლაკონიზმს განიცდის მის ინსცენირებულ ვერსიაში, როგორსაც ავტორი გვთავაზობს ლიტერატურულ ორიგინალში („ვალიკოს ამბავი“), თუმცა ეს არ არის გრაფიკული მინიატიურის ზუსტი ილუსტრაცია, უბრალოდ, რეჟისორმა პიესის სიუჟეტურ ქარგაზე ააგო მისეული ინტერპრეტაცია და თანამედროვე რაკურსში გაათამაშა მისტიკური კომედია... ექსპერიმენტი, რომელიც სინთეზია განსხვავებული ესთეტიკური ფორმების, დინამიკის, მსახიობთა სპეციფიკური მეტყველების ტემბრის, თუნდაც კომიკურ პერსონაჟთა საკონტაქტო ენის...

ერთმოქმედებიანი კომედია მეტამორფოზულად დრამაში გადადის, მასში სახუმარო-სახალისო ლაიტმოტივად რჩება მხოლოდ ის ერთი ფრაზა: — ვალიკო, გინდა ანეკდოტი მოგიყვე? — ცოტა უზრდელურია...“

„ჯარისკაცი და სიყვარული“ პირველი ნაწილია სპექტაკლისა „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი... და პრეზიდენტი“. აქ რეჟისორი ინტერპრეტაციისა და იმპროვიზაციის ფარგლებში გვთავაზობს ბუღაძის ორი მინიატიურის მისეულ დრამატურგიას, ანუ სტურუას შემოქმედებითი მასშტაბები უფრო გლობალურ კონტექსტში განიხილება.

საათნახევრიანი „ჯარისკაცი და სიყვარული“ მეორე აქტში ორსაათნახევრიანი „დაცვის ბიჭი და პრეზიდენტით“ იცვლება. აქ აშკარაა თანამედროვეობასთან პარალელები, რომლებიც პოლიტიკურ, დიპლომატიურ ან კიდევ, ინტიმურ ასპექტში მოიაზრება. ეს ნაწილი პირველისგან განსხვავებით უფრო ექსპრესიული, უკომპრომისო და რადიკალური კონცეფციაა.... აქ ახსენებენ და პარადოქსულად განიხილავენ პრეზიდენტის ჭიან კბილებს, ორალურ სექსს და... ფარულ ცოდვებს. აქ ახალგაზრდა მსახიობები (ბესო ზანგური, ნანუკა ხუსკივაძე, გიგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, ნიკა ქაცრიძე, გიორგი ყიფშიძე, ნინო თარხან-მოურავი, ია სუხიტაშვილი, ნინო არსენიშვილი) უფრო ბევრს ლაპარაკობენ, უფრო მეტს მოძრაობენ, ცეკვავენ, საუბრობენ, ისევ ცეკვავენ და... ინტიმურ მიზანსცენასაც თავს თამამად ართმევენ. ამ დროს როგორ რეაგირებს დარბაზში მაყურებელი? — მათი რეაქციები ემოციურია, თუმცა ოდნავ თავშეკავებული...

და ბოლოს:

ამ სპექტაკლით რა არის რეჟისორული სათქმელი? — რა გარემოში ვცხოვრობთ, რას ვირჩევთ და რას ვიმსახურებთ...

ფინალში ეს პოზიცია ირონიული პასუხით არის მინიშნებული — **„ეს იყო ციური ხუმრობა, ციცინო, მოდი, ვიცინოთ“!**

როგორც ამბობდნენ, ამ სპექტაკლით სტურუამ თითი დაუქნია ხელისუფლებას...

**მზეხა მახარაძე**

**სურათებზე:** სცენები სპექტაკლიდან **„ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი... და პრეზიდენტი“.**

**ჯავარ ლომაძის ფოტო.**







შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სპეცსერვისის“ ბალანსზე რიცხული კუთვნილი ავტომობილების აუქციონის წესით პრივატიზების პირობები

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.**

**აუქციონზე გამოტანილი იქნება 3 ავტომობილი საწყისი ფასებით:**

1. გაზ — 31029 სახელმწიფო № ASD 592 ფასი — 4000 ლარი
2. ზილ — 4104 სახელმწიფო .№ MHM 186 ფასი — 10000 ლარი
3. ზილ — 431810 სახელმწიფო № UUU 928 ფასი — 3000 ლარი

— შპს „სპეცსერვისის“ („გამყიდველი“) მისამართი:
თბილისი, 0134 ინგოროყვას № 7,
ტელ: 998026; ფაქსი 997120; ელ-ფოსტა: grigol@admin.gov.ge

— აუქციონის ჩატარების თარიღი: ____________________

— აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადის მიღების დაწყების თარიღი 19 დეკემბერი, განაცხადის მიღების დამთავრების თარიღი 2006 წლის 19 იანვარი.

აუქციონის ჩატარების თარიღი 2006 წლის 21 იანვარი.

— საპრივატიზაციო ქონების „ბეს“ სიდიდე განისაზღვროს ობიექტის საწყისი ფასის 5 პროცენტით.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი („მონაწილე“) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ქონების დასახელებას, საწყისს ფასს, რომლის შეძენაც სურს მას;

ბ) „ბეს“ შეტანის ქვითარს;

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემებს;

დ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან ფიზიკური პირის სახელით;

ე) „მონაწილე“, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების ცალკეული სახეობის ვაჭრობაში, უნდა გადაიხადოს „ბე“ ცალ-ცალკე ყველა სატრანსპორტო საშუალებისთვის. „ბეს“ გადახდის დამადასტურებლად მას მიეცემა საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული ქვითარი, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს შპს „სპეცსერვისის“ ანგარიშზე: სააქციო საზოგადოება „ბაზისბანკი“. კოდი 220101956, ანგარიში 633616, საიდენტიფიკაციო კოდი 204462152.

ვ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს.

— თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, „მონაწილე“ იღებს „მონაწილის ბილეთს“ (რომლის ფასს ადგენს „გამყიდველი“), რის შედეგადაც ის ღებულობს „მონაწილის“ სტატუსს.

— აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების თარიღამდე 30 კალენდარული დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე.

**შპს „სპეცსერვისი“**

### კრიმინალი

## საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს

**გორის რაიონის სოფელ ნიქოზში, რომელიც ცხინვალის რეგიონის კონტროლირებადი ტერიტორიიდან 300 მეტრში მდებარეობს, ჯემალ გოგინაშვილი საკუთარ ავტომანქანაში ჩაცხრილული ნახეს. მას ცეცხლსასროლი იარაღით, თავის არეში რამდენიმე ჭრილობა აქვს მიყენებული.**

ცხედარი და ავტომანქანა სპეცნაზმა აღმოაჩინა, რომელიც იმ ადგილზე პატრულირებდა.

მკვლელობის მოტივი უცნობია, პოლიცია კომენტარს არ აკეთებს, ვერსია არც ოჯახის წევრებს აქვთ.

## დააკავეს „თბილაირსერვისის“ დირექტორი

**შპს „თბილაირსერვისის“ დირექტორი გურამ მახვილაძე პოლიციამ „თბილგაზის“ შენობაში მდებარე მისი ოფისიდან აიყვანა. დაკავების მიზეზი გლდანის მე-7 მიკრორაიონის 26-ე კორპუსში ბუნებრივი გაზის აფეთქება გახდა, რის შედეგადაც 70 წლის მაგული შაორშაძე და მისი 13 წლის შვილიშვილი ნინო გელაშვილი დაიღუპნენ.**

კრიმინალისტების დასკვნით აფეთქება გაზის გაჟონვამ გამოიწვია. თუმცა თავად მახვილაძე ამას უარყოფს და ამბობს, რომ ბუნებრივი გაზი კორპუსში გაშვებული არ იყო. მისი განცხადებით მაშინ მთელი კორპუსი უნდა აფეთქებულიყო.

მეზობლები ამბობენ, რომ აფეთქებამდე რამდენიმე წუთით ადრე მათ ძლიერი გაზის სუნი იგრძნეს, თუმცა შესაბამის სამსახურს ისინი არ გაუფრთხილებია და ვერ მიხვდნენ რა ხდებოდა, რადგან სარემონტო სამუშაოები ჯერ დამთავრებული არ იყო.

მიმდინარეობს მოკვლევა სხვა დამნაშავე პირების დასადგენად.

## გაფლანგული 48 ათასი ლარი არ შერჩათ...

**თელავის გამგებლის მოადგილის ჯუმბერ დარჩიაშვილის შემდეგ, ჯერი რაიონის კულტურის განყოფილების ყოფილ გამგეზე დავით ღაღანიძეზე მიდგა.**

ღაღანიძე ამ თანამდებობაზე 2003 წლიდან დაინიშნა, მანამდე კი იქ დარჩიაშვილი მუშაობდა.

სისხლის სამართლის საქმეც, სწორედ მათი მუშაობისას გაფლანგული 48 ათასი ლარის ფაქტზე აღიძრა. დარჩიაშვილს და ღაღანიძეს სამსახურებრივი უფლების ბოროტად გამოყენებისთვის უკვე წაეყენათ ბრალი, რაც 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

## აქ ჩამოიყვანენ

**მოსკოვში, ძებნის სამმართველოს თანამშრომლებისგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რუსეთის პოლიციამ ჭიათურის შს განყოფილების მიერ ძებნილი მრავალჯერ ნასამართლევი, კახაბერ ცუცქირიძე დააკავეს. ის სამი ადამიანის მკვლელობისთვის სამი წლის განმავლობაში იძებნებოდა.**

ცუცქირიძემ 2002 წლის სექტემბერში ანგარიშსწორების მიზნით, „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტით მოკლა ჯონდო ზეინკლიშვილი, ხოლო სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა გოჩა ტაბატაძეს.

ძებნის მომენტში მსგავსი დანაშაული 2004 წლის დეკემბერშიც ჩაიდინა. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე შელაპარაკების საფუძველზე, განზრახ მოკლა დემურ ჩიჩუა და დავით ხორავა.

ცუცქირიძის ექსტრადიციისთვის უკვე მზადდება შესაბამისი მასალები. ჩადენილი დანაშაულებისთვის მას ოც წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ასევე, რუსეთის პოლიციამ ქალაქ ვორონეჟში, მარნეულის შს განყოფილების მიერ ყაჩაღობისთვის ძებნილი ვუგარ მაგარამ ოღლი ნასიბოვიც დააკავა.

ის 1996 წლის აგვისტოში ყაჩაღურ ჯგუფთან ერთად, მარნეულში თავს დაესხა ნამაზოვის ოჯახს, საიდანაც ოჯახის წევრს წამებით და მუქარით ფული და ძვირფასეულობა გასტაცა.

ის მალე წარსდგება საქართველოს მართლმსაჯულების წინაშე, რისთვისაც შესაძლოა ათიდან თხუთმეტ წლამდე პატიმრობა შეუფარდონ.

ყაჩაღობისთვის დააკავეს ძებნილი, ჩხოროწყუელი, 25 წლის დიტო მორგოშიაც, თუმცა ცუცქირიძისგან და ნასიბოვისგან განსხვავებით, ის საქართველოში, ქართველმა სამართალდამცველებმა აიყვანეს.

## პოლიციელი ნარკოტიკებს ავრცელებდა

**თბილისში პეტრიწის ქუჩაზე დააკავეს წარსულში სამჯერ ნასამართლევი გრიგოლ რამიშვილი. მას აყვანისას ნარკოტიკული ნივთიერება „სუბოტექსი“ აღმოაჩნდა.**

მასთან ერთად დაკავებულია ვაკე-საბურთალოს რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს მე-4 განყოფილების თანამშრომელი ზემდეგი გიორგი ციბაძე.

ციბაძეს ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციაში ედება ბრალი. მას პირადი ჩხრეკისას სარეალიზაციოდ გამზადებული „სუბოტექსი“ აღმოუჩინეს. ასევე სამსახურში, მისი კუთვნილი კარადიდან პოლიციამ ექვსი აბი „სუბოტექსი“ ამოიღო.

ყოფილ პოლიციელს ბრალს სამსახურებრივი მდგომარეობა უფრო დაუმძიმებს და სავარაუდოდ ციხეში ის 15 წლამდე დარჩება.

## ყაჩაღებს ვერც ტყემ უშველა

**ჯვარი-მესტიის მონაკვეთზე დაბა ხაიშში დააკავეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები — სოფელ რუხში მცხოვრები მამუკა ჯაჭვლიანი და სოფელ ჯვარში მცხოვრები გოჩა შამუგია.**

ისინი ჯვარში ღამით თავს დაესხნენ თამაზ ბიბლაძის ოჯახს და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით საოჯახო ნივთები, ფული და ავტომანქანა გაიტაცეს.

დაკავებისას ბოროტმოქმედებმა პოლიციას ცეცხლი გაუხსნეს. ორმხრივი სროლა სწორედ დევნის ოპერაციის დროს დაიწყო. კვალის დაფარვის მიზნით ეჭვმიტანილებმა მანქანა ხევში გადააგდეს და გაქცევა სცადეს. თუმცა ტყიდან მათი გამოყვანა მაინც მოხერხდა.

ჯაჭვლიანი და შამუგია ორმხრივი სროლისას დაიჭრნენ, რის გამოც საავადმყოფოში გადაიყვანეს. დღეისათვის მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

დაკავებულებისგან ამოღებულია ავტომატი ორი მჭიდით და 24 ვაზნით.

## „ერთიანი ნაციონალების“ მექრთამე წევრი

**მარნეულის რაიონის გამგებლის მოადგილე ელდარ ჭოხონელიძე ქრთამის აღების ფაქტზეა აყვანილი. ფული მას კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ჯიბიდან ამოუღეს.**

დაკავებული ქრთამის აღების ფაქტს უარყოფს, თუმცა თანხის გადაცემის მომენტი ფარული კამერით არის გადაღებული. მას ფული ერთ-ერთმა მეწარმემ ბენზინგასამართი სადგურისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის საფასურად გადაუხადა. თავიდან საუბარი იყო 20 ათას დოლარზე, თუმცა ეს თანხა ბოლოს 10 ათასამდე დავიდა. სწორედ მისი გადაცემიდან რამდენიმე წუთის შემდეგ შევიდნენ პოლიციის თანამშრომლები და ათი ათასი დოლარი პიჯაკის ჯიბიდან ამოუღეს.

დაკავებული ჭოხონელიძე „გაერთიანებული ნაციონალების“ წევრია. ის თანამდებობებზე 2003 წლის დეკემბრიდან დაინიშნა.

ხალხი წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციაზე ალაპარაკდა და ამბობენ, რომ ვიღაცას ჭოხონელიძის ჩამოცილება სურდა(?) საეჭვოდ კი ამაში იმ ფაქტს ხედავენ, რომ ამდენ თანხას მარნეულში მიწის ნაკვეთში არავინ გადაიხდიდა.

## საბაჟოს თანამშრომელმა უკრაინელები უკანონოდ დაპატიმრა

**სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონალური საბაჟო „დასავლეთის“ სარფის საკონტროლო გამშვები პუნქტის უფროსი ზურაბ ჟამერაშვილი.**

მას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ედება ბრალი.

ჟამერაშვილმა უკრაინის მოქალაქეებს ელენე შევჩენკოსა და იულია მაიდანიუკს პასპორტები უკანონოდ ჩამოართვა და დროებით თავისუფლება აღუკვეთა.

დაკავებული პოლიციას განმარტებას ვერ აძლევს, თუ რა მიზეზით აღუკვეთა თავისუფლება უკრაინის მოქალაქეებს. იმედია, დანაშაულის მოტივს ჟამერაშვილი სასამართლოს მაინც აუხსნის.

**ლელა მანაველიშვილი**

### ამინდის პროგნოზი 100 წლით ადრე

# როდის უნდა ველოდოთ გვალვას

## წლევანდელი ზამთარი მცირეთოვლიანი და ყინვიანი იქნება

**მეცნიერება ჰავის შესახებ სწრაფად ვითარდება, ზუსტი პროგნოზების პრობლემა კი მეცნიერებისთვის კვლავაც პრაქტიკულად გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ამ ფონზე თითქმის ფანტასტიკურად გამოიყურება ბაშკირეთის პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებლის რიმ შაგიევის განცხადება ამინდის პროგნოზის 100 წლით ადრე შედგენის შესაძლებლობის თაობაზე. მაგრამ უფრო დაუჯერებელი ის არის, რომ მისი წინასწარმეტყველება 100 პროცენტით ხდება.** „Аиф“-ს მიერ 2002 წელს გამოქვეყნებული ამ მეცნიერის ვარაუდები სრულად დადასტურდა. შაგიევის მეთოდიკამ საშუალება მისცა მას, ჯერ კიდევ 2002 წელს ეწინასწარმეტყველა, რომ წლევანდელი შემოდგომა ჩვენი ქვეყნისთვის ანომალიურად თბილი და მშრალი იქნებოდა, ივლისში კი სიცხე, გვალვა დაიწყებოდა.

## მზის სისტემის ბარიცენტრი როგორც მიწისძვრებისა და ქარიშხლების მიზეზი

**შაგიევის** თეორიის თანახმად, ჰავა, ისევე როგორც ეპიდემიების, სტიქიური უბედურებების, ავიაკატასტროფების, ომების ალბათობა დამოკიდებულია მზისა და პლანეტების ურთიერთქმედებებზე. მარტივად რომ ვთქვათ, მან გამოარკვია, რომ ამინდ-კლიმატური ცვლილებები ყოველი 24 წლის შემდეგ მეორდება. ამასთან შესწორება დედამიწის და მზის სისტემის ბარიცენტრის ურთიერთქმედების ძალაზე უნდა კეთდებოდეს. სწორედ ბარიცენტრის ზეგავლენის ქვეშ მატულობს ან კლებულობს ატმოსფერული წნევა ხან ჩრდილოეთ, ხან კი სამხრეთ ნახევარსფეროში. სწორედ მასზეა დამოკიდებული ატმოსფერული ჰაერის ცირკულაცია დედამიწის მასშტაბებში და იცვლება ამინდი წელიწადის დროისგან დამოუკიდებლად.



## 2006 წელი კატასტროფებით მდიდარი იქნება

**თეორია** თეორიად, ჩვენ კი პირველ რიგში პრაქტიკული საკითხი გვაინტერესებს — რა გველის მომავალში. აი როგორია რიმ შაგიევის პროგნოზი.

მაშ ასე, წლევანდელი ზამთრის დარჩენილი დღეები ჩრდილო ნახევარსფეროში მცირეთოვლიანი და მკაცრი იქნება. აპრილი და მაისი ატმოსფეროს გლობალური ცირკულაციის შესუსტებით იქნება გამორჩეული, 23 მაისის შემდეგ დაიწყება ტროპიკული ზონის ცხელი ჰაერის მასების ჩრდილო ნახევარსფეროში გადანაცვლება. 2006 წელს მთელი დედამიწის მასშტაბით განმეორდება შტორმები, კატასტროფები, გვალვა, ნგრევა, ქარიშხლები, მეწყერები, ხანგრძლივი წვიმები, წყალდიდობები, ტაიფუნები და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში სხვა ანომალიური ბუნებრივი მოვლენები, რომლებსაც 1982 წელს ჰქონდა ადგილი... ოკეანის თბილი დინების ელ-ნინიოს მიერ გამოწვეული ურაგანები ასობით მილიარდის ზარალს მიაყენებს აშშ-ს.

2006-2007 წლის ზამთარი კი ევროპაში ანომალიურად თბილი იქნება. იაკუტიასა და ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში კი, პირიქით, ძალზე დიდი ყინვები იქნება — 54°C.

თუ მეცნიერის მიერ წარმოდგენილ ყველა მონაცემს დავაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილო ნახევარსფეროში 2009, 2011 და 2013 წლები გვალვიანი, დაბალმოსავლიანი იქნება. 2005-2006, 2007-2008, 2012-2013 წლის ზამთრები ცივი იქნება, 2009-2010, 2010-2011, 2011-2012 წლების ზამთრები კი — უხვთოვლიანი და თბილი.

გარდა ამისა, 2013 წლამდე პერიოდში მოსალოდნელია 40-ზე მეტი მიწისძვრა, ყველაზე დამანგრეველი მიწისძვრები მოხდება 2008 წ. თებერვალში, 2010 წ. აგვისტოში, 2013 წლის სექტემბერში.

### აუქციონი

# დავაკმაყოფილებთ კი „ტოპის“ მადას?



გაგრძელდება მათი თანამშრომლობა?

**გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა მორიგ პრესკონფერენციაზე გვიხმო და თბილისიდან სამშობლოში წინადღით დაბრუნებული ჩვენი ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატის, გერმანელი კლაუს ტოპმიოლერის ვიზიტი შეაჯამა („ჯვაროსანთა“ თავკაცობის მეორე პრეტენდენტი სლოვენიელი სრეჩკო კატანეცი 19 დეკემბერს გვეწვევა).**

როგორც დიალოგისას შევიტყვეთ, სტუმარს გამგზავრებამდე საკუთარი პირობები გაუცვნია მასპინძელთათვის. გთავაზობთ მათ: წელიწადში „ტოპი“ მილიონ ორასი ათას (თვეში — ასი ათას) ევროს ითხოვს გადასახადების გარეშე; კონტრაქტის ხელმოწერის შემთხვევაში თან ჩამოიყვანს თანაშემწესა და მენეჯერს წელიწადში სამასი ათასი ევროს ანაზღაურებით (ორივეს ერთად, ასევე გადასახადების გარეშე); „ევრო-2008“-ის შესარჩევ ეტაპზე ჯგუფში პირველი ან მეორე ადგილის დაკავების შემთხვევაში დამატებით, პრემიის სახით უნდა მიიღოს ხუთასი ათასი ევრო (მას იქვე განემარტა, რომ თუ ასე მოხდა, სახელფასო თანხა გარკვეულწილად შემცირდება); და ბოლოს, თვეში ორ კვირას იგი საქართველოში გაატარებს, ხოლო შესარჩევი მატჩების პერიოდში — მთელ თვეს. რაც შეეხება კვების, ტრანსპორტისა და სასტუმროს (ან ნაქირავები ბინის) ხარჯებს, მას სფფ დაფარავს.

დაგვეთანხმებით, ჩვენისთანა სახელმწიფოსათვის საკმაოდ მადიანი პირობებია, თუმცა ბატონმა ნოდარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ როცა ასეთი დონის პროფესიონალზეა საუბარი, მისი მხრიდან ნაკლების მოთხოვნა გასაკვირიც იქნებოდაო და იქვე დასძინა: ეს მისი შემოთავაზებული პირობებია, ჩვენ კი საკუთარ პოზიციას მალევე შევატყობინებთ — მოლაპარაკებები ხომ ეს-ესაა დაიწყოო.

საგულისხმოდ გვეჩვენა ის სიტყვები, რომლებიც ჰერ ტოპმიოლერს ეკუთვნის: ბევრ იმ ქვეყანაზე წინ გაყენებთ, რომელიც სატურნირო ცხრილებში გისწრებთო; ქრისტიანული ღირსებებით საქართველო მჭიდროდ არის მიახლოებული ევროპულ ღირებულებებთან და მსოფლმხედველობასთანო; მისასალმებელია განათებული ღამის თბილისის ხილვაო; ყველაფერი იმის შემდეგ, რაც აქ ვნახე, მზად ვარ და სურვილიც მაქვს თქვენთან ვიმუშაოო. „ტოპის“ პირობაც კი დაუდია, თუ გერმანული ვარიანტი გამოირიცხა („შალკე“), ერთადერთი ქვეყანა, სადაც დავსაქმდები, საქართველო იქნებაო.

ბატონმა ნოდარ ახალკაცმა ისიც აღნიშნა, რომ ძვირფას სტუმარს კარგად აქვს გაცნობიერებული ერთი ფაქტი — ფეხბურთი საქართველოში საპრეზიდენტო პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტი რომ არის. მასვე პირუთვნელად გამოუხატავს საკუთარი პოზიცია სფფ ტექნიკურ ცენტრ „ბასას“ მომავალთან დაკავშირებით და ურჩევია, დაფიქრებით მოვეკიდოთ მისი შემდგომი კეთილმოწყობისათვის ინვესტიციების მოზიდვის საკითხს — მოგეხსენებათ, დასახელებულ ობიექტს სადრენაჟო სისტემა არ გააჩნია.

**გია პლატონიშვილი**

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

### ადამიანი დროში

# „ნაპერწკლით“ დაიწყო და ოლიმპიურ ჩირაღდანზე ოცნებობს

**სექტემბრის მიწურულს ბუდაპეშტში ლასლო პაპის სახელობის სპორტის სასახლის ხალიჩაზე თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონობა კოლაგელმა რევაზ მინდორაშვილმა მოიპოვა. მისი პირადი მწვრთნელი გახლავთ საქართველოს და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენოსანი მარლენ ოსიყმაშვილი.**

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდაში დაბადებულმა და გაზრდილმა ფალავანმა ჭიდაობას ნახერხმოყრილ სარბიელზე გაუსინჯა გემო, თუმცა სერიოზული ვარჯიში მოგვიანებით დაიწყო 19 წლისამ, მას შემდეგ, რაც ფიზიკულტურის ინსტიტუტში ჩაირიცხა.

— ჯერ სამსონ თედეევი მამეცადინებდა, მერე ამაგდარ პედაგოგთან — მიხეილ თიკანაძესთან ვიმაღლებდი ოსტატობას, — იხსენებს ბატონი მარლენი, — ოცდორი წლისამ სპორტსაზოგადოება „ისკრის“ საკავშირო პირველობაზე გავიმარჯვე. მაშინ ჩემთან ერთად ჩემპიონები გახდნენ უშანგ ბარნაბიშვილი, ვასილ ილურიძე, გოგი სხირტლაძე, გივი კარტოზია და შალვა მდინარაძე. იმავე წელს ერევანში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე, სადაც გივი კარტოზიამ და გოდერძი ჩიტიაშვილმა ოქროს მედლები დაიმსახურეს, 52 კილოგრამ წონით კატეგორიაში IV-V ადგილები გავიყავი.

კოდელმა მოჭიდავემ მომდევნო წლებში ორ-ორჯერ მოიგო სპორტსაზოგადოება „ისკრის“ და „სპარტაკის“ საკავშირო პირველობები. კარგ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ სპორტულ სარბიელს ნაადრევად ჩამოშორდა.

— ჩემს წონაში საკმაოდ ძლიერი ფალავნები გამოდიოდნენ — შურა მაისურაძე და ვალიკო გიგიაძე. მოგვიანებით თვითნაბადი ტალანტი ვოვა რუბაშვილი გამოჩნდა. მათთან გამკლავება იოლი არ იყო. თანაც, ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ უფრო პედაგოგობამ გამიტაცა...

47 წელიწადია, მარლენ ოსიყმაშვილი მწვრთნელად მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში მრავალ ახალგაზრდას გაუკაფა გზა დიდი სპორტისკენ. მისმა შეგირდებმა სხვადასხვა დროს სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში. განსაკუთრებით ასახელეს ოსტატი ზაზა თურმანიძემ, დავით გიგაურმა, ნოდარ ხუციშვილმა, ვახტანგ დოლიძემ, თამაზ გეგეშიძემ, კობა სუთიაშვილმა, ზვიად სისაურმა და სხვებმა. ალექსი მოდებაძემ სიდნეისა და ათენის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა, ევროპის ჩემპიონატების „ვერცხლისა“ და „ბრინჯაოს“ პრიზიორია.





მარლენ ოსიყმაშვილი აღზრდილთაგან ყველაზე მეტად მაინც რევაზ მინდორაშვილმა ასახელა. კოლაგელმა ჭაბუკმა 2002 წელს ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა, 2003 წელს მსგავსი შედეგი ჰქონდა მსოფლიო ჩემპიონატზე, ევროპის პირველობაზე კი ყველას აჯობა. შარშან კონტინენტის უძლიერეს ფალავნებთან პაექრობაში ვერცხლის ჯილდო ერგო, თუმცა ათენის ოლიმპიადაზე ხელი მოეცარა. სამაგიეროდ, წლეულს უნგრეთის დედაქალაქში იყოჩაღა — მსოფლიო ჩემპიონატის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

— ძალიან გამახარა მინდორაშვილის ჩემპიონობამ. ხუთი ათეული წელიწადია, ჭიდაობას ვემსახურები და ეს დიდი გამარჯვება ჩემი საქმიანობის გვირგვინად მიმაჩნია. ხანდაზმულობის მიუხედავად, ჯანსა და ენერგიას არ ვუჩივი. ისე არ მინდა წავიდე დიდი სპორტიდან, ჩემი რომელიმე შეგირდი ოლიმპიურ კვარცხლბეკზე არ ვიხილო...

გამრჯე კაცია მარლენ ოსიყმაშვილი. ხალიჩაზე ბოლომდე იხარჯება ვარჯიშებისას. მეცადინეობებისგან თავისუფალ დროს მშობლიურ კოდაში ატარებს. ყოველწლიურად ორ ტონაზე მეტი სიმინდი და ტონაზე მეტი ყურძენი მოჰყავს. ხილიც ბლომად აქვს, ოჯახიც ღირსეული ჰყავს.

ორი შვილის მამას და ერთი შვილიშვილის პაპას, ამაგდარ პიროვნებას მარლენ ოსიყმაშვილს დღეს დაბადებიდან 75 წელი უსრულდება.

ვულოცავთ!

**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: ოსტატი და შეგირდი — მარლენ ოსიყმაშვილი და რევაზ მინდორაშვილი; ასე ჭიდაობდა იუბილარი (მარჯვნივ).**

### სპორტულ ორბიტაზე



## ჩემპიონთა ლიგის მედალი — 1500 გირვანქად

**ინგლისის „ლივერპულის“ ფეხბურთელმა ჯონ არნე რიისემ ონლაინის აუქციონზე 1500 გირვანქად გაყიდა სტამბოლში ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანის“ დამარცხებისას მოპოვებული მედალი.**

როგორც გაზეთი The Sun წერს, მას გააჩნია ვიდეოკასეტა, როდესაც რიისე ინტერნეტის საშუალებით ევაჭრება „საიდუმლო ახლობელს“ მედლის ყიდვა-გაყიდვის თაობაზე. გაზეთისვე ცნობით, მყიდველი ჰონკონგიდან უნდა იყოს.

უნდა დავამატოთ, ფეხბურთელის საქციელი, თუ კი ის ნამდვილად მოხდა, ძალზე ცინიკურად გამოიყურება. მედალში აღებული თანხა ხომ არც კი შეიძლება შევადაროთ თანხას, რასაც პროფესიონალი ფეხბურთელის ყოველკვირეული ხელფასი შეადგენს.

და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, თუ როგორ განიცადეს „ლივერპულის“ ფეხბურთელებმა ამ საპატიო ჯილდოს მოპოვება, მაშინ ნორვეგიის ნაკრების მოთამაშის ასეთი საქციელი ნამდვილად ამორალურია.

## მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობით

**სწორედ რომ სარეკორდო რაოდენობით გამოირჩევიან „დაკარ-2006“-ის მონაწილენი — სასტარტო სიაში ხომ 240 მოტოციკლეტი, 188 მსუბუქი და 80 სატვირთო ავტომანქანაა.**



მონაწილეთა შორისაა ამერიკული სერიის NASSAR ვარსკვლავი რობი გორდონი ყველაზე მინიატიურული „ჰამერ-H3“-თი. სხვათა შორის, გორდონისა და მისი შტურმანის დერენ სკილტონის მანქანა სერიულ „ჰამერს“ მოგვაგონებს მხოლოდ ძარათი, „შიგთავსზე“ კი თითქმის მთელი წელი მუშაობდნენ.

ამერიკელი სახელგანთქმულ აფრიკულ მარათონში შარშან პირველად მონაწილეობდა „ფოლკსვაგენით“ და ორ სპეცმონაკვეთზეც გაიმარჯვა.

## ნახეთ, რა მორიდებულია!

**ამერიკული სერიალის „სასოწარკვეთილი დიასახლისების“ ვარსკვლავი ევა ლონგორია ძალზე მორიდებული პიროვნება ყოფილა. ეროვნული კალათბურთის ასოციაციის კლუბის „სან-ანტონიო სპერსის“ ერთ-ერთი მატჩის შემდეგ მისმა შეყვარებულმა ტონი პარკერმა ქალიშვილი გასახდელში მიიწვია, რამაც ლამაზმანი შოკში ჩააგდო.**

„როდესაც მამაჩემთან ერთად გასახდელში მიგვიწვიეს, მამამ მაშინვე ისარგებლა ამ მიწვევით. მე კი ამან შემაცბუნა — იქ ხომ შიშველი ან პირსახოცმოფარებული მამაკაცები იქნებოდნენ. მე მაინც გავბედე და შევედი გასახდელში. საბედნიეროდ, პირველი სწორედ ტონი შემომეგება“, — ამბობს ევა.

იმით გახარებულმა, რომ შიშველ მამაკაცებს არ გადააწყდა, ლონგორიამ პარკერთან მის მშობლიურ ენაზე ისაუბრა. „ტონი ძალზე კმაყოფილია, როდესაც მას ფრანგულად ველაპარაკები. გახარებულმა მამაჩემი რესტორანშიც კი მიიწვია, სადაც მათ სასიამოვნო დრო გაატარეს“, — ამაყად აცხადებს ლამაზმანი.



### კალათბურთი

# თსუ „ნიკორა“ – სრული სვლით

**კალათბურთელ ვაჟთა XV ეროვნული ჩემპიონატის II წრის ფინიშზე ყველანი მოუთმენლად მოელოდნენ გათამაშების ჯერაც დაუმარცხებელი ლიდერის თსუ „ნიკორასა“ და მისი უახლოესი მდევრის „ავიამშენის“ მატჩს. ამთავითვე უნდა ითქვას — შეხვედრამ სრულად გაამართლა გულშემატკივართა ინტერესი. უაღრესად დაძაბული ბრძოლა სტუდენტებმა, I წრის მსგავსად, ოთხქულიანი უპირატესობით მოიგეს — 80:76 და კიდევ უფრო განიმტკიცეს წამყვანი პოზიცია. ყველაზე შედეგიანები: მარხვაშვილი — 13, ტყეშელაშვილი, ფანჩულიძე 12-12 ქულა (თსუ „ნიკორა“); ხოშტარია — 28, მარკოიშვილი — 13 ქულა („ავიამშენი“).**



XII ტურის დანარჩენი შედეგები: სსუ — „აზოტი“ 51:106. ყველაზე შედეგიანები: ქვილითაია — 13 ქულა (სსუ); იმნაძე — 28, გოგობერიშვილი — 20 ქულა („აზოტი“). ქუთაისი — „დინამო“ 64:91, სტუ — „მაქაბი“ 109:78.

აქვე ერთ საინტერესო სიახლესაც გაუწყებთ: საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტად უახლოეს წარსულში ეროვნული ნაკრების კაპიტანი **ვახტანგ ნაცვლიშვილი** დაინიშნა.

19 დეკემბერს XIII ტურში ითამაშებენ: „დინამო“ — სსუ (14 საათზე), „ავიამშენი“ — სტუ (16 საათზე), თსუ „ნიკორა“ — ქუთაისი (18 საათზე) და „აზოტი“ — „მაქაბი“ (17 საათზე, რუსთავში).

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

### ვარაუდი

## გერმანიის ოკუპაციას ელიან

**როგორც გერმანელი კომენტატორები მიიჩნევენ, გაისად მსოფლიო ჩემპიონატისას მათს ქვეყანას ნამდვილი ოკუპაცია მოელის. იქ დაახლოებით 30 ათასი მეძავი ქალი ჩავა, ძირითადად ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან.** „სამწუხაროდ, მასობრივი სპორტი და პროსტიტუცია ერთმანეთთან გაცილებით უფრო მჭიდრო კავშირში აღმოჩნდა, ვიდრე ადრე გვეგონა“, — განაცხადა გერმანიის კათოლიკე ქალების ორგანიზაციის პრეზიდენტმა მაგადალინა ბოგნესმა.

### თაღლითობა

## ასეც ხდება

**როგორც ფრანგული გაზეთი „ეკიპი“ იუწყება, „ლიონისა“ და „მეცის“ მატჩის წინ (4:0) სტუმრების აგენტს უცნობმა დაურეკა, შესთავაზა შეხვედრის მათთვის სასურველი ნებისმიერი შედეგით დასრულება და საამისოდ 400 ათასი ევრო მოითხოვა.** როცა უარი მიიღო, უცნობმა უთხრა, რომ უშუალოდ მოთამაშეებს დაუკავშირდება და მათი ნახევარი მაინც ფულზე უარს არ იტყვის.

## საეკლესიო კალენდარი

# წმინდა ისე, წილკნელი ეპისკოპოსი



დღეს, 15 დეკემბერს ქართული სამოციქულო ეკლესია წმინდა მამას ისე ეპისკოპოსს იხსენიებს; მეექვსე საუკუნეში საქართველოს სულიერი ცხოვრება ასურეთიდან ჩამოსულმა მამებმა, წმინდა იოანე ზედაზნელმა და მისმა მოწაფეებმა გააბრწყინეს.

ქართლის კათოლიკოს ევლავიოსის და იოანე ზედაზნელის კურთხევით ღირსმა ისე წილკნელმა ბევრი ეკლესია-მონასტერი დააარსა საქართველოში და ბერ-მონაზვნურ ცხოვრებას დაუდო საფუძველი.

მღვდელმთავარი ისე წილკნელი თავის ეპარქიაში ბევრს მოგზაურობდა, განსაკუთრებით მთიან ადგილებში დადიოდა, სახარებას ქადაგებდა, საკერპოებს არღვევდა და წარმართებს ნათელს სცემდა სამების სახელით. წმინდა ისე გამოირჩეოდა კაცთმოყვარეობით, გლახაკთა ხელის აღპყრობით, მოწყალებითა და უცხოთშემწყნარებლობით...

... ერთხელ იოანე ზედაზნელმა ღირს ისეს ასე მიმართა: „მამაო, მფლობელო, გუნებავს, რათა შენგან კურთხევა მივიღოთ, რომელ გუაქუნდეს სახსენებლად შენდა“... წმინდა ისე მდინარე ქსნის ნაპირას ჩავიდა, მას უკან გაჰყვნენ წმინდა მამები და უამრავი ხალხი. ღირსმა ისემ ჯვარი გადასახა მდინარეს, შემდეგ კვერთხი „დასცა წყალთა მას ზედა სახელითა ქრისტესითა გიბრძანებ, ჩემ მიერ კსინვით ვიდოდე და შემომიდეგ, ვიდრელა ვიდოდე“.

უცებ, მდინარეს წყლის ერთი ტოტი გამოეყო და წმიდა ისეს კვერთხს შეუდგა. საითაც წმინდანი მიდიოდა, წყალიც იქით მიჰყვებოდა, ვიდრე წილკნის საყდრამდე არ მიაღწია. აღმართს მისთვის ხელი არ შეუშლია. ამ სასწაულის მხილველნი ადიდებდნენ ქრისტეს სახელს... სასწაულმოქმედ მამას წინასწარ ეუწყა ხორცთაგან განსვლის დღე. შეკრიბა მოწაფენი, ეკლესიის მსახურნი, დალოცა ისინი, დაარიგა, ეზიარა და უფალს შეავედრა სული...

ღირსი ისე წილკნელის ნეშტი დაკრძალეს იქვე, წილკნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

## მილოცვა

### ბატონ ლაითა ლაშხიას

საქართველოს ფოსტის და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭო და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული კომიტეტი გულწრფელად და დიდი პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო დაბადების დღეს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და შემართებას რომელიც თქვენში ძალიან დიდია.

## სულიერება

# მარხვის გატეხა არ ეგების

**საშობაო მარხვის დღეებია.**

**სიდიდით მეორე მარხვა აღდგომის მარხვის შემდეგ, ძალზე მნიშვნელოვანი და განმწმენდია. ის შობის წინა დღეს მთავრდება.**

**პირველ იანვარს კი კაცობრიობა ახალ წელს ზეიმობს. ამ დროს სუფრა ნაირ-ნაირი სანოვაგით ივსება. ქრისტიანის ოჯახშიც ასე ხდება. დიდია ცდუნება. მაგრამ მორწმუნე ადამიანისთვის ქრისტეს გზაზე დაბრკოლება არ არსებობს.**

თუმცა, როგორც კი მარხვა იწყება, ხშირად გავიგონებთ ასეთ გამოთქმებს „რა ვჭამოთ?“ „როგორ ვიმარხულოთ სწორად“? „მე შიმშილისგან თავბრუ მეხვევა“, „შეიძლება თუ არა იმარხულოს ორსულმა?“ და ასე შემდეგ. მაგრამ ასეთ კითხვას ხომ მორწმუნე ადამიანი არასდროს დაუსვამს თავის თავს, რადგან მისთვის ჭამა სულიერებასთან შედარებით სათვალავში ჩასაგდებიც არ არის.

ამ საკითხზე, რაღა თქმა უნდა, თავისი აზრი აქვთ ექიმ-დიეტოლოგებს.

— მარხვის დაწყება მხოლოდ იმიტომ, რომ ის „მოდაშია“, არაფრით არ შეიძლება. ამას ზოგი ადამიანი მართლაც „მოდისთვის“ აკეთებს და არა სულიერების სიღრმიდან, უფლის თაყვანისცემის სურვილიდან გამომდინარე, — ამბობენ ისინი.

როგორც ცნობილია, შიმშილისგან ადამიანს ეწყება დეპრესია, გაღიზიანებადობა, ერღვევა გულის რიტმი. თუმცა, მარხვა სრულებითაც არ ნიშნავს შიმშილს. რაციონიდან ადამიანმა თანდათანობით უნდა გამორიცხოს ხორცი და სხვა პროდუქტები და არა — ერთბაშად. მარხვის დაწყების შემთხვევაში კი, სასურველია, მივმართოთ სპეციალისტს, ექიმს, მით უმეტეს, თუ რაიმე გვაწუხებს.

ეკლესია მუდმივად გვახსენებს, რომ ადამიანის განწმენდა მხოლოდ საჭმლის აკრძალვით არ შემოიფარგლება. სულიერი მარხვის გარეშე ის უკვე დიეტა იქნება, რასაც აღარ ერქმევა დიადი მიზანი ღვთისაკენ მიმავალ გზაზე.

ჭეშმარიტი მარხვა ასოცირდება წმინდა მიზნებთან და მაღალ სულიერებასთან. ჩვენ ვიცით, რომ ამ დროს არ უნდა ვჭამოთ ხორცი. უფრო იშვიათად გვახსენდება, რომ არ უნდა გამოვთვრეთ, არ უნდა მოვწიოთ სიგარეტი და უნდა ავკრძალოთ სექსი...

მარხვის უკანასკნელი კვირა კი უფრო მძიმეა, ამ დროს თევზის ჭამა შაბათ-კვირასაც იკრძალება. ამის მიუხედავად, ჭეშმარიტი ქრისტიანი ხდება უფრო მიმტევებელი, მომთმენი, მისი სული განწმენდილია და განწყობა — ამაღლებული, ის მზადაა სულიერად და ხორციელად განწმენდილი შეეგებოს თავის უფალს, შეუდგეს მის გზას. მისთვის უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა არც საახალწლო სუფრაზე გამოტანილ დაბრაწულ გოჭს, არც მწვადებს, არც ტოლმას... შეიძლება ჭიქა შამპანურიც კი არ შესვას...

და მაინც, ვის ეკრძალება მარხვა?

ქრისტიანული ეკლესიის თანახმად, არ არის განსხვავება მარხვის დროს ქალსა და მამაკაცს, მოზრდილსა და ბავშვს შორის. ადამიანები, რომლებიც მძიმე და ქრონიკული დაავადებებით იტანჯებიან, 14 წლამდე ბავშვები, ორსულები და მეძუძური დედები მკაცრი მარხვისაგან ამჟამად თავისუფლდებიან. მათ რიგში შედიან, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურენი, მოგზაურები, რომელთათვის აუცილებელია მაღალკალორიული კვებითი რაციონი. მოზარდებს კი, რომელთაც მარხვის სურვილი აქვთ, შეუძლიათ იმარხულონ.

ორსულ და მეძუძურ დედებს, მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, მოძღვარი მაინც აძლევს უფლებას რძისა და რძის პროდუქტების მიღებაზე, რადგან ეს მათთვის, უბრალოდ, აუცილებელია.

ექიმების თვალსაზრისით კი, მარხვაში ცუდი არაფერია. ამ დროს ორგანიზმი იწმინდება შხამებისა და ტოქსინებისაგან და ჯანმრთელდება. წონა კლებულობს. მცენარეული საკვების, მისი მდიდარი უჯრედისის წყალობით კი ძლიერდება ნაწლავთა პერისტალტიკა, რის შედეგადაც სწრაფად და ადვილად თავისუფლდებიან ისინი დაგროვილი შხამებისაგან. უკვე ნაკლები ენერგია სჭირდება ორგანიზმს საკვების გადასამუშავებლად.

მცენარეული ზეთის გამოყენებით დაბლა იწევს მომატებული არტერიული წნევა და ქოლესტერინის დონე სისხლში, რაც დადებითად აისახება ჰიპერტონიითა და გულის იშემიური დაავადებების მქონე ადამიანთა ჯანმრთელობაზე.

ოფიციალური მედიცინის აზრით, ვეგეტატიური კვება არ აქვეითებს გონებრივ აქტიურობას. პირიქით, რაციონში მუდმივად ბურღულეულის, პურის, სოიოს, სოკოს, ხილბოსტნეულის, აგრეთვე მურაბების, თაფლის, ჩირის, შაქრის გამოყენება ორგანიზმს ამარაგებს საჭირო ვიტამინებითა და მიკროელემენტებით. ავიტამინოზი მარხვაში არავის ემუქრება!

ოღონდ, ახლა რადგან ისედაც ზამთრის პერიოდია, მისი ხასიათიდან გამომდინარე, თუკი ორგანიზმს სისუსტე დაეტყობა, აუცილებელია პოლივიტამინებისა და მიკროელემენტების მიღება.

**აქვე გთავაზობთ ერთ სამარხვო კერძსაც. ჭარხლის „ხიზილალა“ მონასტრულად:** 500 გრ. ჭარხალი, 500 გრ კომბოსტო, ერთი კონა მწვანე ხახვი (შეიძლება თავიანიც), ერთი სუფრის კოვზი ტომატ-პასტა, ამდენივე შაქარი, 4 სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი, მარილი, შავი პილპილი გემოვნებით.

მოხარშული ჭარხალი გავასუფთავოთ, დავჭრათ კუბიკებად, მოვხრაკოთ ზეთში, მოვაყაროთ წვრილად დაჭრილი მწვანე ხახვი, წვრილად დაჭრილი კომბოსტო, მოვშუშოთ ცალკე ზეთში და დავამატოთ ტომატ-პასტა. ჩავაყაროთ ჭარხალი, კარგად ავურიოთ და შემოვდგათ ქურაზე 5 წუთით. შევაზავოთ გემოვნებით მარილით, შაქრით და პილპილით.

იმარხულეთ და ღმერთი შეგეწევათ!

**ლია ჭიღლაძე**

## სოციოლოგიური გამოკითხვა

### როგორ შეიძლება გახდე მდიდარი რუსეთში?



**ცოლად ითხოვო ან მისთხოვდე მდიდარ ადამიანს – 18%**
**გაიკეთო კარიერა ხელისუფლების ორგანოებში – 18%**
**მიიღო მემკვიდრეობა – 17%**
**გაიკეთო კარიერა მსხვილ კომპანიაში – 17%**
**შექმნა საკუთარი ბიზნესი – 14%**
**ჩვენს ქვეყანაში ამის გაკეთება შეუძლებელია – 8%**
**სხვა – 8%**

„რომირ მონიტორინგის“ გამოკითხვის მონაცემების თანახმად.

## დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია



30 მილიარდი რუბლი — ასეთი ოდენობის ზარალი მოაქვთ ყოველწლიურად კაცობრიობისთვის ვირთაგვებს. ეს თანხა რუსეთში 2006 წლისთვის სოფლის მეურნეობის სახელმწიფო დოტაციის თითქმის ნახევარს შეადგენს.

## ციფრების ენით

### როგორი იქნებოდა თქვენი რეაქცია, თუ რომელიმე ახლობელი ან ნათესავი გადაწყვეტდა ზიარებოდა ისლამს?



**არანაირი – 45%**
**უარყოფითი – 30%**
**დადებითი – 13%**
**გამიჭირდება პასუხი – 11%**

„საზოგადოებრივი აზრის“ ფონდის მიერ გამოკითხულთა შედეგებით.

## ლარის კურსი

### 15 დეკემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1675 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7875 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1495 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0624 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3893 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3974 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5579 ლარი. |

## ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს მღვდლის ცოლი

# ლაშა თაბუკაშვილი: ძალიან კარგი, რომ გაზეთი სიყვითლეს გაურბის



ადრე პრესასთან სხვანაირი დამოკიდებულება მქონდა, უფრო აქტიური, ვიდრე დღეს, სისტემატური მკითხველიც ვიყავი და კიდეც ვთანამშრომლობდი. ახლა ამას ველარ ვიტყვი, ეს ურთიერთობა დამემსხვრა. სამწუხაროდ, რთულ პერიოდში ვარ და სახსრები იმის საშუალებას არ მაძლევს, რომ გაზეთები გამოვიწერო, ისე დროდადრო ვათვალიერებ ხოლმე (მიჭირს დავასახელო გაზეთი, რომელიც მეტნაკლებად საკითხავი იყოს დღეს. არსებული გაზეთების უმრავლესობა ძალიან პოლიტიკური და ანგაჟირებულია, ამასთან არაობიექტურიც. ამ ფონზე „საქართველოს რესპუბლიკა“ შედარებით სტაბილურად გამოიყურება, გარდა ამისა, ტრადიციულია და სიყვითლეს გაურბის, რაც ძალიან კარგია.

იმედია, რომ ახალი წლიდან გაზეთი არც ძველ გზას უღალატებს და სიახლესაც უფრო მეტად წარმოაჩენს.



## გამოიწერეთ

### სანდო, მართალი და ტრადიციული გაზეთი «საქართველოს რესპუბლიკა»

მიმართეთ „საქპრესას“ (ტელ: 35.51.40), „მაცნეს“ (37.40.49), „უწყებანს“ (93.64.72), „პრეს-ექსპრესს“ (96.23.11), „პლანეტა-ფორტეს“ (93.38.73), „ინფოსერვისს“ (34.09.35), „ელვა-სერვისს“ (36.35.75) რაიონებსა და ქალაქებში — „საქპრესის“ ადგილობრივ განყოფილებებს.

ძვირფასო მკითხველებო, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, რედაქციამ გაითვალისწინა თქვენი შესაძლებლობებიც და, კვლავ თქვენი თანადგომის იმედით, არ გაზარდა გაზეთის ფასი — მისი ერთი ეგზემპლარის ღირებულება კვლავაც 50 თეთრია.

ამდენად, გაზეთის გამოწერა ეღირება: ერთი თვით — 13 ლარი, სამი თვით — 39 ლარი, 6 თვით — 78 ლარი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ — მუდამ თქვენი თანამდგომი, სიხარულისა თუ ჭირ-ვარამის გამზიარებელი გაზეთი!

**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც. კოსტავას ქ. № 14, IV სართული. ტელ: 98.96.32; გაზეთის ინდექსი: 66434.**




## ანეკდოტები

**საქართველოს** მთავრობა ფეხბურთელთა ნაკრების თითოეულ მოთამაშეს 50 ათას დოლარს დაპირდა მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის. ასეთი ზრუნვით აღფრთოვანებულმა ფეხბურთელებმა მართლაც გამაოგნებელ შედეგს მიაღწიეს — ქვეყნის ბიუჯეტს თითქმის 1,5 მილიონი დოლარი დაუზოგეს!

* * *

**თუ** მიწისქვეშა გადასასვლელიდან ტუალეტის სუნი ამოდის, ესე იგი, სწორედ იქ არ არის ტუალეტი.

* * *



**ახალი** ქართველი თავისი „შესსოტკის“ უკანა სავარძელში ჩაჯდა. ხედავს, მძღოლი მოწყენილია.

— რად ჩამოგიშვია ცხვირი, ბიჭო, რას ნერვიულობ? თვეში ათას დოლარს გიხდი, ბინა გიყიდე, რეგულარულად ისვენებ ანტალიაში... კიდევ რა გაქვს საფიქრალ-სადარდებელი?

— აი, ვფიქრობ, მძღოლი ხომ არ დაგვექირავებინა...

* * *

**პირველი** იანვრის დილის 9 საათია. ბინაში ტელეფონი რეკავს.

— ალო, ვინ ბრძანდებით?

— გამარჯობათ, ეს საახალწლო სოციალური გამოკითხვაა... ახლა კი გამოიცანით, რა გვიპასუხა რესპონდენტთა 99 პროცენტმა?

* * *

**მიხოს** ავტოინსპექტორი აჩერებს, საბუთებს გაუსინჯავს და ზრდილობისთვის ეკითხება:

— ჯანზე როგორა ხართ?

— გადასარევად, უფროსო, დილით ხაშზე ლუდი და არაყი დავურტყი, მერე აბანოში ვიგრიალე კონიაკით, ეს ვისკის ბოთლიც სანახევროდ გამოვცალე და კვლავ საქეიფოდ მივდივარ!

ავტოინსპექტორი გაოგნებულია:

— აბა, ერთი ამ ჭიქაში ჩაისუნთქეთ!

— რაო, უამისოდ, სიტყვაზე არ მენდობი?

# NON-STOP



***საერთო რეჟიმის კოლონიაში 6 წლის განმავლობაში მოუწევს სასჯელის მოხდა სანკტ-პეტერბურგის „შულც-88“ ნეონაცისტური დაჯგუფების ხელმძღვანელს დიმიტრი ბობროვს.***

სასამართლო პროცესი თითქმის ორ წელიწადს გრძელდებოდა. სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ჯერ კიდევ 2003 წლის გაზაფხულზე, სომხეთის მოქალაქეზე არამ გასპარიანზე თავდასხმის ფაქტის გამო. თავდაპირველად, დანაშაული ხულიგნობად მიიჩნიეს, თუმცა, მოგვიანებით გამოძიების ძირითადი ვერსია შეიცვალა და პირველ ადგილზე გამოვიდა ეროვნებათშორისი შუღლის მოტივი. ამ დაჯგუფების წევრთა მიერ გამოცემული ბროშურებისა და გაზეთების გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ დაჯგუფების წევრები იჩენდნენ აგრესიას „უცხოელთა“ მიმართ. ორგანიზაციას გამოუტანეს ეროვნული და რასობრივი შუღლის გაღვივების, რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო წყობის ძალადობის გზით შეცვლისთვის საჯარო მოწოდებების, კავკასიელებზე თავდასხმათა განხორციელების ბრალდებები. განსასჯელთა სკამზე 6 კაცი აღმოჩნდა.

* * *



***გარდაიცვალა რობერტ შეკლი***

სამეცნიერო ფანტასტიკის ამ 77 წლის კლასიკოსის გარდაცვალების მიზეზი გახდა თავის ტვინის სისხლძარღვთა ანევრიზმა. მწერლის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა გაზაფხულზე, როცა იგი უკრაინაში ჩავიდა ფანტასტი მწერლების ფორუმში მონაწილეობისთვის. რობერტ შეკლი გაცივდა ოდესაში, რის შემდეგაც იგი მოათავსეს კიევის საავადმყოფოში, სადაც მან ერთი თვე დაჰყო. ამ ბოლო ხანებში, ცნობილი ფანტასტი ცხოვრობდა ნიუ-იორკის შტატის ქალაქ რედ-ჰუკში.

* * *

***მაიკლ ჯექსონი მოიწამლა ნარკოტიკებისა და ალკოჰოლიანი სასმელის ნაზავით.***



შეერთებული შტატებიდან ბაჰრეინში გადასვლის შემდეგაც ჯექსონს პრობლემები არ გამოლევია. როგორც დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წერენ, მომღერლის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია, რაც გამოიწვია ნარკოტიკების ჭარბი დოზით მიღებამ. კერძოდ, პოპ-მეფე მოიწამლა ძლიერმოქმედი ნარკოტიკული საშუალების და ვისკის „ჯეკ დენიელსის“ ნაზავით. ჯექსონის მეგობრები შიშობენ, რომ მან სიცოცხლე თვითმკვლელობითაც შეიძლება დაასრულოს, რადგან, დიდი ვალების გამო, ჯექსონს შეიძლება ჩამოართვან „ნევერლენდის“ რანჩო.

* * *



***გაბრიელ გარსია მარკესის მშობლიურ სოფელს დაარქმევენ მისი საქვეყნოდ ცნობილი ლიტერატურული ქალაქის — მაკონდოს სახელს.***

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო პედრო სანჩესმა, კოლუმბიის პატარა სოფლის არაკატაკის მერმა, სადაც 77 წლის წინათ მსოფლიოს მოევლინა სახელგანთქმული მწერალი. ამიერიდან არაკატაკას უწოდებენ არაკატაკა-მაკონდოს. მერს ასე სურს მიაპყროს სოფელს მარკესის შემოქმედების თაყვანისმცემელთა ყურადღება, მოიზიდოს ფულადი სახსრები, რათა სიღატაკისგან იხსნას ადგილობრივი მცხოვრებლები. აღსანიშნავია, რომ სოფლისთვის სახელის გადარქმევის იდეა მერს დაებადა ევროპაში სამკვირიანი მოგზაურობის დროს. პედრო სანჩესი ძალზე გაოცებული დარჩა, როცა შეიტყო, რომ მრავალმა ევროპელმა არ იცის, თუ რა არის ბოგოტა (კოლუმბიის დედაქალაქი), სამაგიეროდ, ძალზე დაინტერესდნენ იმით, თუ სად მდებარეობს მაკონდო. „რადგან მაკონდო აქამდე რუკაზე არ არსებობს, მისი მონახულება კი მრავალ ადამიანს სურს, მოდით, შევქმნათ იგი!“ — განაცხადა მერმა. უკვე უზარმაზარი საგზაო ნიშანიც კი მოამზადეს, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებს: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მაკონდოში, მაგიური რეალობის სამყაროში!“.

ნათელა, ნინო, ნუკრი მაისურაშვილები თანაუგრძნობენ ქეთინო, ნინო, თამუნა ბარამიძეებს დედის ქალბატონ
ნათელა სირაძე-ბარამიძის
გარდაცვალების გამო.

## ხსოვნა

### ზაურ ხაინდრავა



აფხაზეთის საზოგადოებრიობას გამოაკლდა კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი **ზაურ ხაინდრავა.**

ზაურ ხაინდრავა დაიბადა 1940 წელს მარტვილის რაიონში. 1957 წელს, მარტვილის საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, სწავლას აგრძელებს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, ხოლო 1960 წელს მესამე კურსიდან გადადის სასწავლებლად რიგის საავიაციო ინსტიტუტის თვითმფრინავების და ძრავების ექსპლუატაციის ფაკულტეტზე, რომლის სრულ კურსს ამთავრებს 1963 წელს და მუშაობას იწყებს სოხუმის გაერთიანებულ ავიარაზმში ავიატექნიკური ბაზის ინჟინრის თანამდებობაზე. 1975-78 წლებში ის ინიშნება ამ ბაზის უფროსად. 1978-89 წლებში არის ავიარაზმის მეთაურის პირველი მოადგილე, ხოლო 1989 წლიდან 1993 წლამდე სოხუმის გაერთიანებული ავიასაწარმოს მეთაური. სწორედ ამ დროს, აფხაზეთის ომის პერიოდში ზაურ ხაინდრავამ შეძლო სოხუმის სამოქალაქო ავიაციის სამსახურებისა და ეკიპაჟების მაქსიმალური მობილიზება, ექსტრემალურ სიტუაციაში დიდი რისკისა და პირადი მამაცობის წყალობით მათი ქმედითი და ეფექტიანი ფუნქციონირება.

ზაურ ხაინდრავა ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ და სამეცნიერო მოღვაწეობას. იყო ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი. სხვადასხვა დროს თბილისის პოლიტექნიკურ და კიევის საავიაციო ინსტიტუტებში კითხულობდა ლექციებს.

აქტიურ საზოგადოებრივ და პროფესიულ საქმიანობას ბატონი ზაური აგრძელებდა დევნილობაშიც, რაც, უპირველეს ყოვლისა, მიმართული იყო სოხუმის ავიაკომპანიის ქვეყნის სამსახურში ჩაყენების უზრუნველყოფისაკენ. ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულია სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით.

აფხაზეთის მწარე ხვედრზე უსასრულო ფიქრმა, მისმა უდიდესმა ნოსტალგიამ შეიწირა ბატონი ზაური. მისი ნაადრევი წასვლით აფხაზეთის საზოგადოებრიობამ დაკარგა დიდი პროფესიონალი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, სამაგალითო ოჯახის თავკაცი.

ბატონო ზაურ, მსუბუქი იყოს თქვენთვის ქართული მიწა.

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.**

### შალვა ჭილაშვილი



გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, შრომისა და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, **შალვა ექვთიმეს ძე ჭილაშვილი.**

იგი 1948 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა შრომის დაცვის ინსტიტუტში (ამჟამად — გარემოს დაცვის ინსტიტუტი). მრავალი წლის განმავლობაში ნაყოფიერად ხელმძღვანელობდა აირმტვერმჭერ ლაბორატორიას. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ლაბორატორია გადაიქცა ინსტიტუტის მძლავრ სამეცნიერო-კვლევით ბაზად, რომელიც აღჭურვილი იყო თანამედროვე გამზომ-მაკონტროლებელი ხელსაწყოებით, სადაც კვალიფიკაცია აიმაღლა არაერთმა ახალგაზრდა სპეციალისტმა და მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი.

ბატონი შალვას სამეცნიერო მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია, მისი ხელმძღვანელობით დამუშავებული რიგი მაღალეფექტური მტვერდამჭერი დანადგარებისა, რომლებიც წარმატებით ინერგებოდა სამთო საწარმოებში.

შ. ჭილაშვილს გამოქვეყნებული ჰქონდა 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 4 მონოგრაფია. მიღებული ჰქონდა 2 საავტორო მოწმობა გამოგონებაზე, სიგელი მტვერდამჭერი დანადგარის „ТБНОТ-54“-ის დანერგვისათვის, ოცამდე სახელმწიფო, რესპუბლიკური მნიშვნელობის ჯილდოები, ორდენები, მედლები. დაჯილდოებული იყო სამამულო ომის მე-2 ხარისხის საპატიო ნიშნის ორდენით და მედლებით.

ბატონი შალვა დიდი ერუდიციით, შრომისმოყვარეობით და ავტორიტეტით გამოირჩეოდა ჩვენს კოლექტივში.

პროფესიონალიზმთან ერთად იყო გულთბილი და გულისხმიერი ადამიანი. მან ნათელი კვალი დატოვა როგორც თავის საქმიანობაში, ასევე მეგობართა შორის.

**გარემოს დაცვის ინსტიტუტი.**


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.
ქიზიყის ქ. №12,
ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთ. რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობილ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.